მანანა ნაჭირელი

გერმანული და ქართული გენდერული ანდაზები ინტერკულტურულ ჭრილში

✡ ✡ ✡ ✡ ✡

DEUTSCHE UND GEORGISCHE GENDER - SPRICHWÖRTER IM INTERKULTURELLEN ASPEKT

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2015

UDC(უაკ) 821.112.2-84+821.353.1-84
ნ-263

მანანა ნაპირელი

Manana Napireli

რედაქტორი: მარინე ჯაში
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ყდის დიზაინი: ანნა ჩაკვეტაძე

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ინგა მამუჩარაშვილი

© მ. ნაპირელი, 2015

გამომცემლობა „უნივერსალი", 2015
თბილისი, 0179, ი. ვაჟა-ფშაველას გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-515-4

წიგნი ეძღვნება პროფესორ

მანანა ქუთელიას

ნათელ ხსოვნას



წინასიტყვაობა

ხალხური შემოქმედება ამოუწურავი სიმდიდრეა, რასაც მკვეთრად შევიგრძნობთ ანდაზებში, როგორც ხალხური სიბრძნის საგანძურში. ანდაზა საინტერესო მხატვრული ფენომენია. ხალხისა და სხვადასხვა მოვლენისადმი ცხოვრებისეული დამოკიდებულება ანდაზაში უფრო სრულყოფილად აისახება, ვიდრე – სხვა ჟანრის ფოლკლორში. ანდაზები მჭიდროდ არის დაკავშირებული სინამდვილესთან და მის ყოველგვარ ნიუანსს ასახავს. იგი გარკვეული შეგონებაა. მას ძირითადად ხალხი ქმნის, მათი წიაღიდან მოდის. ყოველი მათგანი ავლენს სოციუმის ფსიქოლოგიას და თავისი შინაარსით ორიენტირებულია მხოლოდ ადამიანზე - მისი ხასიათის თვისებებზე, ქცევაზე, ოჯახურ დამოკიდებულებასა და სოციალურ მდგომარეობაზე.

ნებისმიერი კულტურის მქონე ერი გამოირჩევა ანდაზათა სიუხვითა და მრავალფეროვნებით. ამ მხრივ, არც გერმანია და საქართველო წარმოადგენენ გამონაკლისს. გერმანულ და ქართულ ენებში არსებობს სხვადასხვა თემაზე შექმნილი ანდაზები.

თანამედროვე სოციოლინგვისტური და ინტერკულტურული კვლევების ავანგარდში დგას გენდერული ლინგვისტიკა. გენდერული კვლევების ფარგლებში აქტუალურია ქალისა და მამაკაცის ქცევის ხარისხობრივი მახასიათებლებისა და მათი ხასიათის თვისებების განხილვა.

წინამდებარე ნაშრომში – „გერმანული და ქართული გენდერული ანდაზები ინტერკულტურულ ჭრილში“ – გამოხატულებას პოულობს ქალისა და მამაკაცის სოციალური სახე, ოჯახური მდგომარეობა, ინტერესები, ტრადიციები და სხვა. ამ ენებმა შემოგვინახა რამდენიმე ასეული ანდაზა, რომლებიც ქალსა და მამაკაცს ეხება.

გერმანულ და ქართულ ენებში მოვიძიეთ ანდაზები, რომლებშიც ქალისა და მამაკაცის სხვადასხვა თვისებას ვეცნობით. ისინი დავყავით კლასიფიკაციის მიხედვით. გამოვყავით 16 თვისება. ასევე მოვიძიეთ უამრავი გენდერული ანდაზა, რომლებშიც გამოყენებუ-

ლია ზოონიმი. ცალკე გამოვყავით ის საკითხი, რომელშიც ქალებსა და მამაკაცებს ადარებენ სხვადასხვა (ზოგჯერ აბსტრაქტულ) საგანს, ბოლოს კი წარმოვადგინეთ ის ანდაზები, რომლებიც რჩევებს აძლევენ ქალებსა და მამაკაცებს.

სულ მოძიებულია **1251** ანდაზა. მათგან **702** გერმანულია, ხოლო – **549** ქართული. **771** ანდაზა არის ქალზე (მათ შორის – **499** გერმანელ ქალზე, **272** – ქართველ ქალზე), ხოლო **453** ანდაზა არის მამაკაცზე (მათ შორის – **187** გერმანელ მამაკაცზე, **266** – ქართველ მამაკაცზე). ანდაზები, რომლებიც ორივე სქესის წარმომადგენელს ეხება, არის **27** (მათ შორის **16** გერმანული ანდაზაა, **11** ქართული ანდაზაა).

ნაშრომში ანდაზები შემდეგი პირობითი ნიშნებით არის წარმოდგენილი:

- გერმანული ანდაზა
- ❖ ქართული ანდაზა

კვლევისას მოძიებულ ანდაზებში საყურადღებო აღმოჩნდა რამდენიმე საკითხი.

1. **გერმანულ ენაში მოვიძიეთ მრავალი ანდაზა ზუსტი ქართული შესატყვისით.**

მაგ:

- *Frauen haben langes Haar und kurzen Sinn. – [ქალებს აქვთ გრძელი თმა და მოკლე ჭკუა].*
- ❖ *ქალს თმა გრძელი აქვს, ჭკუა კი მოკლეო.*

2. **ანდაზათა უმრავლესობა შინაარსობრივად ესადაგება ერთმანეთს. რაც შეეხება ანდაზის სიტყვათა მასალას, ერთმანეთისგან განსხვავებულია.** ყოველივე ეს აიხსნება იმით, რომ გერმანელი და ქართველი ხალხი სამყაროს, კერძოდ საგნებსა და მოვლენებს, განსხვავებულად აღიქვამენ, რაც ამ ქვეყნების მენტალობასთანაა დაკავშირებული.

მაგ:

- *Der Mann ist Kopf, die Frau hingegen das Genick. - [კაცი თავია, ქალი სამაგიეროდ კეფაა].*

❖ *ქმარი მუშაა, ცოლი_ კალატოზიო.*

3. ორივე ენაში გვაქვს ერთ თემატიკასთან დაკავშირებული ანდაზები, მაგრამ ისინი ანალოგიებად არ ჩაითვლება, თუმცა კონკრეტული თემა აერთიანებთ.

მაგ:

თემატიკა: „ქალის სიამაყე“.

- *Schön Weib, viel stolz. – [ლამაზი ქალი ბევრად ამაყია].*

❖ *ამაყი ქალის დამცირება შეიძლება, გატეხვა _ არაო.*

4. ზოგიერთ თვისებასთან დაკავშირებით გერმანულ ანდაზას შესაბამისი ქართული ანდაზა არ დაეძებნება ან – პირიქით. შესაძლებელია, ერთ ენაში იყოს გარკვეულ თემასთან დაკავშირებული უამრავი ანდაზა, მეორე ენაში კი საერთოდ არ იყოს. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ გერმანელი და ქართველი ხალხები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან და, შესაბამისად, მათთვის დამახასიათებელია ეროვნული ხასიათი. მენტალობის განმსაზღვრელი თვისებები, ასე თუ ისე ენაში ვლინდება და ადამიანი ბავშვობიდან ითვისებს რა მშობლიური ენის ლექსიკასა და იდიომატიკას, სწავლობს გარე სამყაროს აღქმას და ისე გრძნობს თავს ამ სამყაროში, როგორც ეს მიღებულია ამ ენაზე მოსაუბრე ხალხისთვის.

მაგ:

თემატიკა: „ქალს ასაკს არ შეახსენებენ“.

- *Ein Diplomat erinnert sich an den Geburtstag einer Frau, aber nie an ihr Alter. –[დიპლომატი კაცი ყოველთვის იხსენებს ქალის დაბადების დღეს, მაგრამ არასოდეს – მის ასაკს].*

ქართულ ენაში ვერ მოვიძიეთ შესაბამისი ანდაზა.

თემატიკა: <u>„ულამაზო ცოლი არანაკლებ საშიშია“.</u>

- *ქმრისათვის ლამაზ ცოლზე უფრო საშიში ულამაზო ცოლიაო.*
- *ლამაზ ქალზე უფრო გაფრთხილება ულამაზოს სჭირდებაო.*

ამ ეტაპზე გერმანულ ენაში ვერ მოვიძიეთ შესაბამისი ანდაზა. გერმანული ანდაზები ქართულ ენაზე თარგმნილია მათი სიტყვა–სიტყვითი მნიშვნელობით, რათა უკეთ შეადაროს მკითხველმა მშობლიურ ენაზე შექმნილ ანდაზებს.

ჩვენი აზრით ნაშრომი – „გერმანული და ქართული გენდერული ანდაზები ინტერკულტურულ ჭრილში“ – დიდ დახმარებას გაუწევს გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებს, გერმანული ენის სპეციალისტებსა და ასევე ამ ენის შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

ავტორი სიამოვნებით მიიღებს თითოეულ საქმიან შენიშვნას.

სარჩევი

წინასიტყვაობა 6

1. თვისებები, რომლებიც ანდაზებში ქალებისა და მამაკაცების სულიერ სამყაროს გვაცნობენ 11

1.1. ანდაზები ქალისა და მამაკაცის გარეგნობისა და დადებითი და უარყოფითი თვისებების ურთიერთმიმართებაზე 11

1.2. ანდაზები ქალისა და მამაკაცის როლზე ოჯახში – ანდაზები მათ დადებით და უარყოფით თვისებებზე 25

1.3. ანდაზები გამრჯე (მშრომელ) და ზარმაც ქალებსა და მამაკაცებზე 52

1.4. ანდაზები ქალისა და მამაკაცის ახალგაზრდობასა და მოხუცებულობაზე 57

1.5. ანდაზები ჭკვიან, გონიერ, ბრძენ, წარმატებულ ქალებსა და მამაკაცებზე 65

1.6. ანდაზები საუკეთესო დიპლომატ, მოხერხებულ (ეშმაკ) ქალებზე 68

1.7. ანდაზები ქალისა და მამაკაცის სიღარიბესა და სიმდიდრეზე 74

1.8. ანდაზები ყბედ, ლაქლაქა ქალებზე 79

1.9. ანდაზები ბოროტ და შურიან ქალებსა და მამაკაცებზე 86

1.10. ანდაზები მოჩხუბარ ქალებსა და მამაკაცებზე 90

1.11. ანდაზები საშიშ, ეშმაკისეულ ქალებზე 99

1.12. ანდაზები ძლიერ და უფლებისმოყვარულ,მბრძანებლობის მოყვარულ ქალებზე (ცოლებზე) 107

1.13. ანდაზები გაუფასურებულ ქალებზე 112

1.14. ანდაზები მოღალატე, უზნეო ქალებზე 120

1.15. ანდაზები ერთგულ და მოღალატე კაცებზე (ქმრებზე) 122

1.16. ანდაზები კაიკაცობაზე, მამაცობასა და ვაჟკაცობაზე 131

2. ქალი ზოონიმურ ანდაზებში 138

3. ანდაზებში ქალებსა და მამაკაცებს უდარებენ სხვადასხვა (ზოგჯერ აბსტრაქტულ) საგნებს 144

4. ყოველდღიურ ცხოვრებაში არეკლილი ადამიანური გამოცდილებები და რჩევები ქალებს და მამაკაცებს.....151

გამოყენებული ლიტერატურა 157

1. თვისებები, რომლებიც ანდაზებში ქალებისა და მამაკაცების სულიერ სამყაროს გვაცნობენ

1.1. ანდაზები ქალისა და მამაკაცის გარეგნობისა და დადებითი და უარყოფითი თვისებების ურთიერთმიმართებაზე

გერმანელმა და ქართველმა ხალხმა უამრავი ანდაზა შემოგვინახა ქალისა და მამაკაცის, განსაკუთრებით კი ქალის გარეგნობასთან დაკავშირებით. სილამაზე ქალისთვის ღმერთის დიდი საჩუქარია. ბევრ საკითხთან მიმართებით ორივე ენაში მოვიძიეთ ანდაზები. თუმცა არსებობს საკითხები, რომლებიც მენტალობიდან გამომდინარე, გერმანულ ენაში უფრო მეტია, ან პირიქით.

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები

ლამაზ სხეულში ლამაზი სული.

• *Eine hübsche Seele will auch einen hübschen Leib haben. – [ლამაზ სულს სურს აგრეთვე ლამაზი სხეული ჰქონდეს].*	❖ *ლამაზს საქციელიც ლამაზი უნდა ჰქონდესო;*
• *Schöne Weiber machen schöne Sitten. – [ლამაზ ქალებს აქვთ ლამაზი ზნე–ჩვეულებები].*	❖ *ქალი სულიერი ღირსებებით ფასდებაო;*

ქალი ყველაზე ლამაზია დილით, საკუთარ სახლში, ახლად გაღვიძებული, რადგან ეს მისი ბუნებრივი სილამაზეა.

• *Schöne Tage lobt man abends, schöne Frauen morgens. – [ლამაზ დღეებს საღამოს აქებენ, ლამაზ ქალებს– დილით].*	❖ *ლამაზი – ნამძინარევი, მახინჯი ნაბანავები.*

- *Schöne Tage lob abends und schöne* Weiber *früher. – [ლამაზი დღეები საღამოს შეაქე, ლამაზი ქალები დილით].*
- *Die Frau ist zu Hause am schönsten. – [ქალი ყველაზე ლამაზი სახლშია].*

ლამაზი ქალი ფიქრობს, რომ ის ყოველთვის მართალია.

- *Eine schöne Frau hat immer recht. – [ლამაზი ქალი ყოველთვის მართალია].*

ლამაზ ქალს ყველა მამაკაცი ეთაყვანება. გერმანული იუმორნარევი ანდაზის მიხედვით მამაკაცს უნდა უყვარდეს ცხოველები, განსაკუთრებით – კატა, რომ ლამაზი ცოლი შეხვდეს. თუმცა **კაცისთვის ყველაზე ლამაზი ქალი ის არის, რომელიც მას უყვარს.**

- *Jeder hält seine Frau für die schönste. – [თითოეული მამაკაცი თავის ცოლს ყველაზე ლამაზად თვლის].*

❖ *ვისაც ვინ უნდა და უყვარს, იმისი ლამაზი ის არისო.*

- *Wer keine Katzen mag, bekommt keine schöne Frau. – [ვისაც კატები არ უყვარს, ლამაზი ცოლი არ შეხვდება].*

❖ *ლამაზო ქალო, შენ გეტრფი, ფეთხუმო – გამოვარდები.*

❖ *ბერო, სული გირჩევნია თუ ლამაზი ქალიო – სააქაოს ქალი მიყვარს, საიქიოს – სულიო.*

❖ *ჩემი ლამაზი ის არის, ვინც მე მიყვარსო.*

ლამაზი ქალი მხოლოდ მამაკაცს მოსწონს. ქალს იგი არ ხიბლავს. მას უხარია, როცა ქალი მახინჯია.ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სილამაზე საფრთხესთან არის დაკავშირებული.
ლამაზ ქალს ხშირად <u>ბევრი მტერი ჰყავს</u>.

- *Eine schöne Frau hat ihre Waffen bei sich. – [ლამაზ ქალს თავისი იარაღები თან აქვს].*

❖ *ლამაზ ქალს ბევრი მტერი ჰყავს, უფრო მეტი კი _ მოშურნე და ჭორის გამავრცელებელი.*

❖ *ლამაზი ქალი კაცის გულს ახარებს, მახინჯი –ქალისას.*

<u>ცოლის სილამაზის აღიარებაზე</u> თავმოყვარე <u>ქმარმა</u> სხვისი თანდასწრებით <u>თავი უნდა შეიკავოს.</u>

- *Die Schönheit seiner Frau muss man nicht vor anderen loben – [საკუთარი ცოლის სილამაზე სხვების თანდასწრებით არ უნდა შეაქო].*

ქალს შვენის გრძელი, ლამაზი თმა.
<u>გრძელი თმა მის სილამაზეზე მეტყველებს.</u>

- *Das Haar einer Frau (Ehefrau) ist ihre krönende Schönheit. – [ქალის (ცოლის) თმა მისი კურთხეული (გვირგვინით შემკული) სილამაზეა].*

❖ *ქალი – თმიანიო, მწვადი ცვრიანიო.*

❖ *ჩიტი ფრთიანიო, ქალი თმიანიო.*

❖ *ქალი–თმითა, ცხვარი–რქითა.*

- *Die langes Haar am Hals hat, bekommt einen reichen Mann. – [ვისაც კისერზე გრძელი თმა აქვს, მდიდარი ქმარი შეხვდება].*

❖ *არ შენანდება ვაჟკაცსა, ბან ცოლს უკეროს თმიანსა.*

ლამაზი ქალების გამოსხივება მომხიბლავი და მაცდურია.
ქალის სიყვარულს ხშირად მოიხსენიებენ ფიზიკის სამყაროს ტერმინებით.მაგ. : sich entflammen(აალება), glühen (აგზნება, გავარვარება), brennen (წვა, აალება), lodern(ალის მოდება, გიზგიზი), Feuer(ცეცხლი), Flamme (ალი), warm (თბილი), heiss(ცხელი) და brennend(ცეცხლმოკიდებული, მწველი):

- *Ein Feuer verbrennt von nah, eine schöne Frau von nah und fern. – [ცეცხლი ახლოდან წვავს, ლამაზი ქალი – ახლოდანაც და შორიდანაც].*

❖ *ქალმა თქვა, ზღვას ცეცხლს მოვუკიდებო.*

❖ *ქალმა თქვა, ზღვას დავწვავო, როგორო და მუგუზალს ჩავაგდებო.*

რაც უფრო ლამაზია ქალი, მით უფრო იზრდება მისი სინაზე. ქალი სილამაზესთან, სინაზესთან ასოცირდება.

- *Ein guter Chirurg muss das Auge*
- *eines Adlers, das Herz eines Mannes und die Hand einer feinen Dame haben. – [კარგ ქირურგს უნდა ჰქონდეს არწივის თვალი, კაცის გული და ნაზი ქალის ხელი].*

ქალის სინაზე იმავდროულად მოიაზრებს მის სიმორცხვეს, სიალალეს, მორიდებულობას.

- *Bescheidene Frauen haben an den Ohren noch Augen. – [მორცხვ (მორიდებულ, მოკრძალებულ) ქალებს ყურებზე თვალებიც აქვთ].*

❖ *მორცხვი ქალი – ერთ ქალად, მორცხვი კაცი – ერთ ქალამნად.*

- *მორცხვი ქალი ქალაქადა ღირს, მორცხვი კაცი – ქალამნადო.*
- *ქალი – მორცხვი, ვაჟი – ხასი: ორივენი ქვეყნის ფასი.*
- *ქალი მორცხვი–ქვეყნის ფასი. კაცი მორცხვი – კვერცხის ფასი.*
- *ქალის ფარ–ხმალი ცრემლია*

ლამაზ ქალს ხშირად სარგებლობა და სიმდიდრე მოაქვს.

- *Eine schöne Wirtin macht einen teuren Gasthof. – [ლამაზი მეპატრონე (მფლობელი) ქალი ძვირ სასტუმროს აკეთებს].*

ქალის სილამაზისადმი დამოკიდებულება თავისებური და ინდივიდუალურია. ის ხშირად ნაკლებად ღვთისმოშიშია, მხოლოდ თავის სილამაზეზე ფიქრობს და შეიძლება, ქმარსაც უღალატოს.

- *Jede Frau will lieber schön als fromm sein. – [თითოეულ ქალს ურჩევნია იყოს ლამაზი, ვიდრე – ღვთისმოშიში]*

- *ლამაზი ცოლი თუ სხვებს შეუყვარდათ, ქმარს სიკვდილს უახლოებსო.*

აქედან გამომდინარე, სახათაბალო საქმეა ლამაზი ცოლის ყოლა. ლამაზ ქალს გაფრთხილება უნდა. მისი მოპოვება უფრო იოლია, ვიდრე მისი შენარჩუნება. ლამაზი ცოლი კაცს დიდ საფიქრალსა და საზრუნავს უჩენს. ლამაზ ქალს თვალყურის დევნება, თვალთვალი სჭირდება. მას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს; ამიტომ ზოგჯერ ულამაზო ცოლის ყოლასაც გააჩნია დადებითი მხარე.

- *Wer eine schöne Frau hat, braucht mehr als zwei Augen. – [ვისაც ლამაზი ცოლი ჰყავს, ორ თვალზე მეტი სჭირდება].*

- *ლამაზი ქალის პატრონსა უნდა ჰქონდეს თვალი მჭრელი.*

• *Wer ein schönes Weib hat, ist nie ohne Sorgen. – [ვისაც ლამაზი ცოლი ჰყავს, მუდამ საზრუნავი აქვს].*	❖ *ლამაზი ქალის ცოლად შერთვა წყალში ჩავარდნაა.*
• *Wer ein weisses Pferd und eine schöne Frau hat, ist niemals ohne Ärger. – [ვისაც თეთრი ცხენი და ლამაზი ცოლი ჰყავს, ყოველთვის გაბრაზებულია].*	❖ *ლამაზი ცოლის პატრონსა უნდა ჰყავდეს ძაღლი ფრთხილი, ან თვითონ უნდა ფრთხილობდეს, ან იმისი დედამთილი.*
• *Es ist leicht eine schöne Frau zu bekommen, aber schwer schön zu behalten. – [ადვილია, ლამაზი ქალის შერთვა, მაგრამ ძნელია, ის ლამაზად შეინარჩუნო]*	❖ *ცხოვრებაში მშვიდად და ღრმად მხოლოდ მას სძინავს, ვისაც სუფთა აქვს სინდისი, რბილი აქვს ბალიში და ცოლი ჰყავს ულამაზო.*
• *Wie herrlich ist die Frau, der alle huldigen und alle begehren. - [რა მშვენიერია ქალი, რომელსაც ყველა ეთაყვანება და რომელიც ყველას სურს].*	❖ *ლამაზი ქალი ითხოვე და წყალში გადახტიო.*

ამ საკითხთან მიმართებით საინტერესოა **მკაცრი და საშიში დედინაცვლის პოზიცია.**

• *Schwiegermutter ist des Teufels Unterfutter. – [დედინაცვალი, ეშმაკის სარჩულია].*	❖ *ლამაზ ქალს რომ უპატრონო, სახლში მკაცრი დედინაცვალი უნდა გყავდესო.*

თუმცა, მკაცრი დედინაცვლის გარდა, <u>ქალის უმთავრესი მცველი მისი სინდისია.</u> თუ ის თავმოყვარეა, მას არ სჭირდება თვალყურის დევნება.

• *Des Mannes Ehre ist der Frauen Ehre. – [ქმრის ღირსება ცოლის ღირსებაა].*	❖ *ლამაზ ქალს სინდისი იცავსო.*

❖ *ლამაზი ქალის მწყემსი მისი სინდისიაო.*

❖ *თავმოყვარე ქალს გაფრთხილება (ე.ი. თვალყურის დევნება) არ უნდაო.*

ლამაზი ქალი სათნოებით უნდა გამოირჩეოდეს. ის უნდა იყოს <u>კარგად აღზრდილი,</u> რადგან ამის გარეშე ლამაზი ქალი ხშირად უარყოფითი თვისებებით გამოირჩევა.

- *Eine schöne Frau ohne Tugend ist wie schaler Wein. – [ლამაზი ქალი სათნოების (სიკეთის) გარეშე ისეთია, როგორც უგემური (მტკნარი) ღვინო.]*
- *Eine schöne Frau ohne Zucht ist wie eine Sau. – [ლამაზი ქალი აღზრდის გარეშე დედა ღორივითაა].*
- *Eine schöne Frau ohne Zucht ist wie eine Sau mit einem goldenen Ring durch die Nase. – [ლამაზი ქალი აღზრდის გარეშე ისეთივეა, როგორიც – დედა ღორი ცხვირში ოქროს ბეჭდით].*

ქალის სილამაზეს დიდი სარგებლობა არ მოაქვს, რადგან ფიზიკური სილამაზე წარმავალია.

- *Schönheit kann man nicht essen. – [სილამაზის ჭამა არ შეიძლება]*
- *Schönheit vergeht, Tugend besteht. – [სილამაზე მიდის (წარმავალია), სიკეთე რჩება]*

❖ *ქალო, შენი სილამაზე იცოდე, რომ არ შეგრჩება.*

ლამაზი ქალი ხშირად ზარმაცია.

- *Je schöner Weib, je schlechtere Schüssel. – [რაც უფრო ლამაზია ქალი, უფრო ცუდია ჯამები].*

<u>ქალის გარეგნობა უმეტესად შენიღბულია და „იტყუება“.</u> არც ერთი ქალი არ არის მახინჯი, როცა ის კარგადაა ჩაცმული და კარგი ფერ–უმარილით ეფექტურადაა გალამაზებული. ამიტომ მამაკაცი ხშირად ფრთხილად უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით გერმანულ ენაში არის უამრავი ანდაზა.

- *Weiber und Kastanien sind auswendig am schönsten. – [ქალები და წაბლი გარეგნულად ყველაზე ლამაზები არიან].*
- *Keine Frau ist hässlich, wenn sie gut gekleidet ist. – [არც ერთი ქალი არ არის უშნო, თუკი ის ლამაზად ჩაცმულია].*
- *Frauen sind wie Bücher: Zu viel Verzierung lässt Männer vermuten, der Einband sei das Wichtigste. – [ქალები წიგნებივით არიან: ძალიან ბევრი მორთულობა (მოკაზმულობა) კაცებს იმ ვარაუდს უჩენს, რომ ყდა არის ყველაზე მნიშვნელოვანი].*
- *Frauen sind wandelnde Säulen für Modewaren. – [ქალები არიან მოხეტიალე ბოძები (სვეტები) მოდის საქონლისთვის].*

❖ *ქალს ხატობაში ნუ სინჯავ, ტანთ ნათხოვარი აცვია, ქალი თუ გინდა ჯილაგის, დაჰკვლიე ყანის მკაშია.*

- *Wähle Frauen und Perlen nicht bei Kerzenlicht. – [ქალები და მარგალიტები სანთლის შუქზე არ აარჩიო].*
- *Wähle Frauen und Pferde nicht bei Kerzenlicht. – [ქალებსა და ცხენებს სანთლის შუქზე ნუ აირჩევ].*
- *Wähle Gold, Frauen und Leinen bei Tageslicht. – [აარჩიე ოქრო, ქალები და თეთრეული – დღის შუქზე].*

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე <u>სასურველი არ არის, ფერ–უმარილით გალამაზება</u>. მომხიბვლელ ქალს ბუნებრივი სილამაზე აქვს.

- *Ein schönes Weib braucht keine Schminke. – [ლამაზ ქალს არ სჭირდება ფერ–უმარილი].*
- *Eine schöne Frau gefällt ohne Schmuck. – [ლამაზი ქალი ფერ–უმარილის გარეშეც მოსწონთ].*
- *Die gut aussehende Frau braucht keine Schminke. – [კარგი გარეგნობის ქალს არ სჭირდება გრიმი (ფერ–უმარილი)].*
- *Des blinden Mannes Frau braucht keine Schminke. – [ბრმა კაცის ცოლს არ სჭირდება გრიმი (ფერ–უმარილი)].*

❖ *ლამაზსა ქალსა ფერი არ უნდაო.*

❖ *ძალად გალამაზება არ იქნება.*

- *Ein kleines bisschen Puder und ein kleines bisschen Farbe lassen eine Frau so aussehen, wie sie nicht ist. – [ცოტა პუდრი და ცოტა ფერი ქალს ისეთ შესახედაობას აძლევს, როგორიც ის არ არის].*

- *Lass es nicht zu, dass du wegen der Schminke einer Frau schwach wirst. – [არ დაუშვა ის, რომ სუსტი გახდე ქალის ფერ-უმარილის გამო].*

- *Eine Frau, die sich schminkt, zeigt an, dass sie zu verinieten ist. – [ქალი, რომელიც გრიმს იკეთებს, გვატყობინებს, რომ ქირავდება].*

- *Eine Frau und eine Kirsche sind zu ihrem eigenen Verhängnis bemalt. – [ქალი და ალუბალი თავი-ანთი საკუთარი ბედისწერით არიან მოხატულნი].*

<u>ლამაზი ქალები ხშირად გამოირჩევიან შეზღუდული აზროვნების უნარით.</u> როგორც ანდაზათა ნაწილი გვიჩვენებს, ქალს ჭკუა, აზროვნება არ გააჩნია, ქალს მოკლე ჭკუა აქვს. ანდაზებში ჩანს ქალის ინფანტილიზმი, მისი ინტელექტის არასრულყოფილება.

- *Hübsche Frauen altern nicht, denn sie können nur bis dreissig zählen. – [ლამაზი ქალები არ ბერდე-ბიან, რადგან მათ მხოლოდ ოცდაათამდე შეუძლიათ დათვლა].*

❖ *ქალს თმა გრძელი აქვს, ჭკუა კი მოკლეო.*

- *Frauen haben langes Haar und kurzen Sinn. – [ქალებს აქვთ გრძელი თმა და მოკლე ჭკუა].*

- *Lange Haare– kurzer Verstand. – [გრძელი თმები - მოკლე გონება].*

❖ *ქალს გრძელი ნაწნავი და მოკლე ჭკუა აქვსო*

❖ *ცხრა ქალის ჭკუა ერთ თხილის ნაჭუჭში ჩაიდება და კიდევ ადგილი დარჩებაო.*

❖ *ცხრა დედაკაცის ჭკუა თხილის ნაჭუჭში ეტეოდაო.*

❖ *ქალს ჭკუა თვალში აქვსო.*

მომდევნო ანდაზაში გატარებულია შემდეგი აზრი: ***ადამიანი სიბნელეში ვერაფერს ხედავს, ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ აქ ქალის სილამაზეზე არ არის საუბარი, არამედ – ზოგად, ნეიტრალურ შედარებაზე.***

- *Bei Nacht sind alle Kühe schwarz und Weiber schön. – [ღამით ყველა ძროხა შავია, ყველა ქალი – ლამაზი].*

<u>ულამაზო , მახინჯ ქალებზეც</u> არსებობს ანდაზები, რომელთა მიხედვით ზოგჯერ მახინჯი ქალი სჯობს ლამაზ ქალს, მით უმეტეს, თუ ის ქმრის ერთგულია.

- *Ein hässliches Weib ist ein guter Zaun um den Garten. – [მახინჯი ქალი კარგი ღობეა ბაღის გარშემო].*

❖ *გონჯაი სჯობავ ცოლაი ლამაზს და სხვასთან ზიარსაო.*

- *Hässliche Weiber hüten das Haus wohl. – [მახინჯი ქალები სახლს კარგად იცავენ].*

❖ *პატიოსანი შეუხედავი დიაცი სჯობია უნამუსო ლამაზსაო.*

- *Ein hässliches Weib ist eine gute Haushälterin. – [მახინჯი ქალი კარგი ოჯახის მნეა]*

- *Eine schöne Frau hat immer recht; eine böse Sieben. – [ლამაზი ქალი ყოველთვის მართალია, მახინჯი ქალი შვიდჯერ მართალი].*

- *Eine schöne Frau gehört der Welt, eine hässliche dir allein. – [ლამაზი ქალი ეკუთვნის მთელ მსოფლიოს, უშნო – მხოლოდ შენ].*

❖ *ქალი გონჯი სჯობს ლამაზსა, ქმრიანსა საძრახიანსა.*

❖ *ქალი სჯობს შეუხედავი ჭირსაძრახიან ლამაზსაო.*

თუ შემდეგ ქართულ ანდაზებს დავუკვირდებით, **ულამაზო ცოლი** არანაკლებ საშიშია.

❖ *ქმრისათვის ლამაზ ცოლზე უფრო საშიში ულამაზო ცოლიაო.*

❖ *ლამაზ ქალზე უფრო გაფრთხილება ულამაზოს სჭირდებაო.*

თუმცა ქვემოთ ჩამოთვლილი გერმანული ანდაზების მიხედვით <u>არ არსებობს უშნო, ულამაზო ქალი.</u> ყველა ქალს თავისებური სილამაზე და ხიბლი აქვს. უშნო ქალიც თავისებურად ლამაზია. ამას გარდა, სიმახინჯე ქალის დამცველია.

- *Am Spiegel ist keine Frau hässlich. – [სარკესთან არც ერთი ქალი არ არის უშნო].*

- *Es hat noch kein Spiegel einer Frau gesagt, dass sie hässlich ist.*

– [ჯერ არც ერთ სარკეს არ უთქვამს ქალისთვის, რომ ის უშნოა].

- *Auch die hässlichste hat immer noch sieben Schönheiten. – [ყველაზე მახინჯსაც აქვს ჯერ კიდევ შვიდი სილამაზე].*
- *Hässlichkeit ist der Beschützer der Frauen. – [სიმახინჯე (სიგონჯე) ქალების დამცველია (მფარველია)].*

საინტერესოა ანდაზები <u>მამაკაცის სილამაზეზე.</u>

- *Ein Mann braucht nur so schön zu sein, dass sein Pferd nicht scheut. – [კაცს მხოლოდ ისეთი სილამაზე სჭირდება, რომ მისი ცხენი არ დაფრთხეს].*
  - ❖ *კაცს რომ გრონწეულას დაუძახებენ, უნდა ლამაზი იყოსო.*
- *Der Mann ist, was er isst. – [კაცი არის ის, რასაც ის ჭამს].*
  - ❖ *მშვენიერება მამაკაცისა მისი ჭკუაა, ჭკუა დედაკაცისა მისი მშვენიერებაა.*

გერმანული ანდაზების მიხედვით <u>ლამაზად ითვლება წვერიანი მამაკაცი.</u>

- *Der Bart ziert den Mann. – [წვერი ამშვენებს კაცს].*
- *Der Bart wackert den Mann. – [წვერი ღირსეულს ხდის კაცს].*
- *Der Bart war früher, als der Mann. - [წვერი კაცზე ადრე იყო].*

ზოგიერთ ანდაზაში <u>უშნო მამაკაციც ლამაზადაა მიჩნეული.</u> გერმანული ანდაზის მიხედვით მას შეიძლება ლამაზი ცოლიც შეხვდეს. ქართული ანდაზა კი გვეუბნება, რომ მამაკაცის სილამაზე მისი ჭკუაა.

- *Ein hässlicher Mann findet eine schöne Frau. – [მახინჯი კაცი ადვილად პოულობს ლამაზ ქალს].*
- *Ein schwarzer Mann ist eine Perle (ein Juwel) in den Augen einer schönen Frau – [შავი კაცი მარგალიტია ლამაზი ქალის თვალში].*

❖ *მშვენიერება მამაკაცისა მისი ჭკუაა, ჭკუა დედაკაცისა მისი მშვენიერებაა.*

არსებობს ანდაზები მელოტ კაცზე:

- *Immer nur Ein Haar und der Mann wird kahl. – [მუდმივად მხოლოდ თმა და კაცი ხდება მელოტი].*

❖ *მელოტი თმასა ნატრულობს, მშიერი – მჭადის ჭამასაო.*

❖ *მელოტსა სცივაო და ხახამს წვერი სცივაო.*

1.2. ანდაზები ქალისა და მამაკაცის როლზე ოჯახში. ანდაზები მათს დადებით და უარყოფით თვისებებზე

როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში ისტორიულად *ქალს დიდი დაფასება და საყოველთაო პატივისცემა* ჰქონდა.

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები
• *Behandle Frauen und Glas vorsichtig. – [ქალებსა და მინას ფრთხილად მოეპყარი].*	❖ *ქალს ძაღლიც არ შეუყეფსო.* ❖ *ქალის პატივი ძაღლმაც იცისო.* ❖ *ყოჩი ყოჩს დაეჯახება, ვაჟკაცი – ვაჟკაცსა და ქალს – არაო.*

ქალი ყოველთვის იყო <u>ოჯახის ბურჯი,</u> ოჯახის სიმტკიცე და საფუძველი.ქალი სულითა და გულით ოჯახს ეკუთვნოდა. ხალხის აზრით, მოხერხებული, კარგი მეოჯახე და უნარიანი ქალი არაფრით ჩამოუვარდება მამაკაცებს; მეტიც, ის შეიძლება მათ სჯობდეს. თუ კაცობრიობის ისტორიას გადავხედავთ ქალებს მამაკაცებთან შედარებით ნაკლები იურიდიული უფლებები და პროფესიული უნარების გამოვლენის მხრივ შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდათ. ქალის უმთავრესი მოვალეობა ოჯახი იყო. ქალს ოჯახში დღესაც წამყვანი პოზიცია უკავია. იგი გამძლე და ამტანია. მამაკაცი სახლში სტუმარივითაა. ყოველივე ეს კარგად ჩანს შემდეგ ანდაზებში.

• *Der Finger einer Frau zieht stärker als ein Paar Ochsen. – [ქალის თითები უფრო ძლიერია, ვიდრე – წყვილი ხარის ძალა].*	❖ *ქალი თავისი სახლის ყორეაო.*
• *Ein Haar einer Frau zieht mehr als ein Pferdegespann. – [ქალის თმა უფრო მეტს გასწევს, ვიდრე ცხენის აკაზმულობა].*	❖ *ქალი თავის სახლში დიასახლისიცაა და მოსამსახურეც.*

- *Eine fleissige Hausfau ist die beste Sparbüchse. – [ბეჯითი დიასახლისი საუკეთესო ყულაბაა].*

❖ *კარგი ქალი ორ მამაკაცს აჯობებსო.*

- *Wo die Frau wirtschaftet, wächst der Speck am Balken. – [სადაც მეურნეობას ქალი უძღვება, იქ ძელზე იზრდება ღორის ქონი].*

❖ *ოჯახის სული და გული ქალია.*

- *Der Mann bringt mit dem Wagen nicht soviel zusammen, wie die Frau mit dem Kochtopf. – [კაცი იმდენს ვერ შეაგროვებს ურმით, რასაც ქალი ქვაბით].*

❖ *კაცი სახლის სტუმარიაო.*

- *Die Frau ist der Schlüssel des Hauses. – [ქალი სახლის გასაღებია].*
- *Die* Frau *ist des* Mannes *Visitenkarte. – [ქალი მამაკაცის სავიზიტო ბარათია].*

ყოველთვის წარმოუდგენელი იყო ისეთი ოჯახი, სადაც არ იყო კარგი დიასახლისი, ქალი ოჯახში ძირითადად დიასახლისობასთან ასოცირდება, რაც დიდი ხელოვნებაა. კარგი დიასახლისი ყოველთვის ზრუნავს, რომ სახლში ჰქონდეს საჭირო საოჯახო ნივთები.

- *Die wahre Hausfrau ist gleichzeitig Sklavin und Lady. – [ნამდვილი დიასახლისი ერთდროულად მონაც არის და ლედიც].*

❖ *შევხედე დიასახლისსა, ცხარე ცრემლი სდიოდაო.*

- *Wo keine Frau ist, da fehlt's am besten Hausrat. – [სადაც ქალი არ არის, იქ ყველაზე მეტად აკლია საოჯახო ნივთები].*

❖ *დიასახლისი ის როდია, ვინც გევრს ლაპარაკობს; ის არის დიასახლისი, რომელიც შეჭამადს ამზადებს.*

- *Das Haus ohne Frau und Feuerschein ist wie ein Körper ohne Seele und Geist. – [სახლი ქალისა და ცეცხლის ანარეკლის გარეშე არის, როგორც სხეული – სულის გარეშე].*

❖ *კარგი დიასახლისის ხელი საცერ-ვარცლს შეეტყობაო.*

- *Eine Frauenhand findet immer zu tun. – [ქალის ხელი ყოველთვის პოულობს გასაკეთებელ საქმეს].*

❖ *გათხოვილი ქალი დედ–მამისას რომ მივა, ფილთაქვაც კი იმალებაო.*

❖ *შაშვმა თქვა: ქალს იმას დავუძახებ, ვინც ახალ წელიწადს წიწილას ამოპურებას მომასწრებსო.*

შემდეგი ანდაზების მიხედვით ოჯახის დიასახლისს ყოველთვის ბევრი საქმე აქვს. მისი სახლი მუდამ *მოწესრიგებულია, ეზო ფაქიზი და სისუფთავის მოყვარულია.*

- *Das Auge der Frau hält die Stube (das Haus) rein. – [ქალის თვალს სახლი სუფთად აქვს].*

❖ *ელვაა დედაკაცის საქმე.*

- *Einer reinlichen Frau fehlt es nie an Wasser. – [სუფთა (წესიერ, ფაქიზ) ქალს არასოდეს აკლია წყალი].*

თუმცა ქალის შრომას რა გამოლევს, <u>ქალის შრომა ხშირად არ ჩანს.</u> ხანდახან ის სათანადოდ არც ფასდება.

- *Die Arbeit einer Frau nimmt nie ein Ende. – [ქალის საქმე არასოდეს არ მთავრდება].*

❖ *ქალის გაჩენაში ღმერთი არა რეულაო.*

- *Frauenarbeit ist behende, nimmt aber nie ein Ende. – [ქალის მუშაობა სწრაფია, მაგრამ არასოდეს არ მთავრდება].*

❖ *დედაბერი ბუქნას უვლიდა, არც მთა უმადლოდა, არც – ბარიო.*

❖ *დედაბერმა _ იმდენი ვერ მოვიცალე, მოვმკვდარიყავიო.*

❖ *კარგმა ოჯახმა კარგი გამომიყვანა და ავმა–ავიო.*

როგორც გერმანელი, ასევე ქართველი ხალხი დიდად აფასებდა ქალის <u>სტუმართმოყვარეობას.</u> კარგი დიასახლისი სტუმრის დასახვედრად ყოველთვის მზადაა.კარგი ქალი ოჯახისათვის საიმედო, დასაყრდენ ძალას წარმოადგენს.

- *Kluge Männer suchen wirtliche Frauen. – [ჭკვიანი კაცები ეძებენ სტუმართმოყვარე (მეურნე) ქალებს].*

❖ *კარგ ქალს სტუმრის კერძი მუდამ მოეპოვებაო.*

- *Volle Kammern machen kluge Frauen. – [ჭკვიან ქალებს სავსე საკუჭნაოები აქვთ].*

❖ *კარგი ცოლის ქმარს შარაგზაზე თასი უჭირავს (ე.ი. სტუმართმოყვარეაო).*

❖ *ქალი შემოქმედების გვირგვინიაო.*

თუმცა ქალი ოჯახის ბურჯია, იგი ოჯახში, პირველ რიგში, ასოცირდება <u>დედობასთან.</u> დედობა ქალისთვის უპირველესი მოვალეობაა. ***ქალი – დედა: დედის სიმამაცე, დედის გულისხმიერება, დედის სიძლიერე;*** დედა პატივსაცემი და სათაყვანებელი არსებაა. ქალი ნაზი და სუსტია, მაგრამ როგორც დედა, ის ძალიან ძლიერი და მამაცია. იგი, როგორც დედა, დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ფლობს. ქალი ფასდება შვილებით, ამიტომ იგი ძალიან განიცდის, თუ მას არ ჰყავს შვილი.კარგი დედა ყოველთვის კარგ შვილს გაზრდის, დედაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. არ არის ადვილი, იყო კარგი დედა. ეს რთული გამოცდაა ქალისთვის. დედა ძალიან

მომთმენია. დიდი მოთმინება შეუძლია. კარგმა დედამ შვილებს ბევრ სხვა რამესთან ერთად ოჯახის პატივისცემაც უნდა ასწავლოს. შვილმა კი დედას უნდა დაუჯეროს და მის „წინ მარბენალი“ არ უნდა იყოს. შვილმა დედას უნდა მიჰბაძოს, ის მისთვის მაგალითი უნდა იყოს. <u>დედა შეუცვლელია.</u> შვილი დედის ამაგს ვერ გადაიხდის, დედა მსხვერპლს იღებს შვილისთვის. ამ მიმართულებით ორივე ენამ შემოგვინახა ანდაზები, თუმცა ქართულ ენაში უფრო მეტი ანდაზა მოვიძიეთ.

- *Mutterschoss ist arm, aber warm – [დედის კალთა ღარიბია, მაგრამ – თბილი].*

❖ *შვილმა რომ დედის გულისათვის ხელისგულზე ერბო–კვერცხი შეიწვას, მაინც ვერ გადაიხდის დედის ამაგსაო].*

- *Mutterliebe altet nicht. – [დედის სიყვარული არ გერდება].*

❖ *ქალი მამას ქმარში გაცვლის, ქალი ქვრივი სხვას გაჰყვება, მაგრამ დედას შვილის ტრფობა სამარეში თან ჩაჰყვება.*

- *Mutter hat Salbe für jede Wunde. – [დედას ყველა ჭრილობისთვის აქვს მალამო].*

❖ *ქალი სუსტია, დედა – ძლიერიაო.*

- *Mutterliebe ist die beste Liebe, Gottesliebe - die höchste Liebe. – [დედობრივი სიყვარული საუკეთესო სიყვარულია, ღმერთის სიყვარული კი – უმაღლესი სიყვარული].*

❖ *დედავ –იმედო, ციხე– ქალაქო.*

- *Der Fuss an der Wiege und Hand am Spinnrocken ist ein Zeichen für eine gute Frau für Kindererziehung. – [ფეხი აკვანთან და ხელი ჯარასთან– გავშვის აღზრდისთვის კარგი ქალის ნიშანია].*

❖ *ასი მამა ერთ დედად არა ღირს და ასი მასწავლებელი – ერთ მამადაო.*

- *Das Mutterherz ist immer weich. – [დედის გული ყოველთვის გულმშმატკივარია].*

❖ *ათი დეიდა ერთ დედას ვერ შეცვლის.*

- *Eine Mutter kann man verlieren, aber nie wiederfinden. – [დედის დაკარგვა შეიძლება, მაგრამ პოვნა ვეღარ].*

❖ *დედის ლოცვა უფსკრულიდან ამომიყვანსო.*

- *Der Mutter ist das kranke (kränkste) Kind das liebste. – [დედისთვის ავადმყოფი (ყველაზე ავადმყოფი) შვილი ყველაზე საყვარელია].*

❖ *ქალისთვის ისევე აუცილებელია დედობა, როგორც მცენარისათვის_ ნაყოფი.*

- *Der Mutter Herz ist immer bei den Kindern. – [დედის გული ყოველთვის შვილებთან არის].*

❖ *ქალი შვილებით ფასდებაო.*

- *Wenn eine Mutter weint, so sind die Tränen echt. – [როცა დედა ტირის, ცრემლები ნამდვილია]*

❖ *დედაკაცი შვილების გაზრდით ფასდებაო.*

- *Eine Mutter kann zehn Kinder ernähren, aber zehn Kinder nicht eine Mutter. – [ერთმა დედამ შეიძლება ათი შვილი გამოკვებოს, მაგრამ ათ შვილს არ შეუძლია ერთი დედა გამოკვებოს].*

❖ *დედის გამომცხვარი კვერი ტკბილიაო.*

- *Was die Mutter ans Herz geht, geht dem Vater nur ans Knie. – [რაც დედის გულთან მიდის, ის მიდის მამის მუხლთან].*

❖ *დედა მაინც დედა არის, თუნდ ხუზურის ქალი იყოს.*

- *Erfahrung ist die Mutter der Wissenschaft. – [გამოცდილება – მეცნიერების დედაა].*

❖ *ბალღს დედის კალთაში როცა სძინავს, მარცვლის ოდენი ემატებაო.*

- *Die Mutter sagt es, der Vater glaubt es, ein Narr zweifelt daran. – [დედა ამბობს ამას, მამას ამის სჯერა, სულელს კი ეჭვი ეპარება].*

❖ *დედამ შვილს ოჯახის პატივისცემა უნდა ასწავლოსო.*

- *Eine andere Mutter hat auch ein liebes Kind. – [სხვა დედასაც ჰყავს საყვარელი შვილი].*

❖ *დედამ შვილს ოჯახის პატივისცემა უნდა ასწავლოსო.*

- *Die beste Amme ersetzt keine Mutter. – [საუკეთესო ძიძა ვერ შეცვლის დედას].*

❖ *ქალი ქორწილში დაპატიჟეს: – რად წავალო, ჩემი ქმარ–შვილის პატრონს ქორწილი სახლში მაქვსო; ქალი სატირალში დაპატიჟეს –ჩემი ქმარ–შვილის პატრონს სატირალი სახლში მაქვსო;*

- *Der Witwer findet leicht eine Frau, aber die Waisen schwer eine Mutter. – [ქვრივი ადვილად იშოვის ცოლს, მაგრამ ობლები დედას ძნელად იშოვიან].*

❖ *ქალს შვილი რომ არ ეყოლება, –ნეტავი მყოლოდა და მომკვდომოდაო.*

❖ *დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეჭამსო.*

ოჯახში <u>შვილების განათლებასა</u> და აღზრდას ქალი წარმართავს. სწორედ ამის დამადასტურებელია შემდეგი გერმანული და ქართული ანდაზები.

- *In Häusern, wo die Bildung herrscht und Sitte, da gehen Frauen zuerst, die Männer folgen ihrem Schritte. – [იმ სახლებში, რომლებშიც განათლება და კარგი ზნე–ჩვეულებანია გამეფებული, ქალები წინ მიდიან, მამაკაცები კი უკან მისდევენ].*

❖ *ცუდად გაზრდილი შვილი დედის სირცხვილია და მამის მწუხარებაო.*

❖ *შვილი გაზარდე მტრულადა, გამოგადგება მძულადა (მოყვრად გამოგადგება)*

<u>კარგად აღზრდა</u> რთული და საპასუხისმგებლო პროცესია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს მშობელი, ამიტომ თუ დედა კარგია, შვილს მის გამო ეფერებიან.

- *Man küsst oft das Kind um der Mutter willen. – [ხშირად ბავშვს კოცნიან დედის გამო].*

❖ *დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე.*

- *Wie die Mutter, so die Tochter. – [როგორიც დედაა, ისეთივეა ქალიშვილი].*

❖ *დედა იკითხეო, კვიცი იყიდეო.*

- *Willst du die Tochter han, sieh vorher die Mutter an. – [თუ გსურს გაიგო, ქალიშვილი როგორია, ჯერ დედა ნახე].*

❖ *როგორიც გყავდა დედაო, შენც ისეთი ხარ ქედაო!*

- *Wer die Tochter haben will, muss die Mutter streicheln. – [ვისაც სურს ქალიშვილის ცოლად მოყვანა, დედას თავზე ხელი უნდა გადაუსვას].*

❖ *შვილსა დედა გაუსინჯე, სამოსელსა –ნაწიბური.*

ორივე ენამ შემოგვინახა ანდაზები *კარგ, კეთილშობილ, ღირსეულ ქალებზე.*

- *Es gibt eine gute Frau im Land, und jeder Mann denkt, dass er sie hat. – [ქვეყანაზე არსებობს კარგი ქალი და თითოეული კაცი ფიქრობს, რომ მას ჰყავს ეს ქალი].*

❖ *კარგი ვაჟკაცი კარგი მეუღლით ამაყობსო.*

• *Jeder hält seine Frau für die beste. – [თითოეული მამაკაცი თავის ცოლს ყველაზე საუკეთესოდ თვლის].*	❖ *კარგ ცოლთან მწუხარება ნახევრდება, სიხარული ორკეცდებაო.*
• *Wer eine Frau findet, findet etwas Gutes. – [ის, ვინც ქალს იპოვის, პოულობს რაღაც კარგს].*	❖ *კარგი ცოლის პატრონის სახლში მუდამ ქორწილიაო.*
• *Hinter jedem grossartigen Mann steht eine grossartige Frau. – [თითოეული შესანიშნავი კაცის უკან დიდებული (შესანიშნავი) ქალი დგას].*	❖ *კარგი ცოლი კარგ ამხანაგს სჯობია, კარგ ძმასაც.*
• *Eine gute Frau ist Goldes wert. – [კარგ ქალს ოქროს ფასი აქვს].*	❖ *ქალის დიდება მისი სათნოებააო.*
• *Eine glückliche Frau ist wie eine steinerne Wand, die niemand umwerfen kann. – [ბედნიერი ქალი გაქვავებული კედელია, რომელსაც ვერ შეარყევ].*	❖ *კარგი ცოლის პატრონს საგზალი არ უნდაო.*
• *Eine gute Frau betet nur ein Vaterunser. – [კარგი ქალი მხოლოდ <u>მამაო ჩვენოს</u> ლოცულობს].*	❖ *კეთილი ცოლი სახლსა ხვეჭს, ბოროტი, მრუში - ანგრევსო.*
• *Auf ein gutes Mahl und eine gute Frau wartet man nicht zu lange. – [კარგ ლხინსა და კარგ ქალს ძალიან დიდხანს არ ელოდებიან].*	❖ *ქალი სულიერი ღირსებებით ფასდებაო.*
• *Die Frauen haben immer anderthalbmal recht. – [ქალები ყოველთვის ერთ–ნახევარჯერ მართლები არიან].*	❖ *ქალი ქვეყნის მარილი და ერის გვირგვინიაო.*

❖ *კარგმა ქალმა ქმარს ამოღებული მახვილი ჩააგებინა, ცუდმა – ჩაშვებული ამოაღებინა.*

❖ *კარგმა ქალმა არცა ქნა და არცა თქვაო.*

ასევე დიდად დასაფასებელია <u>ქალის სათნოება.</u>

- *Das beste Möbel in einem Haus ist eine tugendhafte Frau. – [საუკეთესო ავეჯი სახლში სათნო (ქველმოქმედი) ცოლია].*

❖ *ქალის დიდება მისი სათნოებაა.*

არსებობს ანდაზები <u>ქალის გულწრფელობასა და ქალის სიალალეზე.</u> ქალის გულწრფელობა, გულახდილობა და სიალალე ერთ–ერთი საუკეთესო თვისებაა, განსაკუთრებით მამაკაცის პოზიციიდან დანახული.

- *Eine aufrichtige Frau ist ihres Mannes blühende Schönheit. – [გულწრფელი ქალი თავისი მეუღლის აყვავებული სილამაზეა].*

❖ *ქალმა თქვა, ჩემმა სიალალემ ჩემი თავი ჩემს ქმარს არ აღირსაო.*

- *Eine aufrichtige Ehefrau ist des Mannes bessere Hälfte. – [გულწრფელი (გულახდილი) ცოლი თავისი ქმრის უკეთესი მეორე ნახევარია].*

მგრძნობიარობა და ემოციურობა ქალის სუსტი, ფაქიზი მხარეა. ორივე ენამ ამ მიმართულებითაც შემოგვინახა ანდაზები.

• *Die Weiber haben das Weinen und Lachen in einem Sackel. – [ქალებს ტირილი და სიცილი ერთ ტომარაში აქვთ].*	❖ *ქალის ფარ–ხმალი ცრემლია.*
• *Kein Mädchen ohne Liebe, kein Jahrmarkt ohne Diebe. – [არ არის გოგონა სიყვარულის გარეშე, არ არის ბაზრობა ქურდების გარეშე].*	

არსებობს ასევე ანდაზები *ქალის სიწმინდეზე, მის პატიოსნებაზე*

• *Die Jungferschaft ist ehrenwert, doch nimm vorlieb, was Gott beschert. – [ქალწულობა ღირსეული რამ არის, ამიტომ დასჯერდი (დაკმაყოფილდი) იმით, რასაც ღმერთი გჩუქნის].*	❖ *ქალის ყველაზე დიდი მზითევი სიწმინდე და ნამუსიაო.*

შემდეგ ანდაზებში შექებულია *ქალის ზრდილობა და წესიერება.*

• *Unscheinbare Frauen sind so sicher wie Kirchen. – [შეუხედავი ქალები ეკლესიებივით საიმედონი არიან].*	❖ *ზრდილი ქალი ვისიაო, ვინც აირჩევს, მისიაო.*
• *Der Name einer ehrbaren Frau ist viel wert. – [ღირსეული (პატივსაცემი) ქალის სახელი უფრო ბევრად ფასობს.]*	

დიდია ქალის, განსაკუთრებით კარგი ქალის როლი ოჯახში, თუმცა ოჯახის სიძლიერე და სიმტკიცე კარგ. ერთგულ ცოლ–ქმარზეა დამოკიდებული. თუ ცოლ–ქმარი კარგია, ვერაფერი მოერევა. მათ ერთმანეთი არ უნდა მოატყუონ. არსებობს ანდაზები ამ მიმართულებითაც.

- *Mann und Weib sind ein Leib. – [კაცი და ქალი ერთი სხეულია]*
- *Ein treuer Mann wird von vielen gesegnet; wer aber eilt, reich zu werden, wird nicht ohne Schuld bleiben. – [ერთგული ქმარი ბევრისგან იქნება დალოცვილი (კურთხეული), მაგრამ ვინც ჩქარობს, რომ გამდიდრდეს, ვალის გარეშე ვერ დარჩება].*
- *Zwei Dinge verlängern dein Leben: ein ruhiges Herz und eine liebende Frau – [ორი რამ ახანგრძლივებს შენს სიცოცხლეს: მშვიდი გული და მოსიყვარულე ქალი].*

- *ქმარმა რომ სიზმარი ნახოს, ცოლმა უნდა გაიგოსო.*
- *კარგ ცოლთან მწუხარება ნახევრდება, სიხარული ორკეცდებაო*
- *ქალი – ქმრითა, ცხვარი – მთითა.*
- *ყველა ფრინველი – ფრთითაო; ლამაზი ქალი – ქმრითაო.*
- *მოყვარული ცოლ-ქმარი თოხის ტარზე ეტეოდაო.*
- *თუ კარგი ცოლი გყავს, სხვის ქორწილში წასვლა არ დაგჭირდება, რადგან „ქორწილი" შინ გაქვსო.*
- *ქალის გაბედნიერებული კაცი ღმერთმა ვერ გააუბედურა და ქალის გაუბედურებული ღმერთმა ვერ გააბედნიერაო.*

- *ცოლი თუ ქმარს არა ჰგავს, ნათხოვარი იქნებაო.*
- *ერთგული კაცი ძნელად მოიძებნება და ძვირად ფასობსო.*

აქვე უნდა აღინიშნოს , რომ ცოლსა და ქმარს ხანდახან აქვთ კამათი, ჩხუბი, <u>მაგრამ ცოლ–ქმრის ჩხუბსა და მათს საქმეში ჩარევა არ შეიძლება.</u> ისინი თვითონ მოაგვარებენ თავიანთ საქმეს.

- *Wenn Mann und Frau sich streiten, so bleibe du im Weiten. – [როცა ცოლ–ქმარი ჩხუბობს, შორს დადექი].*

- *ცოლ-ქმრის ლაპარაკი რეგვენს გაყრა ეგონა.*
- *ცოლ-ქმრის ჩხუბი ბრიყვს მართალი ეგონა.*
- *ცოლ-ქმრობის საქმე ცაში რიგდებაო.*
- *ცოლ-ქმარს შორის ამტყდარ კოცონს, შვილმა ნავთი არ დაასხას.*

ხშირად ოჯახში <u>შინამოსამსახურეა,</u> რომელსაც თავისი საქმე აბარია და <u>ცოლ–ქმრის საქმესა და მათს ოჯახურ ფუნქციებში არც ის უნდა ჩაერიოს.</u> ამას ადასტურებს ერთ გერმანული ანდაზა.

- *Das Gesinde soll arbeiten; was im Hause zu feiern ist, das können Herr und Frau selber verrichten. – [მოსამსახურემ უნდა იმუშაოს. თუ სახლში რაიმე საზეიმოდ აღსანიშნია, ბატონი და ქალბატონი თვითონ მოაგვარებენ].*

ორივე ენამ შემოგვინახა ანდაზები ქალის უარყოფით თვისებებზეც. ხშირად ქალები ოჯახის კეთილდღეობაზე არ ფიქრობენ და შეუძლიათ <u>ოჯახი გააცამტვერონ, გაანიავონ</u>.

ამას ხანდახან სასიამოვნო გარეგნობის ქალიც აკეთებს. კაცი ფრთხილად უნდა იყოს, რომ საკუთრება დაიცვას, რათა ***ქალმა ყველაფერი არ გასცეს და არ დახარჯოს.***

- *Der Mann kann nicht so viel zum Tor hereinbringen, als die Frau zum Hinterpförtchen heraustragen. – [კაცს არ შეუძლია იმდენი შემოიტანოს დიდ ჭიშკარში, რაც შეუძლია ქალს უკანა პატარა ჭიშკრიდან გაიტანოს].*

❖ *კაცმა ნიჩბით შეყაროს ქონება სახლში და დიაცმა (ცოლმა) კოვზის პირით გადაყაროს, სიღარიბე არ დაელევათო.*

- *Eine Frau kann mit einem Teelöffel mehr aus der Hintertür werfen, als der Mann mit einer Schaufel zur Vordertür hereinschaffen kann. – [ქალს შეუძლია უკანა კარიდან უფრო მეტი გადაყაროს ჩაის კოვზით, ვიდრე კაცს წინა კარიდან შეუძლია ნიჩბით შემოიტანოს].*

❖ *ქმარმა რომ ურმით შეიტანოს სახლში, ცოლი ნიჩბით გადაყრისო.*

- *Eine nette Frau und eine Hintertür machen einen reichen Mann oft / schnell arm. – [სასიამოვნო ქალი და უკანა კარები მდიდარ კაცს ხშირად /სწრაფად აღარიბებენ].*

❖ *ქალი აშენებულ ოჯახს დაანგრევს და დანგრეულს ააშენებსო.*

- *Eine Frau kann mit der Schürze mehr aus dem Haus tragen, als der Mann mit dem Erntewagen einfährt. – [ქალს შეუძლია წინსაფრით სახლიდან უფრო მეტი გაიტანოს, ვიდრე კაცს შეუძლია შემოიტანოს საზიდრით].*

❖ *კაცის აშენებული ოჯახი ქალმა დაანგრია და ქალის აშენებული ვერც ეშმაკმა.*

- *Eine Frau kann mit dem Fingerhut mehr verschütten, als der Mann mit dem Eimer schöpfen kann. – [ქალს შეუძლია, სათითით უფრო მეტი დაღვაროს, ვიდრე კაცს – ვედროთი ამოხაპოს].*

❖ *ცოლს შეუძლია, კიდეც დაგაქციოს და კიდეც აგაშენოსო.*

- *Wenn der Mann einlöffelt und die Frau ausscheffelt, geht die Wirtschaft zugrunde. – [თუ ქმარს დიდი რაოდენობით შემოაქვს სახლში და ქალს გააქვს, საოჯახო მეურნეობა იღუპება].*

❖ *ცუდი ქალი კერას მიაგვის ნაგავსაო.*

❖ *კარგი ცოლი სახლს აგიგებს, ცუდი კი დაგინგრევსო.*

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხშირ შემთხვევაში <u>ქალები არიან მფლანგველები</u> და__ოჯახისთვის, მით უფრო – მეუღლისთვის, ძვირი ჯდება მისი რჩენა, შენახვა, უამრავი ახირების შესრულება, რადგან ქალები ბევრ ფულს ხარჯავენ არასაჭირო ნივთების შესაძენად. ისინი ხარჯავენ ოჯახის დანაზოგიდან ბევრს ისე, რომ ამას სარგებლობა და წარმატება არ მოაქვს. ასევე ითხოვენ ქალები მატერიალურ კეთილდღეობას.

- *Wenn der Ehemann viel verdient, gibt die Frau viel aus. – [როცა ქმარი ბევრ ფულს გამოიმუშავებს, ცოლი ბევრს ხარჯავს].*

❖ *ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრა საფანელიო.*

- *Ein verheirateter junger Mann ist ein ruinierter junger Mann. – [ცოლიანი ახალგაზრდა კაცი გაპარტახებული (გაკოტრებული) ახალგაზრდა კაცია].*
- *Sparwort ist bei Frauen teuer. – [დამზოგველი (ყაირათიანი) სიტყვა ქალებისთვის ძვირია].*
- *So mancher Mann sieht einen Wolf an der Tür, weil seine Frau einen Nerz im Schaufenster gesehen hat. – [ზოგიერთი კაცი ხედავს მგელს კართან, რადგან მისმა ცოლმა ვიტრინაში წაულა დაინახა].*
- *Es gibt zwei Arten von Frauen: solche, die nehmen, was du bist, und solche, die nehmen, was du hast. – [ორი სახის ქალები არსებობენ: ერთნი, რომლებიც გიღებენ ისეთს, როგორიც ხარ, მეორენი, რომლებიც იღებენ იმას, რაც გაქვს].*

ქალები ხშირად დადიან მანქანით, რაც ასევე ძვირი ჯდება.

- *Frau am Steuer, das kommt teuer. – [ქალი საჭესთან – ძვირი ჯდება].*

გვხვდება ისეთი ანდაზებიც, რომელთა მიხედვითაც ფიქსირდება სუსტი სქესის გავლენა ძლიერ სქესზე. ქალს შეუძლია, მამაკაცი თავის ჯკუაზე ატრიალოს; ცოლმა ქმარზე იბატონოს.

- *Der Mann ist Kopf, die Frau hingegen das Genick. – [კაცი თავია, ქალი, სამაგიეროდ, კეფაა].*

- *Der Mann ist der Kopf, aber die Frau bewegt ihn. Der Mann ist der Kopf des Hauses, aber die Ehefrau ist der Hals – und der Hals bewegt den Kopf. – [კაცი არის თავი, მაგრამ ცოლი ამოძრავებს მას. კაცი არის სახლის თავი, ცოლი არის კისერი და კისერი ამოძრავებს თავს].*

- *Lieber der Sklave des Teufels, als der einer Frau. – [უკეთესია ეშმაკის მონა იყო, ვიდრე – ქალის].*

- *Wo eine Frau, macht's den Mann grau. – [სადაც ქალია, კაცი გაჭაღარავდება].*

- *Wenn Männer den Kopf verlieren, wird er bestimmt von einer Frau gefunden. – [როდესაც კაცები თავს კარგავენ, ამაში ნამდვილად ქალი ურევია].*

- *Ich bin Herr, sagte der Mann, da sass er unterm Tische. – [მე ბატონი ვარ – თქვა კაცმა და იჯდა მაგიდის ქვეშ].*

- *Den Hanswurst regiert seine Frau. – [მასხარაზე (ჯამბაზზე) ბატონობს თავისი ცოლი].*

❖ *ქმარი მუშაა, ცოლი_ კალატოზიო.*

❖ *თუ ქალმა ვერ შეძლო ჭკუიდან თქვენი გადაყვანა, ჩათვალეთ უტვინო ყოფილხართ.*

- *Alter / Winter und Ehe zähmen Mann und Biest. – [ასაკი, ზამთარი და ქორწინება ათვინიერებს (არჯულებს) კაცსა და საქონელს (პირუტყვს)].*

- *Eine tugendhafte Frau befiehlt ihrem Mann, indem sie ihm gehorcht. Die gehorchende Frau beherrscht ihren Ehemann. – [სათნო ქალი უბრძანებს თავის ქმარს იმ დროს, როცა ის ქმარს უჯერებს; დამჯერე ცოლი თავის ქმარზე ბატონობს]*

- *Wer in seinem Hause Frieden haben will, der muss tun, was die Frau will. – [ვისაც სურს, თავის სახლში მშვიდობა ჰქონდეს, მან ის უნდა გააკეთოს, რაც სურს ქალს].*

- *Die Frau prügelt ihren Mann nicht, hält ihn aber unter dem Pantoffel. – [ქალი ქმარს არ სცემს, მაგრამ თავის ჭკუაზე ატრიალებს].*

- *Jungfrauen wollen nichts als Ehemänner und wenn sie die haben, wollen sie alles. – [ქალწულებს არაფერი არ უნდათ ქმრების გარდა და როცა მათ ისინი ჰყავთ, მათ ყველაფერი სურთ].*

- *Jeder Mann kann ein zänkisches Weib beherrschen / zähmen ausser dem, der hat. – [ყველა კაცს*

შეუძლია ჭირვეული (ანჩხლი) ქალის დაოკება, (მოთვინიერება,), გარდა იმისა, რომელიც მას ჰყავს].

- *Ein verheirateter Mann tauscht seinen Wanderstab gegen einen Marterpfahl. – [ცოლიანი კაცი თავის ხელჯოხს ცვლის საწამებელ ბოძზე].*
- *Wo Weiber führen Regiment, da nimmt's selten ein gutes End. – [სადაც ქალები მბრძანებლობენ, იქ ამას იშვიათად აქვს კარგი დასასრული].*
- *Männer werden als Sklaven der Frauen geboren. – [კაცები ქალების მონებად იბადებიან].*
- *Der Mann tanzt nach der Frau Pfeife. – [კაცი ქალის სტვირზე ცეკვავს].*

როგორც გერმანულ, ასევე ქართულ ანდაზებში ვეცნობით <u>ცუდ მეულლე და ცუდ მეოჯახე ქალებს</u>, რადგან და მათს მოუთოკავ ბუნებასა და გაუწონასწორებლობას ხშირად ზარალი მოაქვს. კარგი ცოლების გვერდით არსებობენ ცუდი ცოლები, ცუდი დიასახლისები.

- *Kein Schaden, dessen Ursache nicht eine Frau oder ein Priester ist. – [ყოველი ზარალის მიზეზი ქალი ან მღვდელია].*

❖ *როცა ვაჟკაცს ცოლი არ უვარგა, გულგატეხილ მობუცსა ჰგავსო.*

- *Die Frauen sind ohne Mass; Sie sind besser oder schlechter als die Männer. – [ქალებს არ აქვთ საზომი; ისინი მამაკაცებზე ან უკეთესები არიან, ან – უფრო ცუდები].*

❖ *თუ ცუდი ცოლი გყავს, მგლოვიარის სახლში რა გინდა?*

ანდაზებით ვეცნობით <u>ამაყ ქალებს.</u> მათ ხშირად თავიანთი ქმრების მიმართ აქვთ პრეტენზია, თუმცა მათ იქით გზა არ აქვთ.

- *Schön Weib, viel stolz. – [ლამაზი ქალი ბევრად ამაყია].*

❖ *ამაყი ქალის დამცირება შეიძლება, გატეხვა _ არაო.*

❖ *რად უნდა ეხვეწებოდეს ბიჭი რეგვენსა ქალსაო, წყეული არი დიაცი, გაიზვიადებს თავსაო.*

ორივე ენაში არსებობს ანდაზები *ჭირვეულ, წუნია ქალებზე.*

- *Ein rauchender Schornstein und eine keifende Frau sind zwei schlechte Gefährten. – [აბოლებული საკვამლე მილი და ბუზღუნა ცოლი ცხოვრების ორი ცუდი თანამგზავრია].*

❖ *დედაბერმა იანვარში მარწყვი ინატრაო.*

- *Eine launische Frau ist das Fegefeuer im Hause. – [ჭირვეული ქალი არის განსაწმენდელი ოჯახში].*

❖ *კრუსუნა დედაბერმა ქვეყანა ამოჭამაო.*

❖ *წუნია პატარძალი უქმრობითა კვდებოდაო.*

❖ *დედაბერი ფრჩხილს სწუნობდა, ისიც მამალმა წაართვაო.*

- ❖ *პრანჭია ქალი ვერ გათხოვდაო.*
- ❖ *შვიდი ვაჟი ჰყავს ცელქასა, ერთიც არ მოსწონს ჩემს ქალსაო.*
- ❖ *შინაბერას ყველა სარკე მრუდე ჰგონია.*

საინტერესოა <u>გულფიცხი ქალის</u> ანდაზებში დაფიქსირებული სახე.

• *Wenn die Weiber waschen und backen, haben sie den Teufel im Nacken. – [როცა ქალები რეცხავენ და აცხობენ, მათ თითქოს ეშმაკი შეუჩნდათ].*	❖ *ელვაა დედაკაცის სახე.*

გერმანულ ენაში გვაქვს ანდაზა *ეჭვიან ქალზე.*

• *Die betrügende Frau zweifelt an der Keuschheit aller Frauen. - [მოტყუებულ ქალს ეჭვი ეპარება ყველა ქალის უმანკოებაში].*	

<u>დედამთილისა და რძლის დამოკიდებულება,</u> მათი ხშირი კონფლიქტი და უსიამოვნო სიტუაცია ოჯახში ქართული რეალობისთვის უცხო არ არის, თუმცა ამ მიმართულებით მოვიძიეთ გერმანული ანდაზებიც.

• *Die Schwiegermutter hat auch hinten Augen. – [დედამთილს თვალები უკანაც აქვს].*	❖ *რძალს უთხრეს: "დედამთილი გემდურისო" და "რაზედ მემდურის ის ქოფაკიო?"- „აი, სწორედ ე მაგაზედაო".*

- *Sohnesweib hasst Mannesmutter. – [ვაჟიშვილის ცოლს სძულს ქმრის დედა].*

❖ *რძალსა და დედამთილს შუა ჩურჩხელა დაიკარგა.*

❖ *გაზაფხულის მზე რძალსაო, შემოდგომისა – ქალსაო.*

❖ *ქალი ქებით გათხოვდება, რძალი ვის უნახავს კარგი?!*

❖ *რძალ-დედამთილის ჯიბრითა სახლი აივსო ნაგვითა.*

❖ *რაც დედამთილი, ის რძალიო.*

❖ *ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენო.*

❖ *ცხრა რძალი მოვიყვანე, ცხრა საქმეც მომემატაო, – უთქვამს დედამთილსაო.*

საინტერესო ანდაზები არსებობს ქართულ ფოლკლორში <u>გასათხოვარ ქალებზე.</u> გერმანულ ენაში მსგავს ნიმუშებს ვერ შევხვდით.

❖ *გასათხოვარი ქალებით სავსე ოჯახს მგლებით სავსე ოჯახი სჯობიაო.*

❖ *წვიმის შეკავება უფრო ადვილია, ვიდრე გასათხოვარი ქალისაო.*

❖ *ქარელელმა ქალმა თქვა: რუისში თუ არ გამათხოვებენ, ე ბებნისი ხომ აქ არისო.*

კვლევის პროცესში მოვიძიეთ ასევე ანდაზები <u>მამაკაცის დადებით და უარყოფით თვისებებზე</u>. ქვემოთ მოცემულ ნიმუშებში ჩანს, რომ <u>ოჯახში კაცი ქალის იმედია</u>, როგორი უარყოფითი თვისებაც არ უნდა ჰქონდეს მას. მამაკაცი ოჯახის თავია და ის ქალის დასაყრდენია. ხშირად ანდაზებში ჭარბობს იუმორი. შეიძლება ქალს არ ჰყავდეს კარგი ქმარი, *მაგრამ ოჯახი და მეუღლე მისთვის აუცილებელია.*

- *Jeder Mann ist König in seinem Haus. - [თითოეული კაცი მეფეა თავის სახლში].*
- *Ein Mann in der Wohnung ist soviel wert, wie zwei auf der Strasse. – [ერთ კაცს ბინაში ისეთივე ფასი აქვს, როგორიც ორს – ქუჩაში].*
- *Ein feiner Mann zieht auf fein Weib. – [დახვეწილ კაცს დახვეწილი ქალი იზიდავს].*
- *Weib ohne Mann, Leib ohne Haupt. - [ქალი ქმრის გარეშე ისეა, როგორც ტანი – თავის გარეშე].*
- *Ihr Frauen seid Untertan euren Männer, wie sich's gehört in dem Herrn. – [თქვენ, ქალები, თქვენი ქმრების ქვეშევრდომები ხართ, როგორც ეს ბატონს შეეფერება]*
- *Die Frau tut es dem Manne gleich. – [ცოლი ყველაფერში ქმარს ბაძავს].*

- ❖ *ქალი ქმარ–შვილითა ფრინავს, მერცხალი ფრთებითო.*
- ❖ *ავია თუ კარგიაო, ქალო, შენი ქმარიაო.*
- ❖ *გვერდგამოხლართული ქმარი სჯობია ბედაურ ძმასაო.*
- ❖ *ქალი ქმარსა სწუნობდა, იყო იმის ამარაო.*
- ❖ *ქალმა თქვა: ნეტავ იმას, ვისაც ჩემი ქმრის შიში არა აქვსო.*
- ❖ *ბევრი რად უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანი.*
- ❖ *ქალმა თქვა: შვილი მინდა, ქმარი –არაო.*
- ❖ *როცა დედა დედინაცვალია, მამაც მამინაცვალიაო.*

ანდაზების მიხედვით ფიქსირდება, რომ მამაკაცს <u>კარგი ალღო და მიხვედრილობა</u> უნდა ჰქონდეს ცოლთან დამოკიდებულებისას.

- *Ich strafe mein Weib nur mit guten Worten, sagte jener und warf ihr die Bibel an den Kopf. – [მე ჩემს ცოლს დავსჯი მხოლოდ კარგი სიტყვებით, თქვა კაცმა და მას თავში ბიბლია ესროლა].*

❖ *ენა ყველაფერს იტყვის, მაგრამ კაცს სინდისი უნდაო.*

- *Wem Gott ein Weib gibt, dem gibt er auch Geduld. – [ვისაც ღმერთი ცოლს აძლევს, მას აძლევს მოთმინებასაც].*

❖ *დიდ კაცს დიდი მოთმინება მართებს.*

ქართველი მამაკაცები ხშირად განიცდიან, რომ <u>ისინი ცოლის ოჯახში ცხოვრობენ.</u> ანდაზაც ამ მიმართულებით სწორედ მხოლოდ ქართულ ენაში მოვიძიეთ. ეს საკითხი ქართულ მენტალიტეტთან უფრო ახლოსაა.

❖ *ჩასიძებულ კაცს გატყავებული მელია სჯობიაო.*

❖ *მელას ქოქოლა დააყარეს და – რას დამცინიო, ჩასიძებულ კაცს კიდევ ვჯობივარო.*

ფოლკლორული მასალის მიხედვით პატივსაცემია <u>მიზანდასახულო კაცი.</u> მით უმეტეს, თუ მას ქალი უყვარს, მისთვის ბოლომდე უნდა იბრძოლოს.

- *Ein Mann muss immer mehr wollen, als er leisten kann. - [კაცს უფრო მეტის სურვილი უნდა ჰქონდეს, ვიდრე მას შეუძლია, გააკეთოს].*

❖ *კაცი, თავის ვარსკვლავს, ბოლომდე უნდა მიჰყვესო.*

ანდაზებში ფიქსირდება, რომ მამაკაცის თავმდაბლობა ძალიან დასაფასებელია.

• *Die besten Männer sind bloss Männer. - [საუკეთესო კაცებიც უბრალოდ კაცები არიან].*	❖ *მამაკაცს თავმდაბლობა ამშვენებს, მკვეხარა გეწვად არა ღირს.*

ქართულ ენაში არის ანდაზა თადარიგიან, წინდახედულ კაცზე.

	❖ *მგზავრი კაცი ნაშუადღევს ბინას უნდა ეძებდესო.*

არსებობს ანდაზები მიამიტ, გულუბრყვილო, ალალ კაცზე.

• *Männer sind die wahren Naiven, weil sie glauben, Frauen sind naiv. – [მამაკაცები ნამდვილი მიამიტები არიან, რადგან მათ სჯერათ, რომ ქალები არიან მიამიტები].*	❖ *გულალალი კაცი მეიდანზე შოულობდა საჭმელსაო.*

საინტერესოა ორივე ენაში მოძიებული შემდეგი ანდაზები მამაკაცის ზრდილობასა და თავაზიანობაზე:

• *Höflichkeit ziert den Mann und kostet nichts. – [თავაზიანობა ამშვენებს კაცს და ის უფასოა].*	❖ *კაცმა თავი მოიწონა ზრდილობით და თავაზითო.*
• *Wie der Mann, so die Rede – aus der Rede erkennt man den Mann; An der Rede erkennt man den Toren, wie den Esel an den Ohren. – [როგორიც კაცია – ისეა მისი მეტყველება. – მეტყველებით შევიცნობთ კაცს; მეტყველებიდან შევიცნობთ სულელებს, როგორც ვირს ყურებით].*	❖ *კაცია მუდამ საქები, ზრდილი და თავაზიანი.*

❖ *ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად _ ზრდილობა, თუ კაცი კაცად არ ვარგა, ძნელია გვარიშვილობა.*

❖ *ზრდილობა კაცს წარმოაჩენს ერთსა ათად სხვათა თვალში.*

ეჭვიანი მამაკაცი ქალს აღიზიანებს, ცხოვრებას ურთულებს. ამიტომ ეს უკანასკნელი ძნელად ეგუება მას. ამ მიმართულებით ანდაზა მოვიძიეთ გერმანულ ენაში.

- *Lieber ein Ehemann ohne Liebe, als mit Eifersucht. – [უკეთესია ქმარი უსიყვარულოდ, ვიდრე ეჭვიანობით].*

ანდაზების მიხედვით არსებობენ მერყევი ბუნების კაცები, რომლებიც ხშირად უსაფუძვლოდ იცვლიან აზრს.

- *Männer ändern zwar manchmal ihre Ansichten, aber nie ihre Absichten. – [მაკაცები ხანდახან იცვლიან თავიანთ შეხედულებებს, მაგრამ არა განზრახვებს].*

❖ *ზოგ კაცსა კვირაში შვიდი პარასკევი აქვსო.*

არც ამაყი და ამპარტავანი მამაკაცია მისაღები. მამაკაცს ხშირად თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. ის სხვის ნაკლს ამჩნევს, თავისას კი ვერა. ამგვარი პოზიცია კაცისთვის (ზოგადად ადამიანისთვის), მართლმადიდებლური თვალსაზრისით ცოდვაა.

- *Nicht jeder, der einen Bart trägt, ist ein Philosoph. – [ყველა, ვინც წვერს ატარებს, ფილოსოფოსი არ არის].*

❖ *ამაყმა კაცმა, ბოროტმა, გული ხანჯალზე ააგო.*

❖ *ერთ კაცს სოფლიდან აძევებდნენ და ის კი მამასახლისობას თხოულობდაო.*

❖ *კაცი საკუთარ თვალში დირეს ვერ ხედავს და სხვის თვალში კი ბეწვსაც ამჩნევსო.*

❖ *კაცი ვარ და ქუდი მხურავსო.*

❖ *ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ღირს მკვეხარა.*

როგორც შევნიშნეთ, ანდაზები ტენდენციურობით გამოირჩევა. მათი მეშვეობით უამრავი დადებითი თუ უარყოფითი თვისებაა მხილებული. ოჯახში ძალიან რთულია, როცა <u>მამაკაცს ბანქო და სასმელი უყვარს.</u> ეს ძლიერი სქესის უნებისყოფობას ცხადყოფს.

- *Ist das Bier im Manne, ist der Verstand in der Kanne. – [თუ ლუდი კაცშია, ჭკუა–გონება დოქშია].*

❖ *სასმელი კაცის მუცელში გიჟდება, თორემ ჭურჭელში მშვიდიაო.*

- *Ist der Trunk im Manne, so ist der Verstand in der Kanne. – [თუ სასმელი კაცშია, ჭკუა–გონება დოქშია].*

❖ *კაცი რომ დათვრება, ორი კაცის ტოლა გახდებაო.*

- *Was der Mann kann, zeigt der Wein an. – [კაცს რაც შეუძლია, ღვინო გვატყობინებს].*

❖ *ღვინომ ხეი გახეთქა და კაცს რაღას უზამსო?*

- *Der Wein ist gut, wenn er auch den Mann die Treppe hin unterwirft. – [ღვინო კარგია, მაშინაც კი, როდესაც კაცს კიბეზე დაბლა დააგორებს].*

❖ *სასმელს უთქვამს: კაცს ჯერ ფარშავანგად ვაქცევ, მერე ღორადო.*

- *Die Kart und die Kanne macht manchen zum armen Manne. – [ბანქო და დოქი ზოგიერთს ღარიბ კაცად აქცევს].*

❖ *კაცი რომ სმას დაიწყებს, ჯერ ბულბულია, მერე – ლომი, მერე კი –ღორი.*

❖ *მთვრალ კაცს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადო.*

ერთი ქართული ანდაზის მიხედვით
კაცს ყველაზე მეტად თავისი თავი უყვარს.

❖ *ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო.*

1.3. ანდაზები გამრჯე (მშრომელ) და ზარმაც ქალებსა და მამაკაცებზე

მიუხედავად იმისა, რომ ოდითგანვე ცნობილია ქართველი ქალი შრომისმოყვარეობითა და გულმოდგინებით, გამრჯე, შრომისმყვარე ქალზე გერმანულენოვან ანდაზებში უფრო მეტი ნიმუში დაფიქსირდა.

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები
• *Wem eine tüchtige Frau beschert ist, die ist viel edler als die köstlichsten Perlen. – [ვისაც გამრჯე (მშრომელი) ქალი საჩუქრად ერგო, ის ქალი უფრო კეთილშობილია, ვიდრე ყველაზე ძვირფასი მარგალიტები].*	❖ *სახლს ქალი აქცევს სახლად.*

- *Wenn die Frau eine Wäsche hat, so hat der Mann eine seltsame Frau und ein böses Hemd. – [თუ ცოლს სარეცხი აქვს, ქმარს ჰყავს არაჩვეულებრივი ცოლი და ცუდი პერანგი].*

- *Eine tüchtige Frau ist ihres Mannes Krone; aber eine schandbare ist wie Eiter in seinem Gebein. – [ბეჯითი ქალი თავისი ქმრის გვირგვინია; სამარცხვინო ქალი კი ჩირქია ქმრის ძვლებში].*

- *Die deutsche Frau hat vier „K" zu besorgen: Kinder, Kleider, Küche, Keller. - [გერმანელ ქალს ოთხი „K" აქვს საზრუნავი: ბავშვები, ტანსაცმელი, სამზარეულო, სარდაფი].*

- *Der Fisch ist gern im Wasser, der Vogel in der Luft, das brave Weib daheim. – [თევზი სიამოვნებით არის წყალში, ჩიტი – ჰაერში და ყოჩაღი ქალი – სახლში].*

❖ *გუდამაყრელ ზალიკასა ერთი კარგი ქალი ყავსა, საჩოხეს და საპერანგეს სულ ერთ ღამეს დაართავსა.*

მოძიებული ანდაზები გამრჯე შრომისმოყვარე კაცზეც მოგვითხრობენ.

- *Wer ein Weib nimmt, darf nicht müssig sein. – [ვინც ცოლს ირთავს, მას არა აქვს უსაქმურობის უფლება].*

❖ *გამრჯე კაცისთვის უსაქმობა დიდი სასჯელია.*

❖ *ჩანჩალა კაცი წინ ვერ წავაო.*

❖ *ერთი კაცის მარჯვენით ასი ცხოვრობსო.*

გამრჯე ქალების გვერდით არსებობენ <u>ზარმაცი ქალებიც.</u> ანდაზებში დაგმობილია ზარმაცი ქალი.

- *Die Frau, die in den Spiegel schaute, war nicht fleissig. – [ქალი, რომელიც სარკეში იყურებოდა, არ იყო ბეჯითი].*

❖ *წელმოწყვეტილსა დიაცსა არ დაელევა ჭირია.*

- *Eine Frau, die oft in den Spiegel schaut, spinnt wenig. – [ქალი, რომელიც ხშირად იყურება სარკეში, მხოლოდ ცოტა ძაფს ართავს].*

❖ *ზარმაც ქალს ბევრი უქმე აქვსო.*

- *Nicht jede Frau, welche das Feuer anbläst, kocht auch. – [ყველა ქალი რომელიც ცეცხლს აღვივებს, არ ამზადებს საჭმელს].*

❖ *ცუდმა ძიძამ ნაბიჯს სახლთან მიახლოვებისას აუჩქარაო.*

- *Ist die Frau vor dem Spiegel, so vergisst sie den Tiegel. – [ქალი თუ სარკის წინაა, მას ავიწყდება ქოთანი (ტარიანი)].*

❖ *პატარძალმა დაფქვას მოუცადა, გამოცხობას - არაო.*

- *Wenn's zum Feste geht, hört ein lahmes Weib auf zu hinken. – [როცა დღესასწაული დგება, კოჭლი ქალი კოჭლობას წყვეტს].*

❖ *პატარძალმა ძროხა ვერ მოწველა და ბაკი მრუდეაო.*

- *Es sind nicht alle gute Hausfrauen, die gut spinnen können. – [ყველა კარგი დიასახლისი როდია, ვისაც კარგად შეუძლია ძაფის დართვა].*

❖ *პატარძალს ფაფის ჭამა უყვარდა და ქვაბის გარეცხვა არაო.*

❖ *პატარძალი ეზოს ვერ გვიდა და ცოცხს აბრალებდაო.*

- ❖ *ცხრა პატარძალს ერთი ოცხი სჯობიაო.*
- ❖ *რძალი სახლის ერთ მხარეს დაჰგვის და მეორე მხარეს დასაგველად მეორე რძალს დაუტოვებს.*
- ❖ *უხეირო პატარძალმა ცხრა ოცხი მოიხმარა და ერთი ოთახიც ვერ გამოგავაო.*
- ❖ *ღრუბლიანი დღე პატარძალს დილა ეგონაო.*
- ❖ *ცხრა რძალი მოვიყვანე და ცხრა თავი საქმე მომეცაო.*

სიზარმაცე დასაგმობი თვისებაა, მანკიერებაა ზოგადად, თუმცა <u>ზარმაცი კაცი</u> ორმაგად გამაღიზიანებელია ოჯახისა თუ ქვეყნისთვის. ორივე ენაზე საკვლევი მასალიდან მოვიძიეთ ანდაზები ზარმაც კაცებზე.

- *Ein fauler Mann ist nicht besser als ein Toter, aber er nimmt mehr Platz ein. – [ზარმაცი კაცი მკვდარ კაცზე უკეთესი არ არის, მაგრამ ის უფრო მეტ ადგილს იკავებს].*

- ❖ *კაცი არ ვარგა სოფელში, უმამულო და ეული, სხვები შრომობენ, მხნეობენ, ის კია გულამღვრეული.*

- *Wenn die Frau nichts hat und der Mann nichts tut, wird die Ehe selten gut. – [როდესაც ცოლს არაფერი არ აქვს და ქმარი არაფერს არ აკეთებს, ქორწინება იშვიათად არის კარგი].*

- ❖ *ზარმაც კაცს თავისი ხელფეხი ნათხოვარი ჰგონიაო.*
- ❖ *კაცმა თოკი დაკარგა და ცულიც ზედ მიაყოლაო.*
- ❖ *მცონარა ადგა და სახლი დაწვაო.*

- მცონარა კაცი უქმე დღეს გახელდებაო.
- ზარმაც კაცს შორიდან მოვლა ურჩევნიაო.
- უხნავ–უთესი კაცი ღმერთს ემდუროდაო.
- უსაქმო კაცი ღობე-ყორეს ედებოდაო.
- ზარმაცი კაცი უქმის ძალს ხალისდება.
- ზარმაცისათვის ყოველი დღე უქმეა.

- სიზარმაცემ კაცი მოკლა, კერა გაანადგურაო.
- თუ კაცმა არ გაიფხაკუნა, ისე ვერ იცხოვრებს.
- ზარმაცი და მძინარა ძმებია.
- მედღეხვალიე კაცსაო თოვლი მიადგა კარსაო.
- კაცს როცა არ უნდა, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო.

1.4. ანდაზები ქალისა და მამაკაცის ახალგაზრდობასა და მოხუცებულობაზე

ახალგაზრდობა (ადამიანის ცხოვრების უმშვენიერესი და აქტიური ხანა) ძველთაგანვე განდიდებული იყო და, გარკვეულწილად, სილამაზესთან ასოცირდებოდა. იგი ხშირად იყო მრავალი პოეტისა თუ მწერლის მუზის საგანი. ცნობილია, რომ ახალგაზრდობა ქალისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ქალებს სურთ, მუდმივად ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ და ისინი ძალიან განიცდიან ასაკის მომატებას. ქალებისთვის ასაკი მტკივნეულია. ისინი ასაკის მატებასთან ერთად უფრო ხშირად იყურებიან სარკეში და აკვირდებიან, როგორ აისახა წლები მათს გარეგნობაზე. ეს ქალებისთვის ძალიან სენსიტიური თემაა. ყოველივე ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ანდაზებში. ქალის ასაკი ანდაზებში როგორც პრობლემა, ისეა აღწერილი. მამაკაცს ეს საკითხი ნაკლებად აშფოთებს. იგი არასოდეს არ აღიქვამს ასაკს მტკივნეულად და, ქალისგან განსხვავებით, არც ასაკის დამალვა ახასიათებს. მართალია, მამაკაცებს ასაკი ქალებივით არ აღელვებთ, მაგრამ მათთვის ასაკის მომატებას აქვს ერთგვარი ტკივილი. იგი უფრო სიბერესთან ასოცირდება და არა სილამაზის დაკარგვასა და ახალგაზრდობის მონატრებასთან. მოხუცი კაცი განიცდის, რომ მას ბევრი საქმის გაკეთება აღარ შეუძლია და ეს არის მისი სადარდებელი.

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები

გერმანულმა და ქართულმა ენებმა შემოგვინახეს შემდეგი ანდაზები ასაკისადმი ქალისა და მამაკაცის მიმართებასთან დაკავშირებთ.

• *Für Frauen ist das Alter die Hölle. – [ქალებისთვის ასაკი ჯოჯოხეთია].*	❖ *კაცის ასაკი გრძნობითაო, ქალისა გარეგნობითაო.*
• *Jeder Mann würde gerne lange leben, aber keine Frau wäre gerne alt. – [თითოეული კაცი სიამოვნებით ისურვებდა დიდხანს სიცოცხლეს, მაგრამ*	❖ *არაფერი ისე არ აბერებს ქალს, როგორც ასაკი.*

არც ერთი ქალი არ ისურვებდა დაბერებას].

- *Weiberschönheit, das Echo im Wald und Regenbogen vergehen bald. – [მალე ქრებიან ქალის სილამაზე, ექო ტყეში და ცისარტყელა].*

❖ *არჯაკელა ჯაკდებოდა, ქალსა გული უკვდებოდა.*

- *Jede Frau behält eine Ecke im Herzen, in der sie immer 21 ist. – [თითოეულ ქალს აქვს გულის კუნჭული, სადაც ის ოცდაერთი წლისაა].*

❖ *მამაკაცი იმდენი წლისაა, რამდენადაც თავი მიაჩნია, ქალი იმდენის, რა ასაკის შესაფერისადაც გამოიყურება.*

- *Die Hoffnung auf ein langes Leben täuscht viele gute Ehefrauen. – [დიდხანს სიცოცხლის იმედს შეცდომაში შეჰყავს ბევრი კარგი ცოლი].*

❖ *კაცი რომ დაბერდება, მშვილდ-ისარი უნდა დადოსო.*

- *Eine Frau über dreissig, die ihr genaues Alter angibt, sagt auch alles andere. – [ოცდაათ წელს გადაცილებული ქალი, რომელიც თავის ზუსტ ასაკს ამხელს, ყველაფერ დანარჩენსაც იტყვის].*

❖ *აღმართმა თქვა: ვაჟკაცი მოვღალე და ბერიკაცმა მომღალაო.*

- *Die Frau ist jung, die nicht einen Tag älter aussieht, als sie angibt zu sein. – [ქალი ახალგაზრდაა, თუკი მას არც ერთი დღით ასაკი არ ეტყობა, სანამ ის ამას თვითონ არ განაცხადებს].*

❖ *ბებერი რომ დაგლახდება, მიუჯდება კერასაო, ნატეხ პურს რომ ვეღარ შეჭამს, მთელს დაუწყებს ცქერასაო.*

- *Die längsten fünf Jahre im Leben einer Frau sind die zwischen 29 und 30. – [ყველაზე გრძელი ხუთი წელიწადი ქალის ცხოვრებაში არის 29 -დან 30 წლამდე].*

❖ *ახალგაზრდა გული წისქვილის რაკუნზეც იცეკვებსო.*

- *დროის სრბოლა მამაკაცს ასაკს მატებს, ქალს კი სინორჩისგან აშორებს.*
- *ბერიკაცი ბერდებოდა, ცხენს უკუღმა შეჯდებოდა.*
- *ბერიკაცმა თქვა: ნურც მაჭმევ, ნურც მასმევ, ცეცხლზე გამათბეო.*
- *სიბერეს სირეგვნემდე მიჰყავს კაციო.*

ერთი ქართული ანდაზის მიხედვით გასათხოვარი ქალი ასაკშიც იმედიანადაა.

- *ბერდებოდაო, ბედს ელოდაო.*

საინტერესო აღმოჩნდა გერმანული ანდაზები, რომელთა მიხედვითაც მამაკაცი ქალს უფრთხილდება და ცდილობს, მას ასაკი არ შეახსენოს.

- *Ein Diplomat erinnert sich an den Geburtstag einer Frau, aber nie an ihr Alter. — [დიპლომატი მამაკაცი ყოველთვის იხსენებს ქალის დაბადების დღეს, მაგრამ არასოდეს – მის ასაკს].*
- *Frauen und Musik sollten nie datiert werden. — [ქალები და მუსიკა არასოდეს არ უნდა დათარიღდეს].*

მამაკაცებისთვის ქალის ასაკი ერთ–ერთ გერმანულ ანდაზაში „ხორცთან“ არის შედარებული. ხორცი რაც უფრო ახალია, მით უკეთესია.

- *Alter Fisch und junges Fleisch nähren den Mann am besten. – [ძველი თევზი და ახალი ხორცი კაცს ყველაზე მეტად კვებავს].*

განსხვავებული ტენდენციის მატარებელია ანდაზები მოხუც ქალთან მიმართებით. მოხუც ქალს თავისი დადებითი მხარეები გააჩნია. იგი სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება იყოს დადებითი ადამიანი. უსაფრთხოება (საიმედოობა) მნიშვნელოვანია. სიმდიდრე ცვლის ახალგაზრდობას. დიდ პატივს სცემენ და აფასებენ მოხუცებს, მათს ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ანდაზებში მოხუცი ქალი ხშირად ასოცირდება ბებიასთან: არის თბილი, ტკბილი და მისი გაკეთე-ბული ყველაფერი კარგია.

- *Das Gold einer alten Frau ist nicht hässlich. – [მოხუცი ქალის ოქრო არ არის ცუდი].*
- *Mit einem alten Weib führt der Teufel keinen Prozess. – [მოხუც ქალთან ეშმაკი პროცესს არ აღძრავს].*
- *Alles hat seine Zeit, nur die alten Weiber nicht. – [ყველაფერს თავისი დრო აქვს, მხოლოდ მოხუც ქალებს – არა].*

- ❖ *ბებიას გამომცხვარი კვერი ტკბილიაო.*
- ❖ *დედაბერს შვიდი სოფლის დარდი აწუხებდა, მისი დარდი კი არავის ჰქონდაო.*

ხშირად მოხუცი ქალი სიბეჯითით გამოირჩევა. შემდეგი ანდაზები სწორედ მის მუყაითობას უკავშირდება.

- *In der Ferse einer alten Frau ist eine starke Sehne. – [მოხუცი ქალის ქუსლში ძლიერი მყესია].*

- ❖ *ასი წლის დედაბერი ლეკურს სწავლობდაო.*

- *Frauen sind die Geliebten der Männer in der Jugend, die Gefährtinnen auf der Höhe des Lebens, die Pflegerinnen im Alter. – [ქალები მამაკაცებისთვის ახალგაზრდობაში არიან საყვარლები, მოწიფულ ასაკში -ცხოვრების თანამგზავრები, ხოლო სიბერეში - მომვლელები].*

❖ *დედაბერი გუქნას უვლიდა – არც მთა ემადლიერებოდა და არც ბარიო.*

❖ *დედაბერმა უღელი გადააგდო და კურდღელი მოკლაო.*

❖ *დედაბერმა თქვა – სასახლეში მომეწყინაო.*

ორივე ენაზე მოძიებულ მასალებში დაფიქსირდა ანდაზები, რომლებითაც მოხუცი ქალის მანკიერებები იკვეთება. ასე რომ, <u>მოხუცი ქალი ზოგჯერ ცუდ თვისებებსაც ავლენს.</u>

- *Wo der Teufel nicht hinwagt, schickt er ein altes Weib. – [სადაც ეშმაკი ვერ ბედავს წასვლას, აგზავნის ბებერ ქალს].*

❖ *ბებერსა სასძლოდ მორთულსა, უფრთხილდი, მოერიდეო.*

- *Was der Teufel nicht weiss, das weiss ein altes Weib. – [რაც არ იცის ეშმაკმა, ის იცის მოხუცმა ქალმა]*

❖ *ღმერთმა ნუ ქნას – ბებრის გუქნა.*

- *Alte Jungfrauen führen Affen in die Hölle. – [მოხუც ქალწულებს მაიმუნები ჯოჯოხეთში მიჰყავთ].*

❖ *დედაბერს ყველა უყვარდა, დედაბერი ყველას სძულდაო.*

- *Wein macht aus alten Frauen Dirnen. – [ღვინო მოხუც ქალებს მეძავებად აქცევს].*

❖ *კრუსუნა დედაბერმა ქვეყანა ამოჭამაო.*

ერთ–ერთი გერმანული ანდაზის მიხედვით მოხუც ქალს შეიძლება ახასიათებდეს თვალთმაქცობა, ფარისევლობა.

- *Zehn alte Weiber, elf Krankheiten. – [ათი მოხუცი ქალი, თერთმეტი ავადმყოფობა].*

მოვიძიეთ ანდაზები გონიერ, პატივსაცემ მოხუცებულ მამაკაცებზე. მამაკაცთა ასაკი იუმორისტულადაა აღწერილი. ისინი ზოგიერთი ანდაზის მიხედვით ხშირად ბავშვებივით არიან. ეს ფაქტი ანდაზებში მათ დადებითად წარმოაჩენს.

- *Wir zählen die Jahre eines Mannes erst, wenn er nichts anders mehr zu zählen hat. – [მამაკაცის წლებს მხოლოდ მაშინ ვთვლით, თუ მას სხვა არაფერი არ აქვს დასათვლელი].*

❖ *ხნიერ კაცს სიზმარიც დაეკერებაო.*

- *Kleider schätzen wir, wenn sie neu sind, Männer, wenn sie alt sind. – [ტანსაცმელს მაშინ ვაფასებთ, როცა ის ახალია, კაცებს – როცა ისინი მოხუცები არიან]*

❖ *გზა რამ მოღალა და ბერიკაცმაო.*

- *Alte Männer und Reisenden haben das Recht zu lügen. – [მოხუც კაცებსა და მგზავრებს (მოგზაურებს) ტყუილის უფლება აქვთ]*

❖ *ხანდაზმულ კაცს სიზმარიც დაეკერებაო.*

- *Ein alter Mann ist doch kein D-Zug. – [მოხუც კაცს ძალიან სწრაფად აღარ შეუძლია მოძრაობა].*

- *Alter Mann und junges Weib, gewisse Kinder, Junger Mann und altes Weib, nur arme Sünder. –*

[მოხუცი კაცი და ახალგაზრდა ქალი გულუბრყვილო ბავშვები არიან; ახალგაზრდა კაცი და მოხუცი ქალი - მხოლოდ საბრალო ცოდვილები].

ანდაზების მიხედვით საინტერესოა ისიც, რომ <u>მოხუცი ქმარი უფრო უსაფრთხო და უტყუარია, ვიდრე ახალგაზრდა</u>. ის ზოგჯერ ბავშვივით მიამიტია.

- *Unter eines alten Mannes Bart ist Schutz. — [მოხუცი კაცის წვერის ქვეშ თავს დაცულად გრძნობ].*
- *Frage einen alten Mann, wenn du einen guten Rat brauchst. — [შეეკითხე მოხუც კაცს, როცა კარგი რჩევა გჭირდება].*
- *Es ist besser der Liebling eines alten Mannes zu sein als die Sklavin eines jungen. — [უკეთესია, მოხუცი კაცის საყვარელი იყო, ვიდრე — ახალგაზრდა კაცის მონა].*

❖ *გებერი კაცი გალღსა ჰგავს.*

მეტად მნიშვნელოვანია ის ანდაზები, რომელთა მიხედვითაც <u>გამოცდილი მოხუცი მამაკაცები რჩევას აძლევენ ახალგაზრდა კაცებს.</u>

- *Das Herz eines dreissigjährigen Mannes ist entweder gestählt oder gebrochen. — [ოცდაათი წლის კაცის გული ან გამოწრთობილია, ან გატეხილია].*

❖ *კაცი რომ სიბერეში ჩონგურს ისწავლის, საქმეს დაუკრავსო.*

- *Ein junger Mann sollte nicht heiraten, ein alter überhaupt nicht.*

❖ *ზოგი კაცი სიბერეს სირეგვენემდე მიჰყავსო.*

– [ახალგაზრდა კაცი არ უნდა დაქორწინდეს, მოხუცი – საერთოდ არა].

- *Alter/Winter und Ehe zähmen Mann und Biest. – [ასაკი (სიბერე) / ზამთარი და ქორწინება ათვინიერებს კაცს და პირუტყვს].*
- *Alter Mann, guter Rat. – [მოხუცი კაცი, კარგი რჩევა].*
- *Jung gefreit hat nie gereut. – ახალგაზრდა ასაკში ქორწინებას სინანული არ მოჰყვება].*
- *Junges Weib ist altem Mann das Postpferd zum Grabe. – [ახალგაზრდა ცოლი მოხუცი კაცისთვის საფლავისკენ მიმავალი საფოსტო ცხენია].*
- *Junges Weib bei altem Mann ist bei Tag Weib und bei Nacht Witwe. – [ახალგაზრდა ცოლი მოხუც კაცთან დღისით ცოლია და ღამე ქვრივი].*
- *Zu lügen ist einem Jungen ein Fehler, bei einem Liebhaber eine Kunst, bei einem Junggesellen eine Leistung und bei einer verheirateten Frau die zweite Natur. - [სიცრუე ჭაბუკისთვის შეცდომაა, შეყვარებულის-თვის (საყვარლისთვის) – ხელოვნება, უცოლო კაცისთვის – საქმიანობა (შრომა), ბერგიჭასა და გათხოვილი ქალისთვის – მეორე ბუნება].*

1.5. ანდაზები ქალიან, გონიერ, ბრძენ, წარმატებულ ქალებსა და მამაკაცებზე

ორივე ენაზე არსებულ ფოლკლორში არსებობს ანდაზები ჭკვიან, ბრძენ წარმატებულ ქალებზე.

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები
• *Eine kluge Frau macht erst den Mann vernünftig. – [ჭკვიანი ქალი თავდაპირველად ქმარს ხდის გონიერს].*	❖ *ქალს უთქვამს, როცა გავჩნდები, სამ დღეს შემინახეთ და მერე ჩემს თავს თვითონ მოვუვლიო.*
• *Hinter jedem erfolgreichen Mann steht eine noch erfolgreichere Frau. – [თითოეული წარმატებული კაცის უკან უფრო წარმატებული ქალი დგას].*	❖ *ოჯახის ძლიერება ქალის ჭკუასა და კაცის ჯიბეზე ჰკიდიაო.*
• *Eine Frau, die eine erhabene Seele, einen unverdorbenen Geschmack, ein sanftes Gemüt und ein reines Herz hat, hat nicht die geringste Aussicht, dass man sie begehrt. – [ქალს,რომელსაც აქვს ამაღლებული სული, უზადო გემოვნება, დამყოლი ზნე (ხასიათი) და სუფთა გული, პატარა შანსიც არა აქვს,რომ ის სასურველია].*	

გაცილებით მეტი ანდაზა შემოგვინახა ფოლკლორმა ჭკვიან, ბრძენ კაცებზე (როგორც გერმანულ, ისე ქართულ ენებში). ჭკვიანი კაცის აზრი ყოველთვის არის გადამწყვეტი და მისაღები. გონიერი მამაკაცი უფრო ერთგულია და მოყვასის მოყვარული.

• *Ein weiser Mann ist stark und ein vernünftiger Mann voller Kraft. – [ბრძენი კაცი ძლიერია და გონიერი კი ძალით სავსე].*	❖ *ჭკვიანი კაცი ტყეში მრუდე შეშას არ მოჭრის: აქ მე გამაწვალებს და შინ_ ჩემს ცოლ-შვილსაო.*
• *Weiser Mann hat Ohren lang und Zunge kurz. – [ბრძენ კაცს გრძელი ყურები და მოკლე ენა აქვს]*	❖ *კაცი რომ ჭკვიანს დაუჯერებს, იმას სულელი არ ეთქმებაო.*
• *Der ist ein kluger Mann, der sich in Menschen schicken kann. – [ჭკვიანი კაცი ის არის, ვისაც ადამიანებთან მორიგება (შეგუება) შეუძლია].*	❖ *ჭკვიანი კაცის გონება გერჩივნოს სულელის ქებასაო.*
• *Weiser Mann, starker Mann. – [ბრძენი კაცი ძლიერი კაცია].*	❖ *გონიერ კაცს ჭკუა თავში აქვს, უგუნურს - თვალებშიო.*
• *Der Mann ist der Herr aller Dinge. - [კაცი ყველა საქმის ბატონ-პატრონია].*	❖ *ღონიერი კაცი ერთს სჯობნის, გონიერი –ათასს.*
• *Der Mann ist das Mass aller Dinge. – [კაცი ყველა საქმის საზომია].*	❖ *კაცი თუ გონიერია, სოფელი ღონიერია.*
• *Die Gedanken einer Frau sind immer nachträgliche Überlegungen. – [ქალის აზრები ყოველთვის დამატებითი მსჯელობებია].*	❖ *კაცი უნდა ბრძენი იყოს, კარგი მოლაპარაკეო, საქმე უნდა მოსდიოდეს, ხელხვავი და ბარაქაო.*
• *Der kluge Mann baut vor. – [ჭკვიანი კაცი წინდახედულია].*	❖ *გონიერი კაცი ქვეყანას ამშვენებს, უგუნური ქვეყანას ამძიმებსო.*
• *Man empfängt den Mann nach dem Gewand und entlässt ihn nach dem Verstand. – [კაცს ტანსაცმლით იღებენ და ჭკუით აცილებენ]*	❖ *გონიერი რასაც აკეთებს, ის მას არ აკვირებსო.*

- *Kein grosser Mann begeht eine kleine Torheit. – [არც ერთი დიდი კაცი სისულელეს არ ჩაიდენს].*

❖ *ჭკვიანი თავი ას თავს აჩენს, სულელი ერთსაც ვერა.*

- *Selbst ist der Mann. – [ჭკვიანია, გონიერია].*

❖ *ჭკვიან კაცს კაი დარშიც მიაქვს ნაბადიო.*

❖ *ჭკვიან კაცს ენას უძრახდნენ, სულელს – ჭკუასაო.*

❖ *უბედურების მიზეზს ჭკვიანი კაცი საკუთარ თავში ეძებს, უჭკუო – სხვაში.*

❖ *მდიდარი სიმდიდრის შეძენას ცდილობს, ბრძენი კი ცოდნისასო.*

მამაკაცების გონიერებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მათ <u>საიდუმლოს შენახვა ქალებზე უკეთ შეუძლიათ.</u>

- *Männer verschweigen fremde, Weiber eigene Geheimnisse. – [მამაკაცები მალავენ სხვათა საიდუმლოებებს, ქალები კი საკუთარს].*

თუმცა <u>ჭკვიანი კაცებიც ხშირად უშვებენ შეცდომებს.</u>

- *Kein weiser Mann ward je genannt, an dem man nicht eine Torheit fand. – [ვერც ერთ ბრძენ კაცს ვერ დავასახელებთ, რომელშიც სიგიჟეს ვერ ვიპოვით]*

❖ *ზოგჯერ ბრძენიც შეცდება.*

1.6. ანდაზები საუკეთესო დიპლომატ, მოხერხებულ (ეშმაკ) ქალებზე

მოძიებულ ანდაზათა გარკვეული ციკლის მიხედვით ქალი საუკეთესო დიპლომატად ითვლება. იგი მოხერხებული, წინდახედული და ეშმაკია. ყოველივე ეს ასახულია ანდაზებში:

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები
• *Frauen sind bessere Diplomaten. – [ქალები უკეთესი დიპლომატები არიან].*	❖ *ქალმა თქვა: მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემს მაზლს არაფერი ხვდაო.*
• *Eine Frau hat eine Auge mehr als ein Mann. – [ქალს კაცზე ერთი თვალით მეტი აქვს].*	❖ *მოხერხებული ქალი წყაროზე წაგიყვანს, წყალს არ დაგალევინებს და ისე წამოგიყვანსო*
• *Zwei Köpfe sind besser als einer, sagte die Frau, als sie ihren Hund mit auf den Markt nahm. – [ორი თავი უკეთესია, ვიდრე ერთი, თქვა ქალმა, რომელმაც თავისი ძაღლი ბაზარში თან წაიყვანა].*	❖ *ქალს ძალა ცოტა აქვს, მოხერხება _ ბევრიო.*
• *Wenn eine Frau spricht, höre auf das, was sie mit den Augen sagt. – [როცა ქალი ლაპარაკობს, იმას უსმინე, რასაც ის თვალებით ამბობს].*	❖ *მოხერხებული ქალი ყოველთვის ცდილობს, შეისწავლოს თავისი ქმარიო.*
• *Wer eine Frau regieren kann, kann eine Nation regieren. - [ვისაც ქალის მართვა შეუძლია, მას შეუძლია ერის მართვა].*	❖ *იმერეთს ქალი დამარხეს, ამერეთს მარგლის გაღჩასო.*
• *Flinke Jäger sind die Weiber, jagen ohne Schuss und Treiber. –*	❖ *გებერმა თქვა, ხარჯს ეწევით, გარეშ მეც დამაქორწინეთო.*

[მარჯვე მონადირენი ქალები არიან, ისინი ნადიროზენ იარაღის და მარეკის გარეშე].

- *Weiberlist geht über alle List. – [ქალების ეშმაკობა ყველა ეშმაკობაზე მაღლა დგას].*

- *Frauen gestehen ihre kleinen Fehler, auf das ihre Aufrichtigkeit die grossen Fehler verdecken mögen. – [ქალები თავიანთ პატარა შეცდომებს აღიარებენ, რათა მათმა გულწრფელობამ დიდი შეცდომები დაფაროს].*

- *Weiberlist, nichts drüber ist. – [ქალების ეშმაკობა – ამაზე მეტი არაფერი არ არსებობს].*

- *Der Weiber Weinen ist Heimlich Lachen. – [ქალის ტირილი ფარული სიცილია].*

- *Bei jungen Pfaffen beichten die Weiber gern. – [ახალგაზრდა მოძღვრებთან ქალები სიამოვნებით ამბობენ აღსარებას].*

- *Wenn die Frau will, kann sie alles. – [ქალმა თუ მოინდომა, მას ყველაფერი შეუძლია].*

- *Die Frauen sagen wohl die Wahrheit aber nie ganz. – [ქალები ნამდვილად ამბობენ სიმართლეს, მაგრამ ბოლომდე არა].*

- *Männer lachen mit ihren Herzen, Weiber nur mit ihren Mündern. – [კაცები გულით იცინიან, ქალები კი პირით].*

- *Eine Katze hat neun Leben, wie die Zwiebel und das Weib sieben Häute. – [კატას აქვს ცხრა ცხოვრება, როგორც ხახვს და ქალს – შვიდი კანი].*

- *Eine Frau muss schlau sein, um eine Närrin zu sein. – [ქალი ეშმაკი უნდა იყოს, რათა იყოს სულელი].*

ანდაზების მიხედვით რადგან <u>ქალი</u> ეშმაკი და მატყუარაა, ის <u>მამაკაცებისთვის გამოცანაა.</u>

- *Die Zwiebel hat sieben Schalen, eine Frau neun. – [ხახვს აქვს შვიდი ფურცელი, ქალს – ცხრა].*

- *Die Frau ist Männern ein Rätsel, aber Frauen wissen übereinander Bescheid. – [ქალი მამაკაცებისთვის გამოცანაა, მაგრამ ქალები ერთმანეთის შესახებ საქმის კურსში არიან].*

- *Die Mädchen in der Welt sind falscher als das Geld. – [გოგონები მსოფლიოში ფულზე ყალბები არიან].*

- *Die Frau ist die Verwirrung /das Leid des Mannes. – [ქალი არის მამაკაცის ტანჯვა (ტკივილი)]*

❖ *არა მწამს რა დიაცისა, არცა მოწმენდილი ცისა.*

- *Eine Frau ist der grösste Widerspruch von allen. – [ქალი ყველაზე უდიდესი წინააღმდეგობაა].*
- *Über Frauen kannst du nie etwas Genaues aussagen, aber falls du es kannst, solltest du es lieber nicht tun. – [ვერასოდეს შეძლებ ქალებზე რაიმეს ზუსტად თქმას, მაგრამ თუ ამას შეძლებ, უმჯობესია არ გააკეთო].*
- *Frauen sind verrückt, Frauen sind eitel: Sie wären lieber schön als dass sie Verstand hätten. – [ქალები შეშლილები არიან, ქალები პატივმოყვარენი არიან: მათთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა, ყოფილიყვნენ ლამაზები, ვიდრე გონიერები (ჭკვიანები)].*
- *Frauen sind schwer zu durchschauen. – [ქალები რთული გამოსაცნობი არიან].*
- *Weiber sind unrichtige Uhren. – [ქალები არაზუსტი საათებია].*

აქედან გამომდინარე, <u>ქალებს (ცოლებს) არ უნდა ენდო.</u>

- *Glaube keinem Weibe, wenn sie auch tot ist. – [არც ერთ ქალს არ ენდო, თუნდაც იგი მკვდარი იყოს]*

❖ *ძაღლი ბოლომდე ერთგულია, ქალი_ შემთხვევამდეო.*

- *Weibern und Geschoss soll niemand trauen. – [ქალებს და ჭურვს (ყუმბარას) არავინ არ უნდა ენდოს].*

❖ *ჩემი ცოლის ღალატი პირველად მე გამაგონოს ღმერთმაო.*

- *Du kannst eine Frau nie auf eine Antwort festlegen. – [ვერასოდეს შეძლებ, განსაზღვრო ქალის პასუხი].*

❖ *მენახირის ცოლი უფრო პატივსაცემია, ვიდრე – მეფის ხასა.*

- *Grossen Herren und schönen Frauen muss man dienen, doch nicht trauen. – [დიდ ბატონებსა და ლამაზ ქალებს უნდა ემსახურო, მაგრამ არ უნდა ენდო].*

❖ *ცოლის ღალატს ყველაზე გვიან ქმარი შეიტყობსო.*

- *Meinung zu ändern ist das Vorrecht einer Frau. – [აზრის შეცვლა ქალის პრივილეგიაა].*

❖ *ვინც ცოლს ენდობა, შეუძლებელია, ოდესმე არ ინანოსო.*

- *Eine Frau hat Schmerz, eine Frau leidet, eine Frau ist krank, wenn sie es sein will. – [ქალს აქვს ტკივილი, ქალი იტანჯება, ქალი ავადაა, როცა მას ეს სურს].*

❖ *ცოლსა და იარაღს ნუ ენდობიო.*

- *Nicht alle, die eine Haube tragen, sind Jungfrauen. – [ყველა ქალწული არ არის, ვინც გაუთხოვარი ქალის ჩაჩს ატარებს]*

❖ *თუ ქალი ერთგულებას გეფიცებათ, გჯეროდეთ, რომ იგი მხოლოდ თქვენ გიღალატებთ.*

- *Trauer um einen Ehemann ist wie ein Schmerz im Ellenbogen – heftig und kurz. – [ქმარზე გლოვა არის, როგორც – ტკივილი იდაყვში, ძლიერი და ხანმოკლე].*

❖ *მტერზე უფრო ცოლის გეშინოდესო.*

❖ *მოყვანილი ქალის ამბავს სამ წელიწადს ნუ იკითხავო.*

- *ალისუბანს ქალი მოკვდა, რუსეთს მარგლის ბოსტანსაო, ნუ ენდობი დედაკაცსა, ნურც მკვდარსა, ნურც ცოცხალსაო.*

- *სხვისი ცოლის მოიმედე ფართოდ ლოგინს ნუ გაიშლიო.*

ერთ–ერთი ანდაზის მიხედვით <u>მამაკაცმა ცოლი ხშირად უნდა გააკონტროლოს,</u> მით უმეტეს, თუ ის ძალიან უყვარს.

- *Wer seine Frau liebt, sollte sie überwachen. – [ვისაც თავისი ცოლი უყვარს, მას უნდა უთვალთვალოს (გააკონტროლოს)].*

მოძიებული ანდაზებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ღარიბი, ან ისეთი ქალები, რომლებსაც სახლზე ზრუნვა და კომფორტი არ აინტერესებთ, ქარაფშუტანი (თავქარიანნი) არიან. <u>სახლის მოწყობა, მასზე ზრუნვა და კომფორტი არის ქალების შესაფერისი საქმიანობა.</u>

- *Nackte Wände/Leere Zimmer machen leichtfertige Hausfrauen/närrische Mädchen.– [შიშველ კედლებს/ცარიელ ოთახებს ქმნიან ქარაფშუტა დიასახლისები/ სულელი გოგოები].*

- *Ein gut eingerichtetes Haus macht eine Frau weise. – [კარგად მოწყობილი სახლი ქალს გრძენს ხდის].*

1.7. ანდაზები ქალისა და მამაკაცის სილარიბესა და სიმდიდრეზე

ანდაზებში, რომლებიც ფულსა ან სიმდიდრესთან არის დაკავშირებული, ყურადღების ცენტრში მამაკაცია, ამიტომ ქალები იშვიათად არიან მდიდრები. თუმცა ისინი, თავიანთი სიღარიბიდან გამომდინარე, მდიდარ მამაკაცებს ეძებენ.

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები
• *Eine verheiratete Frau besitzt nichts ausser ihrem Ehering und ihrem Haarband.– [გათხოვილი ქალი არაფერს ფლობს, თავისი საქორწინო ბეჭდისა და თავისი თმის გაფთის გარდა].*	❖ *ღარიბი ქალი და კაცი დღეში ცხრაჯერ მოკვდებაო.*
• *Ein Taschentuch ist die Geldbörse einer armen Frau. –[ცხვირსახოცი ღარიბი ქალის საფულეა].*	
• *Eine arme Schönheit findet mehr Liebhaber als Ehemänner. – [ღარიბი ლამაზი ქალი უფრო მეტ საყვარელს იშოვის, ვიდრე – ქმარს].*	
• *Liebe ist nicht blind, sie sieht, wo die meisten Taler sind. – [სიყვარული ბრმა არ არის, ის ხედავს, სადაც მეტი ტალერია (ფულია)].*	
• *Geld macht den Mann. – [კაცს ფული აქცევს კაცად].*	
• *Liebe ohne Geld sich selten lange hält. – [სიყვარული ფულის გარეშე იშვიათადაა ხანგრძლივი].*	

ის, რომ ქალისთვის უკეთესია ღარიბი ქმარი შეხვდეს, ვიდრე ქმრის გარეშე დარჩეს. ჩანს გერმანულ ანდაზაში. თუმცა ერთი ქართული ანდაზა ქალს რჩევას აძლევს ამასთან დაკავშირებით.

• *Lieber einen Mann ohne Geld als das Geld ohne einen Mann. – [უკეთესია, გყავდეს უფულო ქმარი, ვიდრე გქონდეს ფული და არ გყავდეს ქმარი].*	❖ *კაცი ფულში გამოსცადეო.*
• *Besser ein Mann ohne Geld als Geld ohne Mann. – [უკეთესია კაცი ფულის გარეშე, ვიდრე ფული კაცის გარეშე].*	❖ *მეფის საყვარლობას მჭედლის ცოლობა სჯობიაო.* ❖ *ღარიბი კაცის ლუკმა გემრიელიაო.* ❖ *ღარიბი კაცის ჰურის ჭამა მადლიანიაო.* ❖ *ბიჭი ის არის, ვინც ორი შაურით აჭმევს ცოლს ჰურსაო.*

ანდაზების მიხედვით მამაკაცისთვის უფრო მნიშვნელოვანია ბედნიერი ქორწინება, ვიდრე მდიდარი მემკვიდრეობის მქონე ქალი.

• *Lieber Glück mit einer Frau als eine Frau mit Erbschaft. – [უმჯობესია ბედნიერება ქალთან, ვიდრე – მემკვიდრე ქალთან].*	❖ *დიდი მზითევი დიდი მონობააო.*
• *Wer die Braut liebt, fragt nicht nach der Mitgift. – [ვისაც საცოლე უყვარს, მზითვს არ კითხულობს].*	
• *Wer die Frau nimmt ihrer Mitgift wegen, kehrt seiner Freiheit den Rücken. –*	

[ვისაც ცოლი მზითვის გამო მოჰყავს, ის თავისუფლებას ზურგს აქცევს]

ანდაზებში ხშირად ჩანს ჩივილი იმასთან დაკავშირებით, რომ ქორწინება კაცს ღარიბს ხდის. ამის მიზეზი კი ქალია, რომელიც შემდეგ წყრომის საგანი ხდება.

- *Es ist billiger, eine Frau zu finden, als zu füttern. – [ცოლის პოვნა უფრო იაფია, ვიდრე – მისი გამოკვება].*
- *Wenn der Mann ledig ist, klimpert das Geld in seinen Taschen. – [როცა კაცი უცოლოა, მის ჯიბეში ფულ იჩხრიალებს].*
- *Wer Not leidet, wenn er verheiratet ist, der wird reich sein, wenn er beerdigt ist. – [ვინც გაჭირვებას ითმენს, თუ ის დაქორწინებულია, გამდიდრდება, როცა დამარხავენ].*
- *Am Morgen wie ein Kaiser, am Mittag wie ein König und am Abend wie ein Bettler. – [დილით – როგორც იმპერატორი, დღისით – როგორც მეფე და საღამოს – როგორც მათხოვარი (გლახა) კაცი].*

შემდეგი ქართული ანდაზების მიხედვით ფიქსირდება პოზიცია: სიღარიბე და გაჭირვება კაცს ყველაფერს გააკეთებინებს.

- *In Nöten sieht man den Mann. – [კაცს გაჭირვებაში ამოიცნობენ].*

❖ *გაჭირვებული კაცი ზღვაში გავაო.*

❖ *კაცი რომ გაღარიბდება, ძველ ვალებს დაუწყებს ძებნასაო.*

❖ *გაზაფხულისა თავზედა ხეს ფურცელი გამოუვა, კაცი რომ გაღარიბდება, თავში ჭკუა გამოუვა.*

ორივე ენამ შემოგვინახა ანდაზები იმასთან დაკავშირებით, რომ <u>ღარიბი კაცი ყოველთვის დაჩაგრული და მიუღებელია.</u>

- *Ein armer Mann ist selten ein Graf. – [ღარიბი კაცი იშვიათად არის გრაფი].*

❖ *ღარიბი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო.*

- *Armer Mann, unwerter Gast. – [ღარიბი კაცი, არასაპატიო სტუმარია].*

❖ *საწყალი კაცის დღესაო არ დაელევა კვნესაო.*

მოკვლეულ მასალებში დაფიქსირდა ანდაზები, რომლებიც <u>მამაკაცებს რჩევებს აძლევენ გამდიდრებასთან დაკავშირებით.</u> ქონების დაგროვება მამაკაცებს ზოგჯერ ბუნებას უცვლის და უარყოფითად წარმოაჩენს, ვინაიდან მათ გამდიდრების გამო ხშირად შეცდომები მოსდით და დაფიქრება სჭირდებათ.

- *Wer reich werden will, muss seine Frau um Erlaubnis bitten. – [ვისაც გამდიდრების სურვილი აქვს, ცოლს ნებართვა უნდა სთხოვოს].*

❖ *კაცი როცა გამდიდრდება, თავში ჭკუა გამოუვა, ზოგი ძილად გადიქცევა, ზოგსაც ძილი არ მოუვა.*

- *Ein Reicher meint weise zu sein, aber ein verständiger Armer durchschaut ihn. – [მდიდარი ფიქრობს, რომ ბრძენია, მაგრამ გონიერი ღარიბი ხვდება, თუ რა კაცია ის].*

❖ *კაცი რომ გამდიდრდება, სახლის კედლები მრუდედ მოეჩვენებაო.*

- *Ein treuer Mann wird von vielen gesegnet; wer aber eilt reich zu werden, wird nicht ohne Schuld bleiben. – [ერთგული ქმარი ბევრისგან იქნება დალოცვილი (კურთხეული), მაგრამ ვინც ჩქარობს, რომ გამდიდრდეს, ვალის გარეშე ვერ დარჩება].*

- *Haus und Hof vererben die Eltern: aber eine verständige Ehefrau kommt vom Herrn. – [სახლი და ეზო მშობლებისაგან მემკვიდრეობით მოდის, გონიერი ცოლი კი ღმერთისგან].*

- *Reiche Männer haben keine Fehler. – [მდიდარი კაცები შეცდომებს არ უშვებენ].*

- *Der ein reiches Weib genommen, ist um seine Freiheit genommen. – [ვინც მდიდარი ქალი მოიყვანა ცოლად, საკუთარ თავისუფლებას გამოემშვიდობა].*

- *Der zuerst gewann, wird zuletzt ein armer Mann. – [ვინც თავდაპირველად მოიგო, ბოლოს ღარიბი კაცი გახდა].*

- *Wer Not leidet, wenn er verheiratet ist, der wird reich sein, wenn er beerdigt ist. – [ვინც გაჭირვებას ითმენს, თუ დაქორწინებულია, მდიდარი გახდება, როცა დამარხავენ].*

❖ *ერთი ღარიბი მამისათვის უფრო ადვილია ათი ვაჟის შენახვა, ვიდრე ათი მდიდარი შვილისათვის ერთი მამის შენახვაო.*

❖ *მდიდარი თავისი წუწუნით საწყალ კაცს თავის სილარიბეს დაავიწყებსო.*

1.8. ანდაზები ყბედ, ლაქლაქა ქალებზე

გერმანულ და ქართულ ანდაზებში ქალი დახასიათებულია, როგორც ჭორიკანა, ლაპარაკის მოყვარული, ყბედი, ლაქლაქა. ქალის სიძლიერე მის გრძელ და კარგად მოძრავ ენაშია, რომელიც არასოდეს არ ბლაგვდება, არ ცვდება და ყველაზე ბოლოს კვდება. ქალს აქვს ძლიერი „ინსტრუმენტი" ენის სახით, რაც ორ ქალს ეყოფოდა.

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები
• *Die Stärke einer Frau liegt in ihrer Zunge. - [ქალის სიძლიერე მის ენაშია].*	❖ *დედაკაცს თუ გმირობა სურს, დაე, ნახევარ საათს გაჩუმდეს.*
• *Das Haar einer Frau ist lang, ihre Zunge länger. – [ქალის თმა გრძელია, მისი ენა კი უფრო გრძელია].*	
• *Die Zunge einer Frau wackelt wie der Schwanz eines Lamms. – [ქალის ენა ბატკნის კუდივით ქანაობს].*	
• *Eine Zunge ist genug für eine Frau. – [ერთი ენა ერთი ქალისთვის საკმარისია].*	
• *Eine Zunge reicht für zwei Frauen. -[ერთი ენა ორ ქალს ეყოფა].*	
• *Die Zunge einer Frau nutzt sich niemals ab. – [ქალის ენა არასოდეს არ ცვდება].*	
• *Die Zunge ist das letzte an einer Frau, was stirbt. – [ქალის ენა ყველაზე ბოლოს კვდება].*	

- *Wo immer eine Frau ist, ist Tratsch. – [იქ სადაც ქალია, ყოველთვის ლაქლაქია]*
- *Die Fische sind stumm, aber die Fischweiber nicht. – [თევზები მუნჯები არიან, მაგრამ დედალი თევზები – არა].*
- *Weiber findet man nie ohne Rede. – [ქალები არასოდეს ჩუმად არ არიან].*
- *Ein Weib verschweigt, was sie nicht weiss. – [ქალი მალავს იმას, რაც მან არ იცის].*
- *Bei den Weibern ist des Schwatzens hohe Schule. – [ქალებთან ლაქლაქი უმაღლესი სკოლაა].*

<u>ქალები იწვევენ ბევრ ხმაურს,</u> სადაც ისინი ცხოვრობენ მუდმივად თუ დროებით.

- *Dreier Weiber Gezank macht einen Jahrmarkt. – [სამი ქალის ჩხუბი ბაზრობას ჰგავს].*
- *Wenn Frauen gehen, hinterlassen sie Frieden. - [როცა ქალები მიდიან, ისინი მშვიდობას ტოვებენ].*
- *Viele Frauen, viele Worte; viele Gänse, viele Köttel. – [ბევრი – ქალი, ბევრი – სიტყვა; ბევრი – ბატი, ბევრი – სკინტლი].*

მიიჩნევენ, რომ ქალები ამბობენ ყველაფერს და ყვებიან ბევრს. ქალები საუბრობენ სხვა ადამიანების შესახებ და ავრცელებენ ამბებს, რომლებიც არ უნდა გაავრცელონ, რადგან მათ თავის შეკავება არ შეუძლიათ. არც ერთ ქალს არ სურს იმის გაგონება, რომ რაღაც საიდუმლოდ უნდა დარჩეს, რადგან მას არ შეუძლია, რომ ეს სხვას არ მოუყვეს. მხოლოდ ის ამბები რჩება საიდუმლოდ, რაც მან არ იცის. მანდილოსანთა ეს მავნე ჩვევა ანდაზებშიც გაჟღერდა.

- *Ein Mann, ein Wort; eine Frau ein Wörterbuch. — [კაცის სიტყვა სიტყვაა, ქალის სიტყვა ლექსიკონი].*

- *Jede Frau kann ein Geheimnis für sich behalten, aber sie braucht gewöhnlich eine andere, die ihr dabei hilft. – [თითოეულ ქალს შეუძლია საიდუმლო თავისთვის შეინახოს, მაგრამ მას სჭირდება სხვა, ვინც ამაში მას დაეხმარება].*

- *Das einzige Geheimnis, das eine Frau für sich behalten kann, ist ihr Alter. — [ერთადერთი საიდუმლო, რომლის შენახვაც ქალს თავისთვის შეუძლია, ეს ასაკია].*

- *Eine Frau verschweigt, was sie nicht weiss. — [ქალი მალავს (დუმს იმაზე), რაც მან არ იცის].*

- *Es gibt drei Arten der Kommunikation: Sag´s per Telefon, sag´s per Telegraph, sag´s einer Frau. — [კომუნიკაციის*

❖ *არ ვარგა ქალი მეჭორე, სოფლად _ ვაჟკაცი მკვეხარი: გაუჭირდება, შადგება, როგორც უღელში მჭლე ხარი.*

❖ *ქალს თავზე ცეცხლი რომ ეკიდოს, საჭორაო დროს მაინც იპოვისო.*

სამი სახეობა არსებობს: თქვი ტელეფონით, თქვი ტელეგრაფით, უთხარი ეს ქალს].

- *Was eine Frau über ein Flüstern hinaus zu sagen hat, ist nicht hörenswert. — [რაც ქალს ჩურჩულის გარდა აქვს სათქმელი, მოსმენის ღირსი არ არის].*
- *Eine Frau sagt mehr, als in allen Büchern der Welt geschrieben steht. – [ქალი იმაზე მეტს ამბობს, ვიდრე მსოფლიოს ყველა წიგნში წერია].*
- *Frauen sind grossartige Erzählerinnen. — [ქალები დიდებული მთხრობლები არიან.*
- *Zehn Mass Rede wurden vom Himmel herabgeschickt, und die Frauen nahmen neun. — [ციდან მეტყველების ათი საზომი ჩამოაგდეს და ქალებმა ცხრა აიღეს].*
- *Eine Frau muss immer ihren Kommentar geben und ihren Willen durchsetzen. — [ქალმა თავისი კომენტარი უნდა გააკეთოს და საკუთარი სურვილი განახორციელოს].*
- *Frauen haben immer das letzte Wort — [ქალებს ყოველთვის ბოლო სიტყვა აქვთ].*

- *Wahrheit sprechen die Frauen, aber man darf stets nur die Hälfte trauen. — [ქალები სიმართლეს ლაპარაკობენ, მაგრამ მუდმივად მხოლოდ ნახევრის დაჯერება შეიძლება].*

ზოგიერთ კაცს აქვთ ბედნიერება, ისეთი ცოლი შეხვდეს, რომელიც ცოტას ლაპარაკობს. დუმილი ქალის დადებით თვისებად ითვლება და ის ქალია კარგი, რომელიც დუმილს არჩევს. უთქმელობა და თავშეკავებულობა ქალს უხდება. მშვენიერი იქნებოდა, თუ ქალს შეეძლებოდა ჩუმად ლაპარაკი და დუმილი. მაგრამ ეს იშვიათად ხდება. ორივე ენამ შემოგვინახა ამის დამადასტურებელი ანდაზები.

- *Kein Kleid steht einer Frau besser, als schweigen. — [არც ერთი კაბა არ შვენის ქალს იმაზე უკეთ, ვიდრე – დუმილი].*
- *Schweigen ist an einer Frau ein hübscher Juwel, aber er wird selten getragen. — [დუმილი ქალის ულამაზესი სამკაულია, მაგრამ მას იშვიათად ატარებს.*
- *Eine sanfte und leise Stimme ist eine exzellente Eigenschaft für eine Frau. — [ნაზი და წყნარი ხმა ქალისთვის ჩინებული სამკაულია].*
- *Freundliche und wenige Wörter sind die Zierde einer Frau. — [თავაზიანი და ცოტა სიტყვა ქალის სამკაულია (მშვენებაა)].*

❖ *ქალს ამშვენებს სიდარბაისლე და სიტყვაძვირობაც.*

- *Die beste Frau ist die, die nicht spricht. – [საუკეთესო ქალი ისაა, რომელიც არ ლაპარაკობს].*

- *Diskrete Frauen haben weder Augen noch Ohren. – [მოკრძალებული (თავშეკავებული, ტაქტიან) ქალებს არც თვალები აქვთ და არც ყურები].*

- *Schlecht geht's der Frau, die keine Zunge hat, aber gut dem Mann, der sie kriegt. – [ცუდად არის ქალი, რომელსაც ენა არა აქვს, მაგრამ კარგად არის კაცი, რომელიც მას ხელში ჩაიგდებს)].*

- *Männer sollen reden, Frauen schweigen. – [კაცებმა უნდა ილაპარაკონ, ქალები ჩუმად უნდა იყვნენ].*

ერთი გერმანული ანდაზა გამოხატავს <u>ბიბლიურ (ეკლესიურ) პოზიციას.</u>

- *Das Weib schweige in der Kirche. – [ქალი ჩუმად არის ეკლესიაში].*

გერმანულ ენაში მოვიძიეთ ანდაზები, რომელთა მიხედვითაც ცოლ-ქმრის ურთიერთობიდან შეიძლება დავასკვნათ: ისინი ახლად დაქორწინებულები არიან თუ არა და მათი <u>ქორწინება რამდენად ღიბლიანია.</u>

- *Ein Mann ist frisch verheiratet, der seiner Frau alles erzählt. – [კაცი ახლად დაქორწინებულია, რომელიც თავის ცოლს ყველაფერს უყვება].*
- *Wer seiner Frau alles erzählt, kann nur frisch verheiratet sein. – [ვინც თავის ცოლს ყველაფერს უყვება, ის ახლად დაქორწინებულია].*
- *Wer seiner Frau alles erzählt, weiss wenig. – [ვინც თავის ცოლს ყველაფერს უყვება, მან ცოტა იცის].*
- *Gesegnet ist die Frau, die ein Geheimnis für sich behalten kann, und der Mann, der es seiner Gattin nicht erzählt. – [დალოცვილია (კურთხეულია) ის ქალი, რომელსაც შეუძლია საიდუმლოს შენახვა და კაცი, რომელიც საიდუმლოს თავის მეუღლეს არ უყვება].*

1.9. ანდაზები ბოროტ და შურიან ქალებსა და მამაკაცებზე

ბოროტება და შური ყველაზე საშინელი თვისებაა, რაც კი შეიძლება ადამიანს ახასიათებდეს.

<u>ქალები ხშირად ბოროტები და შეუღწევადნი არიან.</u> ისინი თავს იკატუნებენ, სასტიკნი არიან შურისძიებაში, ურყევნი (გაუტეხელნი) არიან თავიანთ გეგმებში, ურცხვნი და უსინდისონი,სავსენი საზიზღარი შურით.

რამდენადაც გერმანელი და ქართველი ხალხი ქალს, დედას ოდითგანვე პატივს სცემდა, იმდენად ის წყევლა-კრულვით იხსენებდა ბოროტ ქალს. ქვემოთ მითითებულ ანდაზებში ხალხის ასეთი ქცევისადმი დამოკიდებულება ვლინდება.

<u>გერმანული ანდაზები</u>	<u>ქართული ანდაზები</u>
• *Vor Feuer und Wassersnot, vor einem bösen Weibe bewahr uns Gott. – [ღმერთმა დაგვიფაროს ცეცხლისგან, წყალდიდობისა და ბოროტი ქალისგან].*	❖ *მტერზე უფრო ცოლის გეშინოდესო.*
• *Die Welt ist voll von bösen Frauen. – [სამყარო (მსოფლიო) სავსეა ბოროტი ქალებით].*	❖ *ბოროტ კაცზე უფრო ბოროტი ქალის გეშინოდესო*
• *Mit bösen Weibern kannst du den Satan aus der Hölle jagen. - [ბოროტ ქალებთან ერთად შეგიძლია სატანა ჯოჯოხეთიდან გააძევო].*	❖ *ქალს ასი სული აქვსო.*
• *Frauen sind die Wurzel allen Übels. – [ქალები არიან ბოროტების (უბედურების) ფესვები].*	❖ *ქალს კატის სული აქვსო.*

- *Nach der Hochzeit erkennt man des Weibes Bosheit. – [ქალის ბოროტებას ქორწილის შემდეგ იგებენ].*

- *Wer ein böses Weib hat, braucht keinen Teufel. – [ვისაც ბოროტი ცოლი ჰყავს, მას ეშმაკი არ სჭირდება].*

- *In Bosheiten sind Frauen weiser als Männer. – [ბოროტებებში ქალები უფრო ბრძენები არიან, ვიდრე – მამაკაცები].*

- *Einem bösen Weibe, soll man eher weichen, als es schlagen. – [ბოროტ ქალს უკეთესია დაუთმო, ვიდრე – სცემო].*

- *Bösem Weibe kann niemand steuern. – [ბოროტი ქალს მესაჭე ვერავინ ვერ იქნება].*

- *Drei Dinge treiben den Mann aus dem Hause: Rauch, ein Übel Dach und ein böses Weib. – [სამი რამ აგდებს კაცს სახლიდან: კვამლი, ცუდი სახურავი და ბოროტი ქალი].*

- *Das Weib ist zur Bosheit mehr geneigt als der Mann. – [ბოროტებისადმი ქალს უფრო მეტი მიდრეკილება აქვს, ვიდრე – მამაკაცს].*

❖ *თუ ქალმა მოინდომა ეშმაკობა, ის კაცზე უარესიაო.*

❖ *ცოლს თუ ნაკლზე არ მიუთითე, აქეთ მოგიძებნისო.*

❖ *დედაკაცი რომ კარგი იყოს, ღმერთსაც ცოლი ეყოლებოდაო.*

რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ჩვენს საკვლევ ენებში მოვიძიეთ ანდაზები იმასთან დაკავშირებით, რომ <u>ახალგაზრდა, შესანიშნავი გოგონა ბოროტი მეუღლე ხდება.</u>

- *Alle sind gute Mädchen, aber wo kommen die schlechten Ehefrauen her? – [გოგონა ყველა კარგია. მაგრამ საიდან მოდიან ცუდი ცოლები].*
- *Gute Mädchen, schöne Jungfrauen, - woher kommen nur die bösen Alten? – [კარგი გოგონები, ლამაზი ქალწულები, – საიდან მოდიან ბოროტი მოხუცები?]*
- *Ein gutes/reines Mädchen wird oft eine schlechte Ehefrau. – [კარგი/წმინდა (უმანკო) გოგონა ხშირად ცუდი ცოლი ხდება].*
- *Ein Juwel von Tochter wird eine wertlose Ehefrau. – [ძვირფასი ქალიშვილი გაუფასურებული მეუღლე ხდება].*
- *So mancher Mann bringt seine Frau singend nach Hause, wüsste er, was er gebracht hat, würde er weinen. – [ზოგიერთ კაცს თავისი ცოლი სიმღერით მიჰყავს სახლში, რომ იცოდეს, ვინ მიიყვანა მან, იტირებდა].*

❖ *სანამ ქალი გასათხოვარია, მღერის, –გათხოვდება და ტირის.*

არანაკლებ საშიშია <u>ბოროტი, ფლიდი კაცი.</u> შემდეგი ანდაზები ამის დასტურია.

- *ein böser Mann ist ein Teufel, eine böse Frau eine Hölle. – [ბოროტი კაცი ეშმაკია, ბოროტი ქალი – ჯოჯოხეთი].*

❖ *კაცი არ ეთქმის ბოროტსა და ქლესას, ვინც მოყვასს მტრობს და სამსალით გესლავს.*

❖ *გულკეთილობა კაცს ააშენებს, ბოროტება კი დააქცევს.*

❖ *გველმა კბენა არ იცოდა და კაცმა ასწავლაო.*

❖ *კაცი კაცის მტერია, ძაღლი კი ერთგულიაო.*

კაცის ბოროტების კულმინაციაა ის, რომ მან შეიძლება <u>დიდი ცოდვა ჩაიდინოს ღმერთის წინაშე და კაცი მოკლას.</u> ქართულმა ენამ შემოგვინახა ამის დამადასტურებელი ანდაზები.

❖ *კაცის მკვლელს ღმერთი არ გაახარებსო.*

❖ *კაცის მკვლელის აღსასრული, აგერ, ყურის ძირშიაო.*

❖ *კაცის მკვლელი საკუთარ თავს თავადვე ამოიჭამსო.*

❖ *უცაბედად კაცს კაციც კი შემოაკვდებაო.*

❖ *დადარაჯებულ მკვლელს ვაჟკაცობის არაფერი სცხიაო.*

ორივე ენის ფოლკლორმა შემოგვინახა ანდაზები <u>შურიან კაცზე.</u> შურიან ქალებზე კი ორივე ენაში გაგვიჭირდა ანდაზების მოძიება.

- *Der Neid frisst seinen eigenen Herrn. – [შური ჭამს თავის საკუთარ ბატონს].*

❖ *შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკლად ეჩხირებოდაო.*

- ❖ *შურიან კაცს მეზობლის ვარდი ეკლად მიაჩნდაო.*
- ❖ *შურიანი კაცი დაბრჩობას გადაარჩინეს და გადამრჩენის კაცობა შეშურდაო.*
- ❖ *შურიანი კაცის უბედურება სხვისი გედნიერებააო.*

1.10. ანდაზები მოჩხუბარ ქალებსა და მამაკაცებზე

ძალიან ბევრ გერმანულსა და ქართულ ანდაზაში <u>ქალები (ცოლები) აღწერილნი არიან, როგორც მოჩხუბარნი, კაპასნი, ანჩხლნი, ავნი.</u>

<u>გერმანული ანდაზები</u>	<u>ქართული ანდაზები</u>
• *Es hat nie einen Streit ohne eine Frau gegeben. – [არასოდეს არ ყოფილა ჩხუბი ქალის გარეშე].*	❖ *კაპასმა ქალმა ძაღლი დააბა და თვითონ ყეფდაო.*
• *Wer eine Frau hat, hat Streit. – [ვისაც ცოლი ჰყავს, ჩხუბიც აქვს].*	❖ *ავი ცოლის ყოლას ავი ძაღლის ყოლა სჯობიაო.*
• *Die Weiber führen das Schwert im Maul. – [ქალებს დაშნა აქვთ პირში].*	❖ *ანჩხლი ცოლი ქმარს ჭკუაზე შლისო.*
• *Die Streitereien der Frauen erzeugen die Kriege der Männer. – [ქალების კინკლაობანი წარმოშობენ მამაკაცების ომებს].*	❖ *დიაცის ენას ეკლები ასხიაო.*
• *Besser in der Wüste wohnen, als bei einem zänkischen und zornigen Weibe. –*	❖ *წვერის დაგლეჯა სჯობია ავი ცოლის ხელთ ყოფნასა.*

[უკეთესია უდაბნოში ცხოვრება, ვიდრე – მოჩხუბარ და მრისხანე ქალთან ერთად].

- *Besser im Winkel auf dem Dach wohnen, als mit einem zänkischen Weibe zusammen in einem Hause. – [უკეთესია კუთხეში სახურავზე ცხოვრება, ვიდრე – სახლში ანჩხლ (მოჩხუბარ) ქალთან ერთად].*

❖ *ცოლის ამორჩევაში უფრო ყურები მოიშველიე, ვიდრე თვალები.*

- *Es ist besser auf dem Hausdach als mit einer zankenden/keifenden Frau /in einem geräumigen Haus zu leben. – [უკეთესია სახლის სახურავზე ცხოვრება, ვიდრე – დიდ სახლში მოჩხუბარ ქალთან ერთად].*

❖ *ავი დიაცი ჯამ-ჭურჭელსაც წვრთნას დაუწყებსო.*

- *Ein Hund ist klüger als eine Frau, er bellt seinen Herrn nicht an. – [ძაღლი ქალზე ჭკვიანია, ის თავის ბატონს არ შეუყეფს].*

❖ *რასაც ავი ქალი გასწევს, იმას უღელი ხარკამეჩიც ვერ მოერევაო.*

- *Es gibt kaum einen Streit, in dem eine Frau nicht die antreibende Kraft gewesen wäre. – [თითქმის არ არსებობს ჩხუბი, რომელშიც ქალის წამქეზებლური ძალა არ ყოფილიყო].*

❖ *ვაჟკაცსა ცოლის სიავე შუა გზას მოაგონდება, წაიღებს საფიქრებელი, გზას იქით გადავარდება.*

- *Es ist besser ein zänkisches Weib zu sein, als ein Schaf. – [უკეთესია, ანჩხლი ქალი იყო, ვიდრე – ცხვარი].*

❖ *ავი დიაცი ნადირთა დაპყრობად უძნელესიაო.*

- *Je weniger Frauen, desto weniger Ärger. – [რაც უფრო ცოტა ქალია, მით უფრო ნაკლები რისხვაა].*

❖ *ვინ დაგაბერაო და ავმა ცოლმაო.*

- *Wenn zwei Frauen zusammen kommen, ist eine dritte in die Mache genommen. – [როცა ერთად ხვდება ორი ქალი, მესამეს კიცხავენ].*

❖ *ქმარს გაყრილი ავი ცოლი ისე როგორ წახდებაო, ქმარზე ჯავრი არ იყაროს, თავს დაამხოს სახლობაო.*

❖ *ცოლი ხალხი არ არის, იგი დიდხანს არ მოგითმენსო.*

❖ *ღმერთო, მაშორე ავი კაცის ვალსა, დედაკაცის შარსა.*

გერმანულ ენაში ანდაზების მიხედვით, ერთმანეთს ადარებენ <u>ორ დიდ, ზარალსა და</u> მავნებლობას: <u>ქალების ჩხუბსა და მუდმივად კვამლიდან წყლის წვეთას.</u>

- *Ein rauchender Schornstein und eine keifende Frau sind zwei schlechte Gefährten. – [აბოლებული საკვამლე მილი და გუზღუნა ცოლი ცხოვრების ორი ცუდი თანამგზავრია].*

- *Ein unaufhörliches Tropfen an einem sehr regnerischen Tag und eine streitsüchtige Frau sind dasselbe. – [უწყვეტი წვეთები ძალიან წვიმიან დღეს და ჩხუბის წამომწყები ქალი ერთი და იგივეა].*

- *Drei Dinge treiben einen Mann aus seinem Haus – Rauch, Regen und ein zänkisches Weib. – [სამი რამ აგდებს კაცს სახლიდან (აიძულებს სახლიდან გაცლას) – კვამლი, წვიმა და მოჩხუბარი ცოლი].*

- *Ein zänkisches Weib und ein triefendes Dach, wenn´s sehr regnet, lassen sich miteinander vergleichen; wer sie aufhalten will, der will den Wind aufhalten und will Öl mit der Hand fassen. – [ანჩხლი ქალი და მწვეთავი სახურავი, როდესაც ძალიან წვიმს, შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ. ვისაც სურს, ისინი შეაჩეროს, მას სურს შეაჩეროს ქარი და ხელით შეეხოს ნავთს].*

- *Ein närrischer Sohn ist das Elend des Vaters, und die Streitereien einer Frau sind ein unaufhörliches Tropfen. – [სულელი ვაჟიშვილი მამის უბედურებაა და ცოლის კინკლაობანი მისი უწყვეტი წვეთები].*

ბევრ გერმანულ ანდაზაში ჩანს, რომ <u>ორ ქალბატონს ჩხუბის გარეშე არ შეუძლია ერთ სახლში ცხოვრება.</u>

- *Ein Haus, darin zwei Frauen sind, wird nicht rein gefegt. – [ის სახლი, რომელშიც ორი ქალია, სუფთად არ დაიგვება].*

- *Zwei Frauen im selben Haus sind nie einer Meinung. – [ორ ქალს ერთსა და იმავე სახლში არასოდეს არ აქვს ერთი აზრი].*

- *Zwei Frauen in einem Haus, da ist eine zuviel. – [ორი ქალი ერთ სახლში – ამათგან ერთი ზედმეტია].*

- *Zwei Katzen und eine Maus, zwei Ehefrauen in einem Haus, zwei Hunde und ein Knochen sind nie einer Meinung. – [ორ კატასა და ერთ თაგვს, ორ ცოლს ერთ სახლში, ორ ძაღლსა და ერთ ძვალს არასოდეს ერთი აზრი არ აქვთ].*

- *Ärger: Zwei Frauen unter einem Dach. – [ჩხუბი: ორი ქალი ერთ ჭერქვეშ].*

- *Kein Haus gross genug für zwei Frauen. – [არც ერთი სახლი არ არის საკმაო სიდიდის ორი ქალისთვის].*

- *Zwei Töpfe am Feuer bedeuten ein Fest, zwei Frauen zusammen – ein Gewitter. – [ორი ქოთანი ცეცხლთან – ნიშნავს დღესასწაულს. ორი ქალი ერთად – ნიშნავს ჭექა–ქუხილს].*

- *Zehn Männer vertragen sich eher zusammen in einem Sack als zwei Frauen in einem Haus. – [ათი კაცი უფრო მეტად ეგუება ერთმანეთს ერთ ტომარაში, ვიდრე ორი ქალი ერთ სახლში].*

ქალები უფრო ნაკლებად შეთანხმებულნი და ერთი აზრისანი არიან, ვიდრე – მამაკაცები. <u>ისინი ანდაზებში არიან ჯიუტები და კერპები</u>. მათ აქვთ თვისება: ყოველთვის ის გააკეთონ, რასაც ისინი სწორად თვლიან. ხშირად <u>ქალები კაცებსაც აშინებენ.</u>

- *Frauen haben immer das letzte Wort. – [ქალებს ყოველთვის ბოლო სიტყვა აქვთ].*

❖ *ცუდია იგი მამაცი, დიაცმა შეაშინოსა.*

- *Ein Mann meint zu wissen, aber eine Frau weiss es besser. – [კაცი ფიქრობს, რომ იცის, მაგრამ ქალმა უკეთესად იცის].*
- *Ein Mann ist nur so weise, wie seine Frau meint. – [კაცი იმ დოზით არის ბრძენი, როგორც ამას მისი ცოლი ფიქრობს].*
- *Bei Frauen endet die Freundschaft, wenn die Rivalität beginnt. – [ქალებთან მეგობრობა მთავრდება, როცა მეტოქეობა იწყება].*

არსებობს ანდაზები ოჯახში <u>მოჩხუბარ კაცებზე</u>, როდესაც კაცი <u>ცოლს ირთავს, იწყება ჩხუბი და რისხვა</u> ქორწინების შემდეგ.

- *Wenn ein Mann heiratet, fängt der Ärger an; wenn er stirbt, hört der Ärger auf. – [როცა კაცი ქორწინდება, იწყება ჯავრი; როცა ის კვდება, ჯავრი წყდება].*

❖ *ავი კაცი აღდგომასაც ავიარ.*

- *Nähnadeln und Stecknadeln: wenn ein Mann heiratet, beginnt der Ärger. – [საკერავი ნემსები და გულის ქინძისთავები: როცა კაცი ქორწინდება, მისი ჯავრი იწყება].*

❖ *ავი კაცი აქე და ერიდეო.*

- *Jeder Mann kann ein zänkisches Weib beherrschen / zähmen ausser dem, der hat. –*

❖ *ავ კაცს შორიდან შემოუარეო.*

[ყველა კაცს შეუძლია ანჩხლი ქალის მოთვინიერება, გარდა იმ ქალისა, რომელიც მას ჰყავს].

- *Die Männer, deren Weiber nicht keifen /schelten, sind im Himmel. – [მამაკაცები, რომელთა ცოლები არ გუზღუნებენ/ არ ილანძღებიან, ცაში არიან].*

❖ *ავკაცობა ლაფი არის, ძნელზე ძნელი სატოპავი.*

- *Ohne Frau ist ein Leben ganz passabel, mit ihr ist es schlimmer. – [ქალის გარეშე ცხოვრება სავსებით ასატანია, მასთან ერთად უფრო ცუდია].*

❖ *ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.*

- *Wie Kohlen die Glut und Holz das Feuer, so fängt ein zänkischer Mann den Streit an. - [როგორც ნახშირი იწყებს გავარვარებას და შეშა ცეცხლს აჩენს, ისე იწყებს ანჩხლი კაცი ჩხუბს].*

❖ *ავი კაცის ლუკმას ძაღლიც არ შეჭამსო.*

- *Ein Mann, der seinen Zorn nicht zurückhalten kann, ist wie eine offene Stadt ohne Mauern. – [კაცი, რომელსაც რისხვისგან თავის შეკავება არ შეუძლია, ჰგავს ღია ქალაქს გალავნის გარეშე].*

❖ *ავი კაცი თავისი თავის მტერიაო.*

- *Ein zorniger Mann richtet Streit an, und ein Grimmiger tut viel Sünde. – [მრისხანე (გრაზმორეული) კაცი ემზადება ჩხუბისთვის, მძვინვარე ბევრ ცოდვას ჩადის].*

❖ *ავი კაცი ცხვრის ქურქში ყოფნას დიდხანს ვერ შეძლებს. ერთიც იქნება და სისხლიან თვალებს დააბრიალებსო.*

- *Zorn ist ein Mann, Sanftmut ist eine Frau – [კაცი რისხვაა, ქალი უწყინარობა].*

❖ *ავი კაცის ლუკმას ძალლიც არ შეჭამსო.*

- *Lieber eine stille Närrin heiraten als fröhliches zänkisches Weib. – [უმჯობესია წყნარ სულელ ქალზე დაქორწინება, ვიდრე – მხიარულ მოჩხუბარ ქალზე].*

❖ *ზოგ კაცსა ანგარიშის რცხვენია და ჩხუბის –არაო.*

- *Eine Ehre ist es dem Mann, dem Streit fern zu bleiben; aber die gerne streiten, sind allzumal Toren. – [კაცისთვის ღირსებაა, ჩხუბისგან შორს დარჩეს; მაგრამ ისინი, რომლებიც სიამოვნებით ჩხუბობენ, ყველანი ერთად სულელები არიან].*

❖ *კაცი თავისი ენით პატივს კიდევაც დაიყრის და კიდევაც აიყრისო.*

- *Manche Männer sind am fröhlichsten, wenn sie am weitesten von zu Hause weg sind. – [ზოგიერთი კაცი ძალიან მხიარულია, როცა ის სახლიდან შორსაა წასული].*

❖ *კაცს ენა მოატყუებს და ძროხას – მარილიო.*

❖ *დიახ, გიჯობს მოეშორო ავის კაცის სამსახურსო.*

❖ *ავკაცობა არავის არ შერჩენიაო.*

❖ *ავ კაცს ქრთამით მოშორდიო.*

❖ *გრძელი ენა კაცს სიცოცხლეს უმოკლებს.*

❖ *ენა კაცს კიდეც გადაარჩენს, კიდეც მოკლავსო.*

❖ *რა ცუდია ცუდი კაცი, ცუდი სიტყვისთვის მზად არისო.*

❖ *ავ კაცს მეზობლის წიწილა ბატი ეგონაო.*

ქართულ ენაში მოვიძიეთ ანდაზები **ჯიუტ, ჯინიან კაცებზე.**

- *ჯიუტი თხები წყალმა მოარჯულა, ჯიუტი კაცები _ ვერც ღვინომო.*
- *ჯინიანი კაცი წინ ვერ წაიწევსო.*

ანდაზების მიხედვით, **კაცი შეიძლება ისე ცუდად მოიქცეს, რომ მას კარგმა ცხოველმა აჯობოს.**

- *Ein Mann kann machen, dass ihn seine eigenen Hunde beissen. – [კაცი შეიძლება ისე მოიქცეს, რომ იგი საკუთარმა ძაღლებმა დაკბინონ].*

- *კარგმა ძაღლმა ავ კაცს აჯობაო.*

ერთი გერმანული ანდაზის მიხედვით **უცოლო კაცი (ბერბიჭა) არის მძიმე ხასიათის,** რადგან მას „რთული მეუღლე“ ჰყავს.

- *Ein alter Junggeselle ist schwierig, weil er nie eine Frau hatte, die schwierig für ihn war. – [ბერბიჭა რთულია, რადგან მას არასოდესჰყოლია ცოლი, რომელიც მისთვის რთული იქნებოდა].*

1.11. ანდაზები საშიშ, ეშმაკისეულ ქალებზე

ქვემოთ დასახელებულ მოკვლეულ ანდაზებში უხვად გვხვდება მანდილოსანთა ამა თუ იმ თვისების დამადასტურებელი ნიმუშები. ფოლკლორული მასალები მათ სხვადასხვა ამპლუაში წარმოგვიდგენს. ანდაზები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ, გარკვეულწილად, ყველა ქალი საშიშია. ასევე მათ ბევრი ცუდი რამის ჩადენა შეუძლიათ.

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები
• *Die Rache einer Frau kennt keine Grenzen. – [ქალის შურისძიებას საზღვარი არ აქვს].*	❖ *ქმარი ციხეში მიჰყავდათ და ცოლი კაბის საყიდლად ნიმუშს აძლევდაო.*
• *Mit Frauen zu lachen ist gefährlicher als mit Männern zu kämpfen. – [ქალებთან სიცილი უფრო საშიშია, ვიდრე – კაცებთან ბრძოლა].*	❖ *ერთი ბიჭი ქალიშვილს ეპრანჭებოდა, დედა კი_ მას.*
• *Ein Mann jagt eine Frau, bis sie ihn fängt. – [კაცი ქალზე ნადირობს, ვიდრე ქალი მას არ დაიჭერს].*	❖ *მეზობლის ბიჭების იმედზე გათხოვილი გოგო ერთ წელიწადში უკან დაბრუნდაო .*
• *Wo die Hausfrau herrscht, wächst die Petersilie schneller. – [სადაც დიასახლისი მეფობს, იქ ოხრახუში უფრო სწრაფად იზრდება].*	❖ *კაცი ჩამოსახრჩობად მიჰყავდათ და ცოლი ეუბნებოდა: დაიცა, წითელი ქოშები მიყიდეო.*
• *Es gibt zwei Arten von Frauen: solche, die nehmen, was du bist. und solche, die nehmen, was du hast. – [ორი სახის ქალები არსებობენ: ერთნი, რომლებიც გიღებენ ისეთს,როგორიც ხარ; მეორენი, რომლებიც იღებენ იმას, რაც გაქვს].*	

- *Der Rat der Frauen ist kalt. – [ქალების რჩევა ცივია].*
- *Die Gedanken einer Frau sind wie ein Winterwind. – [ქალის აზრები ისეთივეა, როგორიც ზამთრის ქარი].*
- *Auf heiteren Himmel und lachende Frauen ist nicht zu bauen. – [მოწმენდილ ცასა და მოცინარე ქალებზე არაფრის აგება არ შეიძლება]*
- *Küsse von einer Frau zu bekommen ist wie Oliven aus einer Flasche zu kriegen: zuerst ist es teuflisch schwierig, aber die restlichen kommen leicht. – [ქალისგან კოცნა მიიღო, ეს იგივეა, როგორც ზეთისხილი მიიღო ბოთლიდან: თავდა-პირველად ეს ჯოჯოხეთურად რთულია, მაგრამ დანარჩენი ადვილად გადმოდის].*
- *Eine Frau mit zwei Gesichtern und ein eifersüchtiger Mann sind der Grund für Ärger, seit die Welt begann. – [მას შემდეგ, რაც სამყარო არსებობს, რისხვის საფუძველია ორსახიანი ქალი და ეჭვიანი მამაკაცი].*

ქალები საშიშნი არიან, რადგან <u>მათ შეუძლიათ კაცები დაღუპონ (დაამარცხონ) ისევე, როგორც ეს ბანქოსა და სასმელს შეუძლია.</u>

- *Man sieht es an der Nase bald, ob Weiber warm sind oder kalt. – [კაცებს ცხვირზე შეატყობ, მათი ცოლები თბილები არიან თუ ცივები]*

- *Wein, Frauen und Gesang bringen den Mann auf die schiefe Bahn. – [ღვინოს, ქალებსა და სიმღერას კაცი ცხოვრების არასწორ გზაზე მიჰყავს].*

- *Spiel, Frauen und Wein bringen Männern lachend Kummer. – [თამაშს, ქალებსა და ღვინოს კაცებისათვის სიცილით მოაქვთ მწუხარება].*

- *Weiber, Wein und Würfelspiel verderben Menschen viel. – [ქალები, ღვინო და კამათელი ღუპავს კაცებს].*

- *Frauenlieb und süsser Wein kann morgen beides Essig sein. – [ქალების სიყვარული და ტკბილი ღვინო – დილით ორივე შეიძლება ძმრად იქცეს].*

- *Spiel, Frau und Wein zerstören Männer lachend. – [თამაში, ქალი და ღვინო კაცებს სიცილით ანადგურებენ].*

- *Würfeln, Herumhuren und Trinken bringen dem Mann den Untergang. – [კამათლით თამაში, გარყვნილება და დალევა კაცს ღუპავს].*

❖ *ცოლი, ცხენი და ღვინო ბევრ ახალგაზრდას უსპობს სიცოცხლეს.*

ქალები არა მარტო ზოგადად არიან საშიშნი, <u>არამედ ქალები საშიშნი არიან ქორწინების შემთხვევაშიც</u>. მათ შეიძლება ქმარს უღალატონ, განსაკუთრებით – ლამაზმა ქალებმა.

- *Wenn du deine Frau zum Esel machst, wird sie dich zum Ochsen machen. – [თუ შენ ცოლს ვირად გადააქცევ, ის შენ ხარად გაქცევს].*

❖ *ლამაზი ცოლი თუ სხვებს შეუყვარდათ, ქმარს სიკვდილს უახლოებსო.*

- *Du machst eine Frau wütend und bringst ihr Blut in Wallung, lass ihr Blut lieber kalt, weil sie dich sicher verletzen wird. – [შენ ქალს აცოფებ და აღელვებ მის სისხლს, უფრო სასიამოვნოა მისი სისხლი ცივი დატოვო, რადგან ის აუცილებლად დაგჭრის].*

❖ *ერთგულია ცოლი ქმრისა, ვიდრე სხვას შეუყვარდებაო.*

- *Wenn der Ehemann aus dem Haus ist, ist der Tisch der Frau schnell gedeckt. – [როცა ქმარი სახლიდან გასულია, ცოლის სუფრა სწრაფად იშლება].*

- *Die unkeusche Frau kann niemals wieder keusch werden. – [ქალი, რომელიც არ არის უბიწო (უმანკო), ვერასოდეს გახდება კვლავ ასეთი].*

- *Die unzüchtige Frau schreckt vor keiner Unverfrorenheit zurück. – უზნეო (ზნედაცემულ) ქალს არანაირი უტიფრობის არ ეშინია].*

ზოგჯერ ქალები ბოროტები არიან, როგორც ეშმაკი ან ჯადოქარი. ქალები, ანდაზების მიხედვით, ეშმაკთან არიან დაკავშირებულნი. ამ თვალსაზრისით გერმანული ანდაზა უფრო მრავლად მოვიძიეთ, ვიდრე ქართული.

- *Wenn der Mann die Frau schlägt, schlagen ihn die Teufel; wenn die Frau den Mann schlägt, gibt ihr Gott mehr Gesundheit. – [როცა ქმარი ცოლს სცემს, მას ეშმაკები სცემენ, როცა ქალი სცემს ქმარს, ღმერთი მას უფრო მეტ ჯანმრთელობას აძლევს].*

❖ *დედაკაცი და ეშმაკი ორივე ერთიაო.*

- *Wer eine gute Frau hat, hat einen Engel an seiner Seite; wer eine schlechte hat, hat einen Teufel an seiner Seite. – [ვისაც კარგი ცოლი ჰყავს, თავის მხარეს ანგელოზი ჰყავს. ვისაც ცუდი ცოლი ჰყავს, მას თავის მხარეს ეშმაკი ჰყავს].*

❖ *ქვეყანაზე ათი წილი ნდომაა: ერთი წილი კაცსა აქვს, დანარჩენი –დედაკაცსაო.*

- *Du kannst den Teufel in einer Frau prügeln, aber du kannst ihn niemals ausprügeln. – [შენ შეგიძლია სცემო ქალში არსებულ ეშმაკს, მაგრამ ეშმაკს მისგან ვერასოდეს ვერ გამოდევნი].*

- *Mann und Frau und Teufel sind die drei Steigerungsformen. – [კაცი, ქალი და ეშმაკი შედარების სამი ფორმაა].*

- *In jeder Frau steckt eine weise Hexe. – [თითოეულ ქალში ბრძენი ჯადოქარია].*

- *Frauen sind die Wurzel allen Übels. – [ქალი ყველა უბედურების(ბოროტების) სათავეა].*
- *Es ist leichter wider den Satan streiten als wider ein schönes Weib. – [უფრო ადვილია, სატანას წაეკიდო, ვიდრე – ლამაზ ქალს]*
- *Ein schönes Weib hat den Teufel im Leib. – [ლამაზ ქალს სხეულში ეშმაკი ჰყავს].*
- *Wenn ein Mann eine Frau nimmt, hört er auf, sich vor der Hölle zu fürchten. – [როცა კაცი ცოლს ირთავს, მას ჯოჯოხეთის შიში აღარ ააქვს].*
- *Sag´ einer Frau, dass sie schön ist und der Teufel sagt es ihr zehnmal. – [უთხარი ქალს, რომ ის ლამაზია და ამას მას ეშმაკი ათჯერ ეტყვის].*

ქალების ეშმაკობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მათ ერთმანეთზე ბევრი რამ იციან. ქართულ ენაზე მოვიძიეთ ანდაზები, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხზე: <u>ქალზე სწორ ინ-ფორმაციას თვითონ ქალი ფლობს.</u>

- ❖ *ქალის ეშმაკობა (მოხერხებულობა) ქალმა უკეთ იცისო.*
- ❖ *ქალის შესახებ ქალს ჰკითხეო.*

გერმანული ანდაზის მიხედვით ეშმაკი ქალს იყენებს, როგორც დამხმარეს.

- *Frauen sind die Netze des Teufels.*
  – [ქალები ეშმაკის ქსელებია].

მოკვლეული ანდაზების მიხედვით ზოგჯერ ქალი ეშმაკს ბოროტებაში წინ უსწრებს (სჯობნის).

- *Eine Frau weiss ein bisschen mehr als der Satan. – [ქალმა სატანაზე ცოტა მეტი იცის].*
- *Wo ein Weib ist,da braucht man den Teufel nicht mehr. – [სადაც ქალია, იქ ეშმაკი აღარ სჭირდებათ].*
- *Die Frau weiss eine Kunst mehr als der Teufel. – [ქალმა ერთი ხელოვნებით მეტი იცის ეშმაკზე].*
- *Wo eine Frau regiert, da geht der Teufel irre. – [სადაც ქალი მეფობს, ეშმაკს გზა ებნევა].*
- *Mit bösen Weibern kannst du den Satan aus der Hölle jagen. – [ბოროტი ქალებით შეგიძლია სატანა ჯოჯოხეთიდან გააძევო].*
- *Der Teufel lehrt die Frauen, was sie sind, oder vielmehr: sie lehren den Teufel, falls er es noch nicht wissen sollte. – [ეშმაკი ქალებს ასწავლის, რანი არიან ისინი.*

❖ *ქალმა ფურის წველისას ხმო კისერზე გამოაბა, ეშმაკმა თქვა:რძე რომ დააქციოს, ხომ მე დამაბრალებენო?*

უფრო მეტიც: ქალები ასწავლიან ეშმაკს, თუკი ეშმაკმა ეს ჯერ არ იცის].

- *Lieber der Sklave des Teufels als der einer Frau. – [უკეთესია ეშმაკის მონა იყო, ვიდრე – ქალის].*
- *Eine Frau sei noch so klein, sie stellt dem Teufel ein Bein. – [პატარა ქალიც კი გამოსდებს ეშმაკს სარმას].*
- *Die Frauen sind die Schlauen. – [ქალები ეშმაკები არიან].*

შემდეგ ანდაზაში კი <u>ეშმაკი და ქმარი ერთნაირად იქცევიან.</u>

- *Wenn es regnet, während die Sonne scheint, prügelt der Teufel sein Weib. – [თუ წვიმს და ამ დროს მზე ანათებს, ეშმაკი თავის ცოლს სცემს].*

1.12. ანდაზები ძლიერ და უფლებისმოყვარულ, მებრძანებლობისმოყვარულ ქალებზე (ცოლებზე)

ქალის სიძლიერე დასტურდება იმ ანდაზების მიხედვით, რომელთა მეშვეობითაც იკვეთება, რომ რასაც ქალი მოისურვებს, გააკეთებს კიდეც. იგი ყოველთვის ახორციელებს თავის სურვილს. მას აქვს უდიდესი შინაგანი ძალაც. მან თუ მოინდომა, მამაკაცის ფიზიკურ ძალასაც აჯობებს. თუ ქალმა გაიწია, მას ვერაფერი შეაჩერებს. ანდაზების მიხედვით, ხშირად სულელი ქალიც კი ზეგავლენას ახდენს მამაკაცზე. ქალი ასევე არის მებრძანებელი, ძალაუფლების მოყვარული. მას აქვს ძალაუფლების ძლიერი წყურვილი. ქალის პოზიცია მის სიძლიერესთან დაკავშირებით გამოიხატება იმაშიც, რომ ის სამყაროზეც ბატონობს.

ქალების სწრაფვა ლიდერობისკენ პოზიტიური კუთხითაც უნდა განვიხილოთ, რადგან მამაკაცი ქალზე დამოკიდებული ხშირად მისი მიმზიდველობისა და მომხიბვლელობის გამოც ხდება. მამაკაცზე ამ დროს ქალღმერთი ვენერა იმარჯვებს. თუმცა თავისი პოზიციის გამყარებას ქალი ეშმაკობით აგრძელებს.

ყოველივე ზემოთ თქმულს ადასტურებს შემდეგი ანდაზები.

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები
• *Was der Ehemann sagt, sagen auch wir; aber was die Ehefrau sagt, muss geschehen. – [იმაზე, რასაც ქმარი ამბობს, ჩვენც ვამბობთ. მაგრამ, რასაც ცოლი ამბობს, ის უნდა მოხდეს].*	❖ *ქალმა სახლის დირე ადვილად ჩამოიღო, ატანამ კი რვა ვაჟკაცს წელი მოსწყვიტაო.*
• *Der Mann hat die Ehre, die Frau hat den Besitz. – [კაცს აქვს ღირსება, ქალს აქვს ქონება].*	❖ *დედაკაცის მონაზიდებს ცხრა უღელი ხარკამეჩი ვერ მოზიდავსო;*
• *Der Hof steht und fällt mit der Frau. – [ეზო დგას და ქალთან ერთად ეცემა].*	❖ *ქალმა თუ მოინდომა, ორი უღელი კამეჩი ვერ დასძრავსო*

- *Solange es eine Welt gibt, ist es eine Frau, die sie regieren wird. – [სანამ სამყარო არსებობს, არის ქალი, რომელიც მასზე გატონობს].*

❖ *ქალმა თუ გაიწია, ცხრა ულელი ხარკამეჩი ვერ შეაკავებსო.*

- *Zwei Dinge regieren die Welt – Frauen und Geld. – [ორი რამ გატონობს მსოფლიოში - ქალები და ფული]*

❖ *დედაკაცს უთხრეს, ცაში ქორწილიაო; კიბეს მივადგამ და ავალო.*

- *Könige und Frauen bilden sich ein, dass alles ihnen gehört. – [მეფეებს და ქალებს ისეთი წარმოდგენა აქვთ, რომ ყველაფერი მათ ეკუთვნით].*

❖ *ქალის ახირებას წინ ვერა ძალა ვერ დაუდგებაო.*

- *Männer regieren, aber Frauen beherrschen. – [მამაკაცები გატონობენ, მაგრამ ქალები ფლობენ].*

❖ *თუ დედაკაცმა გაიწია – ამირანს აითრევსო.*

- *Frauen regieren die Männer. – [ქალები გატონობენ მამაკაცებზე]*

❖ *ცოლს შეუძლია, კიდეც დაგაქციოს და კიდეც აგაშენოსო.*

- *Männer regieren die Welt, Frauen regieren die Männer. – [მამაკაცები გატონობენ მსოფლიოზე, ქალები გატონობენ მამაკაცებზე].*

❖ *ქალი აშენებულ ოჯახს დაანგრევს და დაქცეულს ააშენებსო.*

- *Frau Venus und das Geld regieren die Welt. – [ქალღმერთი ვენერა და ფული გატონობს მსოფლიოში].*

❖ *ქალმა თქვა, ზღვას დავლევო.*

- *Der Mann hat seinen Willen aber die Frau setzt ihren durch. – [კაცს თავისი ნება–სურვილი აქვს, მაგრამ ქალი თავისას ახორციელებს].*

- *Frauen werden ihren Willen durchsetzen. – [ქალები თავიანთ სურვილებს ახორციელებენ].*

- *Männer schaffen Wohlstand, und Frauen behalten ihn. – [კაცები ქმნიან კეთილდღეობას და ქალები ინარჩუნებენ მას].*

- *Die Welt kann zwar durch die Kraft des Mannes bewegt werden, gesegnet aber im eigentlichen Sinne des Wortes wird sie immer nur im Zeichen der Frau. – [მსოფლიო მოძრაობს მამაკაცის ძალით, მაგრამ კურთხეულია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ყოველთვის ქალის ნიშნით].*

- *Frauen müssen ihren Willen haben, so lange sie leben, weil sie keinen letzten haben, wenn sie sterben. – [ქალებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი სურვილები, სანამ ცოცხლობენ, რადგან მათ ბოლო სურვილიც არა აქვთ, როცა კვდებიან].*

- *Der Mann führt das Regiment im Haus, aber was die Frau will, muss geschehen. – [მამაკაცი მმართველობს სახლში, მაგრამ რაც ქალს სურს, ის უნდა მოხდეს].*

- *Der Mann tanzt nach der Frau Pfeife. – [მამაკაცი ცეკვავს ქალის დაკრულზე].*
- *Wer eine Frau hat, hat einen Gebieter – [ვისაც ცოლი ჰყავს, ჰყავს მბრძანებელი].*
- *Wer eine Frau nimmt, der nimmt einen Herren. – [ვინც ცოლს ირთავს, ის ბატონს ირთავს ცოლად].*
- *Auch wenn wir die Knechtschaft verbergen, die Frauen beherrschen uns trotzdem. – [მაშინაც კი, როდესაც ჩვენ ვმალავთ მონობას, ქალები მაინც გვფლობენ].*
- *Die Weisheit der Frauen baut ihr Haus; aber ihre Torheit reisst's wieder mit eigenen Händen. – [ქალების სიბრძნე აშენებს სახლს; მაგრამ მათი სიგიჟე მას საკუთარი ხელებით ანგრევს].*
- *Mann ist nur so weise, wie seine Frau meint. – [კაცი მხოლოდ იმდენად არის ბრძენი, რამდენადაც ამას მისი მეუღლე თვლის].*
- *Ein Mann meint zu wissen, aber eine Frau weiss es besser. – [კაცი ფიქრობს, რომ იცის, მაგრამ ქალმა ეს უკეთესად იცის].*
- *Ein Magnat ist für seine Frau nichts als ein einfacher Soldat. – [მაგნატი თავისი ცოლისთვის მხოლოდ უბრალო ჯარისკაცია].*

- *Jeder weise Mann kann von einer närrischen Frau zum Hanswurst gemacht werden. – [თითოეული გრძენი კაცი სულელი ქალის მეშვეობით შეიძლება ტაკიმასხარად იქცეს].*
- *Der Lehrer weiss alles, die Frau Lehrer weiss alles besser. – [მასწავლებელმა ყველაფერი იცის, მაგრამ ქალმა მასწავლებელმა ყველაფერი უკეთესად იცის].*
- *Frauen vergeben Verletzungen, aber sie vergessen niemals Kränkungen. – [ქალები პატიობენ შეურაცხყოფას, მაგრამ არასოდეს არ ივიწყებენ გულისტკენას].*

ქალის სიძლიერეზე მეტყველებს ის, რომ <u>ქალს აქვს კარგი უნარი, საზოგადოებას გამოეყოს (განცალკევდეს)</u>.
ის დამოუკიდებელი ხდება.

- *Selbst ist die Frau, – [ქალს საკუთარი „მე" გააჩნია].*
- *Frauen sind stark, wenn sie mit ihren Schwächen bewaffnen. – [ქალები ძლიერები არიან, როდესაც თავიანთი სისუსტეებით შეიარაღდებიან].*

❖ *დედაკაცს სანამ ქმარი ჰყავს, ამირანია, რომ მოუკვდება – ამირანთ-ამირანი.*

1.13. ანდაზები გაუთვსირებულ ქალებზე

ძველ გერმანულ ანდაზებში, ზოგიერთი მამაკაცის აზრით, ქალი არ არის მნიშვნელოვანი ფიგურა და ძირითადი უფლებები მხოლოდ მამაკაცებს აქვთ; ამით ამართლებენ მამაკაცები თავიანთ საქციელს, როდესაც ცოლებს ატყუებენ, სცემენ და ა. შ. მათი აზრით, ქალები ქარაფშუტები არიან და ჭკუა არ გააჩნიათ. საყურადღებოა, რომ ეს ტენდენცია გერმანულ ანდაზებში გამოიკვეთა.

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები
• *Frauen denken nicht weiter als ihre Nasenspitze. – [ქალები თავიანთი ცხვირის წვერის იქით ვერაფერს ხედავენ].*	❖ *დედაკაცი რომ კარგი იყოს, ღმერთსაც ცოლი ეყოლებოდაო.*
• *Frauen sind stärker als Männer, sie sterben nicht an Weisheit. – [ქალები კაცებზე ძლიერები არიან, ისინი სიბრძნით არ იხოცებიან].*	
• *Frauen haben keine Seele. – [ქალებს სული არ აქვთ].*	
• *Ein Mann aus Stroh hat den Wert einer Frau aus Gold. – [ჩალის კაცს იგივე ფასი აქვს, რაც ოქროს ქალს].*	
• *Wenn der Ehemann nicht zu Hause ist, ist niemand da. – [როცა ქმარი სახლში არ არის, იქ არავინაა].*	
• *Frauen haben so viel Verstand wie es Fleisch an einem Hühnerbein gibt. – [ქალებს იმდენი ჭკუა აქვთ, რამდენი ხორციც არის ქათმის ბარკალში].*	

- *Was die Frau in die Ehe mitbringt, ist nicht viel wert. – [რაც ქალს ქორწინებისას თან მოაქვს, დიდი ღირებულება არ აქვს].*
- *Der Rat einer Frau ist keine grosse Sache, aber wer ihn annimmt, ist ein Narr. – [ქალის რჩევა დიდად არ ფასობს, მაგრამ ვინც მას მიიღებს, სულელია].*
- *Die Frau, die nachdenkt, ist verloren. – [ქალი, რომელიც ჩაფიქრდება, დაკარგულია].*

ორივე ენაზე მოვიძიეთ ანდაზები, რომლებშიც ხაზგასმულია, რომ <u>ქალი კაცის საკუთრებაა, მამაკაცის ნივთია.</u> ის ქმრის მორჩილი უნდა იყოს.

- *Ein guter Reiter weiss genau: zuerst das Pferd und dann die Frau. – [კარგმა მხედარმა ზუსტად იცის: ჯერ – ცხენი და შემდეგ – ცოლი].*

❖ *ბედნიერს ცოლი მოუკვდება, უბედურს – ცხენიო.*

❖ *ქალი სხვისი საქონელიაო.*

❖ *ქალი სხვათა სახლის ყორეაო.*

❖ *ქალი სხვისი კერის ნაცარიაო.*

❖ *მიაყოლე ხარი ხარსო და ლამაზი ქალი _ ქმარსო.*

❖ *შვილი მამის მორჩილი უნდა იყოს, ცოლი –ქმრისაო.*

❖ *შვილი გაზრდისაა, ცოლი მოვლისაო.*

შემდეგი ანდაზები პატრიარქალური ცხოვრების წესის ამსახველია. მათი მეშვეობით დასტურდება, რომ ქალს მკაცრად დადგენილ–დაწესებული ბრძანების შესრულება და კანონების დაცვა მოეთხოვება. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ანდაზები გერმანულ ენაზე მოვიძიეთ.

- *Der Mann kommt ohne Frau aus, nicht die Frau ohne Mann. – [მამაკაცი ქალის გარეშეც იოლას გავა, ქალი კი კაცის გარეშე ვერა].*

- *Der Mann heiratet, wann er will, die Frau, wann sie kann. – [მამაკაცი დაქორწინდება, როცა მას სურს, ქალი კი, როცა მას ეს შეუძლია].*

ქალის დამცირებასა და მის გაუფასურებაზე მეტყველებს მამაკაცის აზრი, რომ ქალის ადგილი სახლშია (როგორც გერმანული, ასევე ქართული ანდაზების მიხედვით). ამ ეტაპზე იგულისხმება გარკვეული აკრძალვები და შეზღუდვები ქალთან მიმართებით. ანდაზებში გატარებულია ის აზრი, რომ ქალი განიხილება, როგორც საყოფაცხოვრებო ტექნიკა, საყოფაცხოვრებო ნივთი, როგორიცაა ღუმელი, რომელსაც აქვს მუდმივი ადგილსამყოფელი სახლში. როგორც მდედრობითი სქესის (die Katze) კატაც, კი სახლიდან გარეთ არ უნდა გავიდეს; ხოლო მამაკაცი საქმიანობს სახლის გარეთ ისევე, როგორც ძაღლიც ცხოვრობს გარეთ და არა – სახლში.

- *Frauen und Öfen bleiben zu Hause. – [ქალები და ღუმლები სახლში რჩებიან]*

- *Die Männer beim Schmause, die Weiber zu Hause. – [კაცები – ქეიფში, ქალები – სახლში].*

- *Frauen und Öfen sollen nicht ausgehen. – [ქალები და ღუმლები სახლიდან არ უნდა გავიდნენ].*

❖ *ყრმა გასულ–გამოსული სჯობს, ქალი კერის პირს მჯდომიო.*

- *Frauen und Katzen ins Haus, Männer und Hunde auf die Strasse. – [ქალები და კატები – სახლში, კაცები და ძაღლები – ქუჩაში].*
- *Der Platz einer Frau ist im Haus. – [ქალის ადგილი სახლშია].*

ანდაზებში ქალი ხშირად არასერიოზულად ითვლება.

- *Kindern und Frauen muss man ihr Spielzeug lassen. – [ბავშვებსა და ქალებს სათამაშო უნდა დავუტოვოთ].*
- *Alles mit Überlegung, sagte die Frau und briet Speck in Butter; – [ყველაფერი გააზრებულად უნდა გააკეთო, – თქვა ქალმა და შეწვა ღორის ქონი კარაქში].*

❖ *ქალი ჭკვიან კაცში ნაკლს ეძებს, სულელში კი – ღირსებასაო.*

შემდეგ ანდაზებში აღწერილია <u>ძალადობა და სისასტიკე ქალის, ცოლის წინააღმდეგ; ქალის ცემა;</u> თუმცა ქალის ცემა კაცისთვის ღირსებას არ წარმოადგენს. ამ ანდაზებით მამაკაცი ცდილობს, დაამტკიცოს დომინანტის პოზიცია. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ საჩოთირო და ძალადობრივი ფაქტების ამსახველი ანდაზები ძირითადად გერმანულ ენაზე მოვიძიეთ.

- *Eine Frau, ein Hund und ein Walnussbaum, je mehr sie geprügelt werden, desto besser sind sie. – [ქალს, ძაღლსა და კაკლის ხეს რაც უფრო მეტად ურტყამენ, უფრო უკეთესები არიან].*

❖ *მეზობლისგან გამოჯავრებულმა ცოლსა სცემაო.*

- *Frauen und Pelze wollen oft geklopft sein. – [ქალებსა და ბეწვეულს ხშირად უნდათ დარტყმა].*
- *Weiber und Pferde wollen geschlagen sein. – [ქალებსა და ცხენებს ცემა სჭირდებათ].*
- *Frauen und Koteletts werden um so besser, je mehr man sie klopft. – [ქალები და კატლეტები მით უფრო უკეთესია, რაც ბევრს დაბეგვავ].*
- *Die Weiber führen das Schwert im Maul, darum muss man sie auf die Scheide schlagen. – [ქალები მახვილს (დაშნას) პირში იდებენ, ამიტომ მათ ქარქაშზე უნდა სცემონ].*
- *Es ist besser, vom eigenen Mann geprügelt als von einem fremden geküsst zu werden. – [უკეთესია, საკუთარმა ქმარმა მიგბეგვოს, ვიდრე უცხომ გაკოცოს].*
- *Wer sein Weib schlägt, schlägt mit der rechten Hand seine linke. – [ვინც თავის ცოლს სცემს, მარჯვენა ხელით თავის მარცხენა ხელს სცემს].*
- *Wer sein Weib einmal schlägt, schlägt es mehrmal. – [ვინც თავის ცოლს ერთხელ მაინც სცემს, შემდეგ ამას ბევრჯერ გაიმეორებს]*

- *Gezählles Geld und versohlte Frauen sind in Ordnung. – [დათვლილი ფული და ნაცემი ქალები – ეს ბუნებრივია].*
- *Klopfe das Weib, sie wird dir lieber. – [სცემე ქალს, მას უფრო ეყვარები].*
- *Wenn der Mann die Frau einmal schlägt, schlägt er sie mehr. – [თუ კაცი ქალს ერთხელ სცემს, ის ამას მეორჯერ გაიმეორებს].*
- *Wenn es regnet, während die Sonne scheint, prügelt der Teufel sein Weib. – [თუ წვიმს, და თანაც მზე ანათებს, ეშმაკი თავის ცოლს სცემს].*
- *Wer sein Weib schlägt, dem bessert Gott die Nahrung. – [ვინც თავის ცოლს სცემს, ღმერთი მის საკვებს აუმჯობესებს].*
- *Dem Mann ist es keine Ehre, eine Frau zu schlagen. – [ქალის ცემა კაცისთვის უღირსი საქციელია].*
- *In Gottes Namen schlug der Mann seine Frau tot. – [ღმერთის სახელით კაცმა ცოლი ცემით მოკლა].*

უცნაურია, მაგრამ ძალადობა და სისასტიკე მაშინაც კი გამართლებულია ანდაზებში, <u>როცა მამაკაცს ქალი უყვარს.</u>

- *Schlägt dich dein Mann, dann heisst das, dass er dich liebt. – [თუ ქმარი გცემს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას უყვარხარ].*

❖ *სიყვარულით ჩემმა ქმარმა გარ-საკვეთით მცემაო*

- *Wer echt liebt, der fest schlägt. – [ვისაც ნამდვილად უყვარს, ის მაგრად ურტყამს].*
- *Ein Mann, der seine Frau schlägt, liebt sie. – [კაცი, რომელიც თავის ცოლს სცემს, ის ძალიან უყვარს].*
- *Liebe beginnt mit Küssen und hört auf mit Schmissen. – [სიყვარული იწყება კოცნით და წყდება ნაიარევით]*

❖ *ჩემმა ქმარმა მეტისმეტი სიყვარულით ნიჩბის კოჭატათი მცემაო.*

ანდაზების მეშვეობით იკვეთება აზრი, რომ, თუ კაცი ცოლს ერთხელ სცემს, <u>მისთვის გამეორება უკვე ადვილია</u>. გერმანულ ენაში ამასთან დაკავშირებით იუმორნარევი ანდაზაც კი არსებობს.

- *Wer keine Frau hat, prügelt sie oft. – [ვისაც ცოლი არ ჰყავს, ის მას ხშირად სცემს].*

ასეთ საჩოთირო შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს <u>გლეხის ქალი.</u>

- *Die Bauernfrau ist die Seele des Bauernhofes. – [გლეხის ქალი გლეხის კარ–მიდამოს სულია].*

თუმცა ერთ–ერთ გერმანულ ანდაზაში გამოიკვეთა პოზიცია: საზოგადოება შეიცვალა, ქალები ახლა უფრო მეტად თავისუფლები არიან და უფრო მეტი უფლებები გააჩნიათ.
<u>ქალი აღარ ითვლება სუსტად და უმწეოდ.</u>

- *In alten Zeiten der Mann schlug wohl die Frau, heute ist es umgekehrt. – [ძველ დროში ნამდვილად კაცი სცემდა ქალს, დღეს ეს პირიქითაა].*

თუ <u>რაოდენ ცოტას ნიშნავს ცოლი კაცისთვის,</u> ნათელი ხდება ცოლის გარდაცვალების დღეს.

- *Trauer um eine tote Frau und einen ungebetenen Gast reicht zur Türschwelle und hört dort auf. – [გლოვა გარდაცვლილ ცოლზე აღწევს კარის ზღურბლამდე და შემდეგ წყდება].*

- *Zwei gute Tage im Leben eines Mannes: Wenn er heiratet und wenn er seine Frau begräbt. – [ორი კარგი დღე მამაკაცის ცხოვრებაში არის: როცა ის ქორწინდება და როცა ის თავის ცოლს მარხავს].*

<u>ან კიდევ :</u>

- *Im Leben des Mannes gibt es zwei Feiertage: wenn er eine Frau kriegt und wenn er sie los wird. – [კაცის ცხოვრებაში ორი სადღესასწაულო დღეა: როცა ის ცოლს ირთავს და როცა ის მისგან თავისუფლდება].*

- *Eine tote Frau wird vier haben, die sie tragen. - [მკვდარ ქალს ეყოლება ოთხი ადამიანი, რომლებიც მას წაიღებენ].*

❖ *ბედნიერ კაცს ცოლი მოუკვდება, უბედურს - ხარიო.*

1.14. ანდაზები მოღალატე, უზნეო ქალებზე

ანდაზებში, რომლებიც ლამაზ ქალს ეხება, აღწერილია, რომ ისინი შეიძლება ყოველთვის არ იყვნენ ერთგულნი. ისინი საშიშნი არიან. მამაკაცი ცოლის ღალატს განიცდის და ერთი ქართული ანდაზის მიხედვით, მას სურს ცოლის ღალატი პირველად თვითონ გაიგოს, სანამ საზოგადოებამ ამას შეიტყობს. ორივე ენის ანდაზებში დაგმობილია ქალის უზნეობა. მოვიძიეთ ფოლკლორული გამონათქვამები იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობენ უზნეო ქალები და ისიც ყურადსაღებია, რომ ასეთ ქალებს სხვა ქალებიც უზნეო ჰგონიათ.

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები
• *Jeden Mannes Liebste ist keines Mannes Frau. – [ყველა კაცის სატრფო არც ერთი კაცის ცოლი არ იქნება].*	❖ *უზნეო ქალს ყველა უზნეო ჰგონიაო.*
• *Eine schöne Frau und ein aufgeschlitztes Kleid finden immer irgendeinen Nagel im Weg. – [ლამაზი ქალი და გახეული კაბა გზაზე ყოველთვის იპოვიან რაღაც ლურსმანს].*	❖ *ვერ შეამაგრებ ქალსაო, თუ ვერ იმაგრებს თავსაო.*
• *Die schöne Frau ist halb verheiratet. – [ლამაზი ქალი ნახევრად გათხოვილია].*	❖ *ავხორცი არც კაცი ვარგა და არც ქალიო.*
• *Du kannst keine Rosen pflücken, ohne Angst vor Dornen, noch eine schöne Frau geniessen, ohne Gefahr von Hörnern. – [შენ არ შეგიძლია ვარდები ეკლების შიშის გარეშე მოკრიფო, ასევე არ შეიძლება რქების საფრთხის გარეშე დატკბე ლამაზი ქალით].*	❖ *რაც გინდა ელაპარაკე, როცა არ რცხვენის დიაცსაო.*

- *Je kleiner die Erbsen, desto mehr im Topf; je schöner die Frau, desto mehr die Dirne. – [რაც უფრო პატარაა გარდის მარცვლები, უფრო მეტია ქოთანში; რაც უფრო ლამაზია ქალი, უფრო მეტად მეძავია].*

❖ *თავგასულ ქალს ბალახმორეული ყანა სჯობიაო.*

- *Ein schwarzer Mann ist eine Perle / Juwel in den Augen einer schönen Frau. – [შავი კაცი მარგალიტია ლამაზი ქალის თვალში].*

❖ *უნამუსო დიაცი სხვას ნამუსზე ვერ დაარიგებსო.*

- *Kein Mann ist eine Herausforderung für eine Frau, bis er verheiratet ist. – [არც ერთი კაცი არ არის გამოწვევა ქალისთვის, სანამ ის არ დაქორწინდება].*
- *Frauen betrügen, weinen und spinnen von Natur aus. – [ქალები იტყუებიან, ტირიან და ინტრიგებს ხლართავენ].*
- *Nicht jedes Mädchen heisst Marie – [ყველა გოგონა არ არის ღვთისმოშიში].*
- *Der Mund unzüchtiger Weiber ist eine tiefe Grube; wem der Herr zürnt, der fällt hinein. – [უზნეო ქალების პირი ღრმა ორმოა. ვისზეც ბატონი გაბრაზდება, ის შიგ ვარდება].*

არის კიდევ ასეთი გერმანული ანდაზა.

- *Männer werden am besten aus grösster Entfernung geliebt. – [კაცები ყველაზე მეტად შორი მანძილიდან უყვართ].*

ქალები სმის, ლოთობის დროსაც ხშირად უზნეოები არიან.

- *TrunkenWeib - gemeinesWeib. – [მთვრალი ქალი უნამუსო ქალია].*

1.15. ანდაზები ერთგულ და მოღალატე კაცებზე (ქმრებზე)

ქორწინება სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხია ადამიანის ცხოვრებაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ კაცი ქალის გარეშე არაფერს წარმოადგენს. მისთვის ცოლი და ოჯახი აუცილებელია. როგორიც არ უნდა იყოს ქალი, ლამაზი თუ ულამაზო, ჭკვიანი თუ სულელი, ცხოვრება მის გარეშე წარმოუდგენელია. ქორწინებისას მნიშვნელოვანია, რომ კაცს გაუმართლოს. კაცმა უნდა შექმნას ოჯახი და იყოს ცოლის ერთგული. მამაკაცებს განსხვავებული გემოვნება აქვთ. ისინი საკმაოდ ფრთხილობენ, როდესაც დაქორწინებას გადაწყვეტენ. ოჯახის შექმნა სერიოზული საკითხია და მას დიდი დაფიქრება და სიფრთხილე სჭირდება. ადვილი არ არის კარგი ცოლის პოვნა. ოჯახის ძლიერება ბევრ რამეზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ მამამკაცებმა არჩევანი თვითონ უნდა გააკეთონ. ზოგჯერ ნაჩქარევი და ნაადრევი ქორწინება არამყარია და უმომავლო; თუმცა ზოგიერთი ანდაზა პირიქით, ნაადრევ ქორწინებას დადებით შეფასებას აძლევს.

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები
• *Wer kein Weib hat, der hat auch kein Haus. – [ვისაც ცოლი არ ჰყავს, მას სახლიც არ აქვს].*	❖ *კაცი არ ვარგა უცოლო, არც ისე ცოლმორეული.*
• *Ein Mann ohne Frau ist nur ein halber Mann. – [კაცი ქალის გარეშე ნახევარი კაცია].*	❖ *ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს – მღვდლის ცოლიო.*
• *Ohne Frauen keine Freude. – [ქალის გარეშე არ არის სიხარული]*	❖ *მენახირის ცოლი უფრო პატივსაცემია, ვიდრე – მეფის ხასა.*
• *Mann ohne Weib Haupt ohne Leib. – [კაცი ცოლის გარეშე იგივეა, რაც თავი – სხეულის გარეშე].*	❖ *ცოლის პატრონი ხის ძირასაც გაათევსო.*
• *Wer der glücklichen Tage überflüssig ist, sollte eine Frau heiraten. – [მან, ვისაც ზედმეტად ბედნიერი დღეები აქვს, ცოლი უნდა შეირთოს].*	❖ *ქვეყანაზე ათი წილი ნდომაა: ერთი წილი კაცსა აქვს, დანარჩენი – დედაკაცისაო.*
• *Heirat in Eile bereut man mit Weile. – [აჩქარებულ ქორწინებას კარგი არაფერი მოაქვს].*	❖ *ავ დროში ცოლი შეირთე, კარგ დროში გამოგადგებაო.*
• *Früh aufstehen und jung gefreien wird niemanden gereuen. – [ადრე ადგომასა და ადრე ქორწინებას არავინ არ ნანობს].*	❖ *ბედნიერება თუ მოგჭარბდა, ცოლი შეირთე.*
• *Ein Mutterloser Ehemann macht eine glückliche Ehefrau. – [მამაკაცი, რომელსაც დედა არ ჰყავს, ცოლს ბედნიერს ხდის].*	
• *Wer's Glück hat, führt die Braut heim. – [ვისაც ბედი სწყალობს, საცოლე სახლში მიჰყავს].*	

- *Gott helfe dem Mann, der nicht heiratet, bevor er die perfekte Frau gefunden hat, und Gott helfe noch mehr, wenn er sie findet. – [ღმერთმა უშველოს კაცს, რომელიც არ ქორწინდება, სანამ საუცხოო (სრულყოფილ) ქალს არ იპოვის, და ღმერთმა უშველოს უფრო მეტად, როცა ის მას იპოვის].*

- *Gute Frauen sind so schwer zu finden wie Wohlwollen. – [კარგი ქალების პოვნა ისევე რთულია, როგორც –კეთილგანწყობის (კეთილმოსურნეობის)].*

- *Dem einen gefällt die Mutter, dem anderen die Tochter. – [ერთს დედა მოსწონს, მეორეს – ქალიშვილი].*

- *Ehrliche Männer heiraten früh, weise nie. – [პატიოსანი კაცები ადრე ქორწინდებიან. გრძენები – არასოდეს].*

- *Weiber nehmen ist kein Pferdehandel. – [ცოლის მოყვანა ცხენით ვაჭრობა არ არის].*

- *Bei der Wahl einer Frau und dem Kauf eines Schwertes sollen wir keinem anderen trauen. – [ცოლის არჩევისას და მახვილის (დაშნის) ყიდვისას არავის არ უნდა ვენდოთ.*

- *Für die Frau beginnt das Leben erst mit dem Hochzeitstag. – [ქალისთვის ცხოვრება იწყება ქორწინების დღიდან]*
- *Wenn ein Mann eine Frau nimmt, hört er auf, sich vor der Hölle zu fürchten. – [როცა კაცი ცოლს ირთავს, მას ჯოჯოხეთის შიში აღარა აქვს].*

ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ როცა მამაკაცი დაოჯახდება, მისი მოვალეობები იზრდება. ამიტომ მას ოჯახში უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. ქორწინება ადვილია, მაგრამ ოჯახის გაძღოლა სერიოზული საქმეა. ოჯახს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. ეს დელიკატური საკითხი საინტერესოდ აისახა ანდაზებში.

- *Heiraten ist leicht, Haushalten schwer. – [ქორწინება ადვილია, საოჯახო მეურნეობის წარმართვა – რთული].*
  ❖ *ოჯახობა ვისიაო? ვინც მოუვლის, მისიაო.*
- *Wer Frau und Kinder hat, dem mangelt es nicht an Pflichten. – [ვისაც ცოლი და შვილები ჰყავს, მას მოვალეობების დეფიციტი არ აქვს].*
  ❖ *ქორწინება სახელმწიფოს შექმნის დარიაო.*
- *Ein Mann muss immer mehr wollen, als er leisten kann. – [კაცს უფრო მეტის გაკეთების სურვილი უნდა ჰქონდეს, ვიდრე მას შეუძლია].*
  ❖ *ოჯახი გაქებს, ოჯახი გაგინებსო.*

ერთი გერმანული ანდაზის მიხედვით მამაკაცს საცოლესთან უმართლებს, თუ ის სხვას ადვილად ენდობა.

- *Wer leicht dem andren traut, dem schäft man bei der Braut. – [ვინც სხვას ადვილად ენდობა, მას საცოლესთან უმართლებს].*

ხშირად მამაკაცები <u>მაღალი წრისა და მზითვიან ქალს</u> ეძებენ. ამასთან დაკავშირებით მოვიძიეთ ანდაზები ქართულ ენაზე.

- ❖ *ბალახი ნაგზაურისა, ქალი კი – აზნაურისა.*
- ❖ *ქალი გვარით საძებარიაო.*
- ❖ *ქალი ნუ გინდა უგვარო, ყმა დედულეთით გამოვაო.*
- ❖ *ვაჟი მყავდეს ქოჩრიანი, ქალს მოვუყვან მზითვიანსა.*
- ❖ *ვაჟი მყვანდეს ქოჩრიანი, ქალს მოვიყვან ქრთამიანსა.*
- ❖ *ვის მოსწყენია თავი მეფედ, ცოლი – დედოფლად.*

თუმცა ზოგი ანდაზა მამაკაცს აფრთხილებს, <u>რომ ქალის წარმომავლობა არ არის მთავარი.</u>

- *Bei Frauen wie bei Nationen soll man nicht auf den Ursprung schauen. – [ქალებთან და ერებთან (ხალხებთან) მიმართებით წარმოშობას არ უნდა შეხედონ].*

- ❖ *ქალის ყველაზე დიდი მზითევი _ სიწმინდე და ნამუსიაო.*

საინტერესოა ანდაზები, რომლებშიც აღწერილია, რომ <u>კაცი თავის ბედს თვითონ ჰქმნის</u>. მას შეუძლია, თავის თავს სიკეთე მოუტანოს, ან, პირიქით, ავნოს.

- *Jeder Mann ist der Architekt seines eigenen Glücks. – [თითოეული კაცი საკუთარი ბედნიერების არქიტექტორია].*

❖ *კაცს თუ მოშივდა, ქვას გაკვნეტავსო.*

- *Ein Mann macht aus sich selbst, was er will. – [კაცი თავისი თავისგან იმას ქმნის, რაც მას სურს].*

❖ *ყოველი კაცი თავისი ჭირის მჭედელია.*

- *Der Mann ist sein eigener Herr. – [კაცი საკუთარი თავის პატრონია].*

❖ *კაცი რომ თავის თავს სიავეს უზამს, იმოდენას შვიდი ეშმაკიც ვერ უზამს.*

- *Die Morgendämmerung kommt nicht zweimal um einen Mann zu wecken. – [განთიადი (გარიჟრაჟი, აისი) ორჯერ არ დგება კაცის გასაღვიძებლად].*

გერმანულსა და ქართულ ენებზე უხვად მოვიძიეთ ანდაზები იმასთან დაკავშირებით, რომ <u>ქორწინებას ბედი განსაზღვრავს.</u> ასევე ბედის საკითხია მეორე ქორწინებაც.

- *Hängen und heiraten werden vom Schicksal bestimmt. – [ჩამობრჩობასა და ქორწინებას ბედი განსაზღვრავს].*

❖ *ქალმა თქვა – ბედი მომეც და სანეხვეზე გადამაგდეო.*

- *Das Glück muss den Mann, nicht der Mann das Glück suchen. – [ბედნიერებამ უნდა ეძებოს კაცი და არა კაცმა – ბედნიერება].*

❖ *ღმერთს გავექეცი და ბედს კი – ვერაო.*

- *Heitaten ist Lotterie. – [ქორწინება არის ლატარია].*

❖ *ყველა საქმე ქვეყანაზე რიგდება, ცოლ–ქმრობა კი – ზეცაშიო.*

- *Wer Frau und Kinder hat, gibt dem Schicksal Geiseln in die Hand. – [ვისაც ცოლი და შვილები ჰყავს, ბედს ხელში მძევლებს აძლევს].*

❖ *უბედოდ არაფერი იქნებაო.*

- *Ein Mann meint zu wissen, aber eine Frau weiss es besser. – [კაცი ფიქრობს, რომ იცის, მაგრამ ქალმა უკეთ იცის].*

❖ *ძალად ბედს ვერავინ იშოვის.*

- *Ein Mann mag entscheiden, wen er umwirbt, aber das Schicksal entscheidet, wen er heiratet. – [კაცის სურვილია გადაწყვიტოს, ვისი კეთილგანწყობის მოპოვებისთვის იზრუნოს, მაგრამ ბედი გადაწყვეტს,ვისზე იქორწინოს]*

❖ *ბედს კასრში ვერ დაემალებიო.*

- *Die erste Frau bedeutet Eheleben, die zweite Gesellschaft, die dritte Gotteslästerung. – [პირველი ქალი ნიშნავს ცოლ–ქმრულ ცხოვრებას, მეორე – საზოგადოებას, მესამე – მკრეხელობას].*

❖ *ქალი იჯდეს, ბედს ელოდეს; ვაჟი იჯდეს, ბერდებოდეს.*

- *Die zweite Frau sitzt immer auf dem rechten Knie. – [მეორე ცოლი ყოველთვის მარჯვენა მუხლზე ზის].*

❖ *ბებერმა თქვა – მე მოვკვდებიო; ქალმა თქვა – მე გავთხოვდებიო.არც ბებერი მოკვდა, არც ქალი გათხოვდა.*

- *Wer die Frau nimmt ihrer Mitgift wegen, kehrt seiner Freiheit den Rücken. – [ვინც ცოლს ირთავს მისი მზითვის გამო, ის თავისუფლებაზე უარს ამბობს]*

❖ *ბედი უნამუსო ქალსა ჰგავსო.*

❖ *აფრინდებიან ქორები, აიყოლებენ ძერასა, კაცი ვერ დაემალება თავისა ბედიწერასა.*

❖ *ბედში კაცსა გვიან იცნობ, უბედობას გამოიცნობ.*

❖ *ლოთი კაცის ბედი დღეში სამჯერ გაიხსნებაო.*

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ <u>უცოლო კაციც ბედნიერად გრძნობს თავს</u>. ზოგ მამაკაცს მიაჩნია, რომ, თუ მას არ ჰყავს ჭკვიანი და კარგი ცოლი, უცოლოდ ყოფნა სჯობია.

- *Wer heiratet tut wohl, wer ledig bleibt tut besser. – [ვინც ქორწინდება, კარგად იქცევა; ვინც უცოლო რჩება, უკეთესად].*

❖ *უცოლობა სჯობია უგნური ცოლის ყოლასო.*

- *Immer werben und niemals heiraten, ist das glücklichste Leben, das je geführt wurde. – [ხშირად ხელის თხოვნა და უცოლოდ დარჩენა არის უბედნიერესად გატარებული ცხოვრება].*

❖ *უამურს ცოლსა და უამურ კბილს მოშორება უნდაო.*

❖ *არცა დავლევ წყალსა, არც შევირთავ ქალსა.*

ორივე ენაზე მოძიებულ ანდაზებში დაგმობილია მამაკაცის ის თვისება, რომ <u>კაცს მაინც სხვისი ცოლი მოსწონს.</u> ის ხშირად ცოლის მოღალატეა.

- *Die Frau des Schusters hat selten ganze Schuhe. – [მეწაღის ცოლს იშვიათად აქვს მთელი ფეხსაცმელი]*

❖ *რა გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ურჩევნია სხვისა*

- ❖ *მეზობლის რძალი ლამაზიაო.*
- ❖ *რაც არ უნდა გონჯი იყოს, სხვისი ცოლი ლამაზია.*
- ❖ *ყოველ კაცს ცხენი თავისი მოსწონს და ცოლი – სხვისი.*
- ❖ *კაცის თვალი ხარბიაო.*
- ❖ *შინაური ქალი ელამიაო.*
- ❖ *კაცს ცოლი სხვისი ურჩევნია, შვილი კი – თავისიო.*
- ❖ *კაცის თვალს შავი მიწის მეტი ვერა გააძღობს რა.*
- ❖ *ახოს ნაკალმახევიო, ცოლშვილ–ნაღალატევიო.*

ორიოდე გერმანულენოვანი ანდაზა ლაკონურად მიუთითებს, რომ ოჯახის რჩენა და ქალის მოთხოვნებისა და ინტერესების დაკმაყოფილება <u>დიდ მუშაობასა და ბევრი ფულის ქონას</u> ითხოვს.

- *Männer, die viel lieben, werden viel arbeiten. – [კაცებს, რომლებსაც ბევრი ქალი უყვართ, ბევრი მუშაობა მოუწევთ].*
- *Frauen und Wein, Spiel und Betrug machen den Reichtum klein und die Bedürfnisse gross. – [ქალები და ღვინო, თამაში და ტყუილი სიმდიდრეს ამცირებენ და მოთხოვნილებებს ზრდიან].*

1.16. ანდაზები კაიკაცობაზე, კაცის პატიოსნებაზე, პატივისცემაზე, სიმამაცესა და ვაჟკაცობაზე

<u>კაიკაცობა, კეთილშობილება და პატიოსნება კაცის ერთ–ერთი მთავარი ღირსებაა.</u> ეს ღმერთის საჩუქარია. კაცი ღირსეული უნდა იყოს და კაცური საქმითა და ქცევით უნდა გამოირჩეოდეს. ამ მიმართულებით ქართულ ენაში გაცილებით მეტი ანდაზაა, ვიდრე – გერმანულში.

<u>გერმანული ანდაზები</u>	<u>ქართული ანდაზები</u>
• *Wenn mancher Mann wüsste, wer mancher Mann wäre, tät mancher Mann manchem Mann manchmal mehr Ehre. – [ზოგიერთ კაცს რომ სცოდნოდა, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო სხვა კაცი, ზოგიერთი კაცი იმ სხვა კაცს ხანდახან უფრო მეტ პატივს სცემდა].*	❖ *კაიკაცობა კაცს არ წაახდენს.*
• *Ein Mann bewärt sich in seinem Ruf wie das Silber im Tiegel und das Gold im Ofen. – [ზოგი კაცი თავის რეპუტაციას ისე ავლენს„როგორც ვერცხლი – ტარიან ქოთანში და ოქრო – ღუმელში].*	❖ *კაიკაცობა კაცს არ აწყენსო.*
• *Der Mann ist ehrenwert, der alle Dinge zum Besten kehrt. – [ღირსეული ის კაცია, ვისაც ყველა საქმე საუკეთესოსკენ მიჰყავს].*	❖ *კაცი კაცობაში გამოჩნდებაო.*
• *Ein ehrlicher Mann ist das grossartigste Werk Gottes. – [პატიოსანი კაცი ღმერთის დიდებული ქმნილებაა].*	❖ *კაი კაცის პურ–მარილი ზღვაზე ხიდად გაიდება.*

- *Den guten Wein und den tapferen Mann soll man nicht nach seinem Herkommen fragen. – [კარგ ღვინოსა და მამაც კაცს თავისი წარმომავლობის შესახებ არ უნდა ჰკითხო].*

❖ *კარგი კაცი სარკეა.*

- *Wenn sich zwei Diebe schelten, so kriegt ein ehrlicher Mann seine Kuh wieder. – [როცა ორი ქურდი ჩხუბობს, პატიოსანი კაცი თავის ძროხას უკან იბრუნებს].*

❖ *კარგმა კაცმა კამა ჭამა, ავმა კაცმა – ნიახური..*

- *Ein ehrlicher Mann ist sein Gewicht in Gold wert. - [პატიოსან კაცს ოქროს ფასი აქვს]*

❖ *კაცს კაცობა უნდა, თორემ ულვაში კატასაც კი აქვს.*

❖ *კაცი კაცი უნდა იყოს, თორემ ქუდი სოკოსაც კი ხურავს.*

❖ *კაცი კაცობაში გამოჩნდებაო.*

❖ *კაცი სანთელივით სხვას უნდა უნათებდესო.*

❖ *კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი საიქიოსათვის და ერთიც – სააქაოს დასარჩენადო.*

❖ *კაცად ის ჩამიგდია, ვისაც ჩემი ქმრის არ ეშინიაო.*

❖ *განა ყველა კაციაო, ვისაც ჩოხა აცვიაო.*

❖ *კაცმა კაცთან გაიარე და ფასი დაგედებაო.*

❖ *ერთი კარგი კაცის სახელი დარჩება ქვეყანაზე და მეორეც – ავისაო.*

❖ *ყველა კაცი კაციაო, კახაბერი კი სხვა კაციაო.*

- *გზა კეთილისა კაცისა ნიადაგ გქონდეს სავალად.*
- *კაცი – გულითა, ხე – ძირითაო.*
- *ერთგული კაცი ძნელად მოიძებნება და ძვირად ფასობსო.*
- *კაცი კაცით ცოცხლობს.*
- *კაცი კაცითაო, ნათქვამია.*
- *კაცი კაციოთაო, ღობე ქაცვითაო.*
- *კაიკაცობით ნაშოვნი ლუკმა ტკბილიაო.*
- *კაცი კაცის წამალიაო.*
- *კაცი კაცს მიატანს, ნადირი – ტყესაო.*
- *პატიოსან კაცს გაცვეთილი ჩოხა აცვიაო.*

ანდაზებში იკვეთება, რომ კარგ კაცს ყოველთვის მტერი ჰყავს. <u>კარგი კაცი მტრის გარეშე იშვიათია.</u>

- *Je mehr Feinde, je mehr Ehre, viel Feinde, viel Beute. – [რაც მეტია მტერი, უფრო მეტია პატივისცემა, ბევრი მტერი – ბევრი ნადავლი (მსხვერპლი)].*

- *კაცი არ ვარგა უმტერო, არც ისე – მტერმორეული.*
- *კაცი არ ვარგა უმტერო, კარგია მუდამ მტრიანი.*
- *თუ კაცს მტერი არა ჰყავს, მოყვარე დაუმტერდებაო.*

იყო კარგი, ღირსეული კაცი, არ არის ადვილი. ანდაზების მიხედვით <u>კაცის ბუნება ძნელი გამოსაცნობია.</u> მას ერთგვარი გამოცდა სჭირდება. კაცი ბევრ რამეში გამოიცნობა: მგზავრობაში, ღვინის

სმაში, უბედურებაშიც კი და ა. შ. კაცი თავისი საქმით გამოჩნდება. ამასთან დაკავშირებით მოვიძიეთ ანდაზები ორივე წყაროში.

- *Gold wird im Feuer geprüft, mutige Männer im Unglück. – [ოქროს ამოწმებენ ცეცხლში, მამაც კაცებს – უბედურებაში].*

❖ *კაცს საქმე გამოსცდის და ცხენს – გზაო.*

- *An der Geduld erkennt man den Mann – [კაცს მოთმინებით გამოიცნობენ].*

❖ *კაცი მგზავრობაში იცნობაო.*

- *Manche Männer sind wie Blasen, sie zeigen sich erst nach getaner Arbeit. – [ზოგიერთი კაცები ბებერასავით არიან. ისინი ჩნდებიან გაკეთებული საქმის შემდეგ].*

❖ *კაცი რომ დაითვრებაო, ორი კაცის ტოლა გაიზრდებაო.*

- *Drei sind mir zu wundersam, und vier verstehe ich nicht: des Adlers Weg am Himmel; der Schlange Weg auf dem Felsen; des Schiffes Weg mitten im Meer und des Mannes Weg beim Weibe. - [სამი რამ არის ჩემთვის მეტისმეტად სასწაულებრივი. ოთხი რამ მე არ მესმის: არწივის გზა ცაზე; გველის გზა კლდეზე; გემის გზა შუა ზღვაში და მამაკაცის გზა ქალთან].*

❖ *კაცის გამოცდა თუ გინდა, გოლოკი დაარიგებინეო.*

- *Hastiger Mann war nie Verräter. – [აჩქარებული კაცი არასოდეს ყოფილა მოღალატე].*

❖ *კაცსა ფიცნი გამოსცდიანო.*

❖ *კაცს თუ ახლოს არ იცნობ, ნურც აქებ, ნურც აძაგებო.*

❖ *კაცი იცნობა გასაჭირში და ღვინოშიო.*

- *კაცი გაზომე გაჭირვებაშიო.*
- *გველი გარედანაა ჭრელი, კაცი კი _ შიგნიდანო.*
- *კაცმა კაცის რომ გაიგოს, მასთან ცხრა ფუთი მარილი უნდა შეჭამოსო.*
- *კაცი რაზე გამოიცდება და, _ ყველაფერზეო.*
- *ზოგ კაცს კვირაში შვიდი პარასკევი აქვსო.*
- *კაცი მგზავრობაში გაიცნობა, ამხანაგი – საქმეში და ცხენი – ხედნაშიო.*
- *ცხენი აღმართში გამოსცადე, ამხანაგი განსაცდელში.*
- *კაცი გამოსცადე და მერე ეძმეო.*
- *ყველაზე საძნელო კაცისათვის თავისი თავის ცნობაა.*

რადგან <u>ადვილი არ არის, რომ კარგი კაცი იყო.</u> გერმანულმა ენამ იუმორნარევი ანდაზა შემოგვინახა. ქართულ ენაზეც მოვიძიეთ მსგავსი სახის ნიმუში.

- *Es gibt zwei gute Männer - der eine ist tot und der andere noch nicht geboren. – [ორი კარგი კაცი არსებობს – ერთი მკვდარია, მეორე ჯერ არ დაბადებულა].*

კაცი <u>მამაცი და ვაჟკაცური</u> უნდა იყოს. გამბედაობა, სიმამაცე და ვაჟკაცობა მამაკაცის დომინანტი ნიშან–თვისებებია.

- *Dem Mutigen gehört die Welt. – [სამყარო მამაცებს (გაბედულებს) ეკუთვნის].*
  - ❖ *ვინაც კაციაო, ის მამაციაო.*
- *Der brave Mann denkt an sich selbst zuerst (früher zuletzt). – [მამაცი კაცი ყველაზე ბოლოს თავის თავზე ფიქრობს].*
  - ❖ *ციხეს კარი უნდა, კარს – კაციო.*
  - ❖ *ვაჟკაცი სადაც შერცხვების, იმის სამარე იქ არის.*
  - ❖ *საცა შერცხვები, ვაჟკაცო, თავიც იქ უნდა დამარხოო.*
  - ❖ *კარგი ვაჟკაცი სოფლის იმედიაო.*
  - ❖ *კარგი ვაჟკაცი და ძაღლი სოფლის იმედიაო.*
  - ❖ *ძილი ვაჟკაცის ქმარიაო.*
  - ❖ *ტყვია ვაჟკაცის ქმარიაო.*

საინტერესოა ისიც, რომ ქართულ ფოლკლორში მოვიძიეთ რამდენიმე ანდაზა <u>მშიშარა კაცებზე.</u>

- *Männer sind ängstlich, wehleidig und verletzbar.Frauen verstehen das. – [კაცები მშიშრები არიან, შესაბრალისები და სუსტები. ქალებს ესმით ეს].*
  - ❖ *მშიშარა კაცი ორჯერ მკვდარიაო.*
  - ❖ *ას კაცში რომ კაცს შეეშინდება, ზიარება არ უწევსო.*
  - ❖ *ას კაცში რომ კაცს შეეშინდეს, ცხონება არ ელირსებაო.*
  - ❖ *კაცი ფონს გავა გულადად, თუ არ უმტყუნა სიმხნევემ.*

ნამდვილი ვაჟკაცი <u>სიტყვის პატრონი უნდა იყოს.</u>

• *Das Pferd beim Zaun, den Mann beim Wort. – [ცხენი – ღობეზე, კაცი – სიტყვაზე].*	❖ *პირობა კაცს ცოლს წაართმევსო.*
• *Eher verkauft der Mann sein Land, als dass er sein Wort bricht. – [კაცი თავის ქვეყანას უფრო ჩქარა გაყიდის, ვიდრე თავის სიტყვას გატეხს].*	❖ *კაცი მოკვდება და სიტყვა – არაო.*

<u>ვაჟკაცისთვის დიდი ფასეულობაა ცხენი.</u> ისტორიულად ცნობილია, თუ რას წარმოადგენდა ცხენი ქართველი კაცისთვის. იგი მისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ცოლი; უფრო მეტიც, ცხენით იზომებოდა მამაკაცის ვაჟკაცურობა, ავტორიტეტი. უცხენო კაცი კაცად არ ფასობდა. საინტერესო ანალოგია აღმოჩნდა ამ კუთხით გერმანულ ფოლკლორშიც.

• *Dein Pferd, dein Weib und dein Schwert leih nicht her. – [შენი ცხენი, შენი ცოლი და შენი მახვილი (დაშნა) არავის არ ათხოვო].*	❖ *კარგი ხარ, კარგო ყოფაო, კარგო ცხენო და ჩოხაო.*
	❖ *კაი ქალს კაი ცხენი სჯობიაო, კაი ცხენს – კაი თოფიო.*
	❖ *კაცი ვერ შესწვდა ცხენსაო, უნაგირს მისწვდა, ტეხსაო.*
	❖ *ვისაც ცხენს ანდობ, ცოლიც მიანდეო.*
	❖ *კაცს ცხენი არ ჰყავდა, უნაგირს ნატრობდაო.*
	❖ *ბედნიერს ცოლი მოუკვდება, უბედურს – ცხენიო.*

2.ქალი ზოონიმურ ანდაზებში

ანდაზებში, განსაკუთრებით კი გერმანულ ანდაზებში, ქალებს ხშირად ადარებენ ცხოველებს. ცხოველთა სამყაროს ქალის ბუნებასთან დაკავშირება ტრადიციულ გერმანულ ანდაზებში ძალიან პოპულარული იყო. შედარება არის მეტწილად იუმორისტული. გერმანულ ფოლკლორში უამრავი ანდაზა არსებობს ქალზე, რომელიც ამა თუ იმ თვისების გამო მეტ-ნაკლებად ემსგავსება სხვადასხვა ცხოველსა თუ ფრინველს.

ანდაზებში ქალი ითვლება, როგორც სარგებლობის მომტანი ფიგურა: მოგების მომტანი საცოლე და მზითვი, შვილების გამზრდელი, ასევე საჭირო ძალა საოჯახო საქმეებში. *Frauen sind Heilige in der Kirche, Engel auf der Strasse, Teufel in der Küche und Affen im Bett". – [ქალები არიან წმინდანები ეკლესიაში, ანგელოზები – ქუჩაში, ეშმაკები სამზარეულოში – და მაიმუნები საწოლში].*

ანდაზები, რომლებშიც ქალი ცხოველთანაა შედარებული, ქალის სხვადასხვა თვისებაზე მიუთითებენ.

<u>გერმანული ანდაზები</u> <u>ქართული ანდაზები</u>

ა) <u>ერთგულება</u> – ანდაზებში გატარებულია ის აზრი, რომ <u>ქალი მნიშვნელოვანია, როგორც კატა ან ძროხა და ერთგული, როგორც ძაღლი.</u>

- *Eine Frau, eine Katze und ein Schornstein sollten niemals das Haus verlassen. – [ქალმა, კატამ და საკვამლე მილმა არასოდეს არ უნდა დატოვონ სახლი].*

❖ *გლეხი ძროხას ეძებს ჯიშიანს, თავადი კი – ცოლსაო.*

- *Eher einen Sommer ohne Kuh als ein Weihnachten ohne Frau. – [ჯობს ზაფხული ძროხის გარეშე, ვიდრე შობის დღესასწაული – ქალის გარეშე].*

❖ *ღარიბი კაცის ძაღლი შეიბრალე და მდიდრისა – რძალიო.*

- *Drei treue Freunde: eine alte Frau, ein alter Hund und Bargeld. – [სამი ერთგული მეგობარი: მოხუცი ქალი, ბებერი ძაღლი და ნაღდი ფული].*

<u>ბ) ქალის შეზღუდული აზროვნება – ქალებს გერმანულ ანდაზებში ადარებენ ისეთ სულელ ცხოველებს. როგორებიც არიან ვირი ან მაიმუნი, ხოლო ქართულ ანდაზებში – თხას.</u>

- *Frauen in Staatsangelegenheiten sind wie Affen in Porzellanläden. – [ქალები სახელმწიფო საქმეებში ჰგვანან მაიმუნებს ფაიფურის მაღაზიებში].*

❖ *ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო.*

- *Wenn ein Esel eine Leiter erklimmt, finden wir vielleicht Klugheit in Frauen. – [როცა ვირი კიბეზე აცოცდება, ჩვენ, ალბათ, ვიპოვით ქალებში ჭკუას (გონიერებას)].*

❖ *ქალს მოკლე ჭკუა ჰქონდა და ისიც თხამ შეუჭამაო.*

- *Kein Argument wird eine Frau oder einen störrischen Esel überzeugen. – [ვერავითარი არგუმენტი ვერ დაარწმუნებს ქალს ან ჯიუტ სახედარს].*

<u>გ) ქალს თვალყურის დევნება სჭირდება – ქალებიც ისე აღიზრდებიან, როგორც ცხოველები; კერძოდ, ყოველთვის თვალყურის დევნებას საჭიროებენ.</u>

- *Frauen und Hühner sollten nicht frei laufen. – [ქალებმა და ქათმებმა თავისუფლად არ უნდა ირბინონ].*

- *Pferde und Frauen muss man genau beschauen. – [ცხენებსა*

და ქალებს ზედმიწევნით თვალყურის დევნება სჭირდებათ].

დ) <u>შეუძლებელია ქალი დააკავო და შეაჩერო</u>

- *Wer eine Frau hat, hat einen Aal beim Schwanz. – [ვისაც ცოლი ჰყავს, კუდში გველთევზა ჰყავს].*

- *Schweine, Frauen und Bienen lassen sich nicht lenken. – [ღორების, ქალებისა და ფუტკრების მართვა არ შეიძლება].*

ე) <u>ქალები ძაღლებივით და კატებივით არიან</u>

- *Frauen sind wie Hunde und Katzen. – [ქალები ისეთები არიან, როგორებიც – ძაღლები ან კატები].*

- *Frauen und Hunde verursachen viel Streit. – [ქალები და ძაღლები ჩხუბს ხშირად იწვევენ].*

- *Zwei Katzen und eine Maus, zwei Ehefrauen in einem Haus, zwei Hunde und ein Knochen sind nie einer Meinung. – [ორ კატასა და ერთ თაგვს, ორ ცოლს ერთ სახლში, ორ ძაღლსა და ერთ ძვალს არასოდეს ერთი აზრი არ აქვთ].*

- *Alle Frauen und Katzen sind schwarz, wenn die Sonne untergegangen ist. –*

[ყველა ქალი და ყველა კატა მავია, როცა მზე ჩასულია.].

- *Wenn Kerzen aus sind, sind alle Katzen grau und Frauen schön. – [როცა სანთლები ჩამქრალია, ყველა კატა ნაცრისფერია და ყველა ქალი – ლამაზი].*

3) <u>ქალები ცხენებივით არიან</u>

- *Ein stöhnendes Pferd und eine stöhnende Frau enttäuschen nie ihren Herrn. – [მკვნესარე ცხენი და მკვნესარე ცოლი თავიანთ ბატონს იმედს არასოდეს უცრუებენ].*
- *Ein Mann ohne Pferd hat wenig Sorgen, ein Mann ohne Frau überhaupt keine. – [კაცს ცხენის გარეშე ცოტა საზრუნავი აქვს, კაცს ქალის გარეშე ის საერთოდ არ აქვს].*
- *Ein Pferd, eine Frau und und ein Schwert dürfen gezeigt, aber nicht verliehen werden. – [ცხენის, ცოლისა და დაშნის ჩვენება შეიძლება, მაგრამ მათი გადაცემა – არა].*
- *Eine dünne Frau ist wie ein Rennpferd; sie ist schnell und bringt Spass, ist aber nicht gut für die Arbeit. – [გამხდარი ქალი მორბენალი ცხენივითაა. ის სწრაფია და სიამოვნება მოაქვს, მაგრამ არ არის კარგი მუშაობის დროს].*

- *Wer sein Pferd an jedem See tränkt und seine Frau zu jeder Feier gehen lässt, wird niemals ohne Hure und Gaul sein. – [ის, ვინც თავის ცხენს ყველა ტბასთან ასმევს წყალს და თავის ცოლს ყველა დღესასწაულზე წასვლის ნებას აძლევს, არასოდეს იქნება მეძავისა და ჯაგლაგი ცხენის გარეშე].*

ზ) <u>ქალები ბატებივით და ბაყაყებივით იწვევენ ხმაურს.</u>

- *Alte Weiber und Frösche quaken viel. – [მოხუცი ქალები და ბაყაყები ბევრს ყიყინებენ].*
- *Wo Frauen und Gänse sind, mangelt es nicht an Lärm. – [სადაც ქალები და ბატები არიან, ხმაურის დეფიციტი არ არის].*
- *Drei Frauen und eine Gans machen einen Markt. – [სამი ქალი და ერთი ბატი უკვე ბაზარია]*
- *Drei Weiber und drei Gänse machen einen Jahrmarkt. – [სამი ქალი და სამი ბატი უკვე ბაზრობაა]*
- *Drei Weiber, drei Gänse und drei Frösche machen einen Jahrmarkt. – [სამი ქალი, სამი ბატი და სამი ბაყაყი უკვე ბაზრობაა]*
- *Drei Frauen, drei Gänse und drei Frösche machen einen Jahrmarkt. – [სამი ქალი, სამი ბატი და სამი ბაყაყი ქმნიან ბაზრობას].*

თ) ქალი ფრინველივით სულელია – ფრინველი, საყოველთაოდ, სულელად ითვლება.

- *Genauso grosser Jammer, eine Frau weinen zu sehen wie eine barfüssige Gans zu sehen. – [ისეთივე დიდი მწუხარებაა, მტირალ ქალს უყურო, როგორც – ფეხშიშველ ბატს].*
- *Frauen, Priester und Geflügel kriegen nie genug. – [ქალები, მღვდლები და ფრინველები საკმარისს ვერასოდეს იღებენ].*
- *Es ist ein trauriges Haus, in dem die Henne lauter kräht als der Hahn. – [ის სახლი ნაღვლიანია, რომელშიც ქათამი უფრო ხმამაღლა ყივის, ვიდრე – მამალი].*
- *Die Henne, die zur Frühmesse geht, und das Weib, das Latein versteht, nehmen nie ein gutes Ende. – [დედალსა, რომელიც ცისკრის ლოცვაზე მიდის, და ქალს, რომელიც ლათინურს სწავლობს, კარგი ბოლო არ ექნებათ]*

ი) ქალები კრაზანებივით, სპილოებივით არიან. – ქალები გაბრაზების დროს ამ ცხოველების თვისებების მატარებლები არიან.

- *Frauen sind in ihren Zorn wie Wespen. – [ქალები გაბრაზების დროს კრაზანებივით არიან].*
- *Frauen und Elefanten vergessen niemals. – [ქალებს და სპილოებს არასოდეს ავიწყდებათ].*

3. ანდაზებში ქალებსა და მამაკაცებს უდარებენ სხვადასხვა (ზოგჯერ აბსტრაქტულ) საგნებს

გერმანული ანდაზების მიხედვით თავიანთი ბუნებით (ხასიათით) <u>ქალები და მამაკაცები უფრო მეტად ჰგვანან საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებს, ვიდრე – ადამიანებს.</u> ქართულ ფოლკლორში ამ პოზიციის მატარებელი რამდენიმე ანდაზა შეგვხვდა.

<u>გერმანული ანდაზები</u>	<u>ქართული ანდაზები</u>
• *Der Mann ist die Lampe, die draussen leuchtet, die Frau ist die Lampe, die drinnen scheint. – [კაცი არის ნათურა, რომელიც გარეთ ბრწყინავს. ქალი არის ნათურა, რომელიც შიგნით ანათებს].*	❖ *კარგი კაცი სარკეა.*
• *Ein Mann ohne Frau ist wie ein Schiff ohne Segel. – [კაცი უქალოდ ისეთივეა, როგორიც – გემი უიალქნოდ].*	❖ *ფრინველს ბუდით იცნობენ და კაცს – მამულითაო.*
• *Ein Mann ohne Frau ist ein Baum ohne Laub und Zweige. – [კაცი ქალის გარეშე – ეს არის ხე ფოთლებისა და ტოტების გარეშე].*	❖ *ძროხას მარილი ატყუებს, კაცს – ენა.*
• *Bei der Wahl einer Frau und dem Kauf eines Schwertes sollen wir keinem anderen trauen. – [ცოლის არჩევისას და დაშნის ყიდვისას არავის დავუჯეროთ].*	❖ *ხარს რქით დააბამენ, კაცს – ენითაო.*

- *Drei treue Freunde: eine alte Frau, ein alter Hund und Bargeld. -[სამი ერთგული მეგობარი: მოხუცი ქალი, ბებერი ძაღლი და ნაღდი ფული].*

- *Frauen und Glas sind immer in Gefahr. – [ქალები და მინა ყოველთვის საფრთხეში არიან].*

- *Eine Frau ist das schwächere Gefäss. – [ქალი უფრო სუსტი ჭურჭელია.].*

<u>ქალი კაცის გარეშე</u> ბევრ გერმანულ ანდაზაში ედარება სხვადასხვა საგანს.

- *Eine Frau ohne Mann ist ein Fenster ohne Scheiben. – [ქალი მამაკაცის გარეშე არის ფანჯარა – მინის გარეშე].*

- *Eine Frau ohne Mann ist ein Garten ohne Zaun. – [ქალი მამაკაცის გარეშე არის ბაღი – ღობის გარეშე].*

- *Eine Frau ohne Mann ist ein Leib ohne Seele. – [ქალი მამაკაცის გარეშე არის სხეული – სულის გარეშე].*

- *Eine Frau ohne Mann ist ein Schloss ohne Klinke. – [ქალი მამაკაცის გარეშე არის საკეტი – სახელურის (რაზის) გარეშე].*

- *Eine Frau ohne Mann ist eine Flasche ohne Stöpsel. – [ქალი კაცის გარეშე არის ბოთლი – საცობის გარეშე].*

- *Eine Frau ohne Mann ist wie ein Fisch ohne Fahrrad. – [ქალი მამაკაცის გარეშე ისევეა, როგორც – თევზი ველოსიპედის გარეშე].*

- *Eine Frau ohne Mann ist eine Rebe ohne Pfahl. – [ქალი მამაკაცის გარეშე არის ვაზი – სარის გარეშე].*

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამინდი ზამთარში და განსაკუთრებით გაზაფხულზე, მარტში, ხშირად ცვალებადია. ტრადიციულ ანდაზებში გამოხატულია მსგავსება ამინდთან, ქარსა და ქალებთან. ქალის ბუნება ცვალებადია.

- *Winterwetter und Frauengedanken ändern sich oft. – [ზამთრის ამინდი და ქალების აზრები ხშირად იცვლება].*

- *Frauen sind so wechselhaft wie das Wetter im April. – [ქალები ისეთივე ცვალებადნი არიან, როგორიც ამინდი – აპრილში].*

- *Eine Frau ist ein Wetterhahn. – [ქალი – ეს არის ფლუგერი].*

- *Frauen sind so wechselhaft wie der Wind. – [ქალები ისეთივე ცვალებადნი არიან, როგორიც – ზამთრის ქარი].*

❖ *მარტი პატარძალივითაა: დღეში სამჯერ მოირთვება და სამჯერ მოიღუშებაო.*

- *Die Gedanken einer Frau sind wie ein Winterwind. – [ქალის აზრები ისეთივეა, როგორც ზამთრის ქარი].*

- *Frauen und Wind sind notwendige Übel. – [ქალები და ქარი აუცილებელი უბედურებაა (განსაცდელია)].*

- *Eine Frau und ein Gewitter sind immer zu fürchten. – [ქალი და ჭექა–ქუხილი ყოველთვის საშიშნი არიან].*

ერთი გერმანული ანდაზის მიხედვით საკითხავია, ქალები ობიექტის ღირებულებას აჭარბებენ თუ არა (უპირატესობა აქვთ თუ არა).

- *Eine Frau ist bloss eine Frau; eine gute Zigarre ist eine Zigarre. – [ქალი, უბრალოდ, ქალია. კარგი სიგარა სიგარაა].*

ქალებს, როგორც საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებს, თვალყურს უნდა ადევნებდნენ და ამოწმებდნენ. ამ მიმართულებით მოვიძიეთ გერმანული ანდაზები.

- *Waffen, Frauen und Schlösser sollten täglich kontrolliert werden. – [იარაღები, ქალები და კლიტეები ყოველთვის უნდა გაკონტროლდნენ].*

- *Eine Scheune, ein Zaun und eine Frau müssen immer repariert werden. – [ბეღელს, ღობეს და ცოლს ყოველთვის უნდა შეკეთება (რემონტი)].*

- *Ein Schiff und eine Frau müssen immer repariert werden. – [გემსა და ქალს მუდმივი შეკეთება (შერემონტება) სჭირდება].*

- *Ein Schiff, eine Frau und eine Laute müssen immer repariert werden. – [გემს, ქალსა და გარმონის მუდმივი შეკეთება (შერემონტება) სჭირდება].*

- *Mühlen und Frauen haben immer Mangel. – [წისქვილებსა და ქალებს ყოველთვის ნაკლი აქვთ].*

- *Gezähltes Geld und versohlte Frauen sind in Ordnung. – [დათვლილი ფული და ნაცემი ქალები – ეს ბუნებრივი რამ არის].*

ორიოდე გერმანულ ანდაზაში მინიშნებულია, რომ <u>ქალის გარეგნობა ზოგჯერ აცდენს (ატყუებს) მამაკაცს.</u>

- *Goldene Mädchen, bleierne Weiber. – [ოქროს გოგონები, ტყვიის ქალები].*

- *Männer freien immer Göttinnen und heiraten dann einfache Sterbliche. – [კაცები ხელს სთხოვენ ქალღმერთებს და ქორწინდებიან უბრალო მოკვდავებზე].*

გერმანულ ანდაზებში <u>ქალსა და მამაკაცს ზოგჯერ აბსტრაქტულ საგნებს ადარებენ.</u> ჩვენ მიერ მოკვლეულ გერმანულ ანდაზებში

აღმოჩნდა, რომ ქალი დადებითად, პოზიტიურად არის წარმოდგენილი. ქართულ ანდაზებში კი ფიქსირდება როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შემთხვევები.

- *Eine gute Frau ist ein guter Preis, sagt Salomon der Weise. – [სოლომონ ბრძენი ამბობს, რომ კარგი ცოლი კარგი ჯილდოა].*
  ❖ *გიხსნას ღმერთმა ადიდებული წყლის, აბრიალებული ცეცხლისა და შარიანი ქალისაგანო.*
- *Wer eine Ehefrau gefunden hat, der hat etwas Gutes gefunden und Wohlgefallen erlangt vom Herrn. – [ვინც კარგი ცოლი იპოვა, მან რალაც კარგი იპოვა და თანაგრძნობას ჰპოვებს ღმერთისაგან]*
  ❖ *ხეს ნაყოფით იცნობენ, კაცს – ჭკუითაო.*
- *Beim Finden von Frau und Glück sollte ein Mann den Rat der ganzen Welt suchen. – [ცოლისა და ბედნიერების პოვნისას კაცმა მთელ მსოფლიოში (სამყაროში) რჩევა უნდა ეძებოს].*
  ❖ *კაცი გულითა ხარობს, ცეცხლი კი - უგულოდაო.*
- *Eine gute Frau und Gesundheit sind der grösste Reichtum eines Mannes. – [კარგი ცოლი და ჯანმრთელობა არის მამაკაცისთვის აუწონავი სიმდიდრე].*
  ❖ *კაცი გულითა ხარობსო, ხე კი ნაყოფითაო.*
- *Die Frau ist der Hüter der Seele des Mannes. – [ქალი არის მამაკაცის სულის მცველი (დარაჯი)]*
  ❖ *კაცი – გულითა, ხე კი – ძირითა.*
- *Eine Frau ist ein Mal für die Götter. – [ქალი არის ღმერთების ტრაპეზი].*
  ❖ *კაცი – კაცითაო, ნადირი – ტყითაო (თევზი – წყლითაო).*

- *Eine tugendhafte Frau ist seltener als ein kostbarer Juwel. – [სათნო (ზნეკეთილი) ქალი უფრო იშვიათია, ვიდრე ძვირფასი სამკაული].*

❖ *ფრინველი ბუმბულით იცნობა, კაცი –საქმითაო.*

❖ *კაცი –კაცითაო, ღობე – ქაცვითაო.*

❖ *ჟამის ჭირის შეყრას სჯობია ავი ცოლ–ქმრის შეყრაო.*

❖ *კაცი საქმით ფასობს, ფრინველი ბუმბულითო.*

❖ *ქალი ქვეყნის მარილი და ერის გვირგვინიაო.*

❖ *ქალი შენს საკუთარ ჩრდილსა ჰგავს: თუ მისდევ, გარბის; თუ გაურბი, მოგდევს.*

❖ *ქალი – გვარითაო და საქონელი –ტანითაო.*

4. ყოველდღიურ ცხოვრებაში არეკლილი ადამიანური გამოცდილებები და რჩევები ქალებს და მამაკაცებს

არსებობს ანდაზები, რომლებიც ქალებსა და მამაკაცებს სთავაზობენ გაფრთხილებას ან რჩევას, რათა მათ აირიდონ შესაძლო უამური შედეგები.

ანდაზებში, რომლებიც ქალებსა და მამაკაცებს აძლევს ინსტრუქციას სწორი მოქმედებისთვის, ჩანს რჩევები მოწოდების ფორმით.რჩევა ბრძანებით კილოში დგას.

გერმანული ანდაზები	ქართული ანდაზები
რჩევები ქალებს	
• *Halte jeden Mann für einen Lügner, bis er sich als ehrlich erweist. – [ჩათვალე ყველა კაცი მატყუარად, სანამ ის პატიოსანი არ აღმოჩნდება].*	❖ *კაცის მტრობა თუ გინდოდეს, ნათლიად გაიხადეო.*
• *Du kannst weder mit Männern leben noch ohne sie. – [შენ შეგიძლია არც კაცებთან იცხოვრო და არც – მათ გარეშე].*	
• *Ehemänner sind wie Autos, wenn du sie pflegst, brauchst du nicht ständig neue. – [ქმრები ავტომანქანებივით არიან: თუ შენ მათ მოუვლი, მუდმივად ახალი არ გჭირდება].*	
• *Wähle deinen Mann wie deine Schuhe danach, wie bequem er ist und danach, wie lange er hält. – [შენი ქმარი ისევე, როგორც შენი ფეხსაცმელი, იმის*	

მიხედვით აირჩიე, რამდენად მოხერხებულია ის, ან რამდენ ხანს ძლებს].

- *Lass den, der einen Tag lang glücklich sein will, zur Barbier gehen; eine Woche lang, in neues Haus bauen; ein Leben Lang, einen ehrlichen Mann sein. – [გაუშვი ის დალაქთან, ვისაც სურს ერთი დღის განმავლობაში ბედნიერი იყოს; ერთი კვირის განმავლობაში იქორწინოს; ერთ თვეში ცხენი იყიდოს; ერთ წელში სახლი ააშენოს; სიცოცხლის განმავლობაში პატიოსანი კაცი იყოს].*

- *Meide den Ärger eines grossen Mannes, den Tumult des Mobs, einen Mann mit schlechtem Ruf, eine Witwe, die dreimal verheiratet war, einen Wind, der durch ein Loch bläst und einen versöhnten Feind. – თავი აარიდე დიდ კაცს, ბრბოს რისხვას, ცუდი რეპუტაციის კაცს, სამჯერ განათხოვარ ქვრივს, ქარს, რომელიც ნახვრეტიდან უბერავს და შერიგებულ მტერს].*

მკითხველთა ინტერესს გამოიწვევს ანდაზები, რომლებშიც ფიქსირდება რჩევები მამაკაცებისათვის. ამ თვალსაზრისით, ორივე ენის ფოლკლორი უხვად გვთავაზობს ანდაზებს.

რჩევები მამაკაცებს

- *Wenn es ein Geheimnis ist, erzähle es keiner Frau. – [თუ ეს საიდუმლოა, არ მოუყვე არც ერთ ქალს].*
- *Sag es einer Frau, und du sagst es der Welt. – [უთხარი ეს ქალს და შენ ამას მსოფლიოს ეტყვი]*
- *Spiele nicht mit Frauen oder Geld. – [ნუ ითამაშებ ქალებსა და ფულთან].*
- *Rate einem Mann niemals, sich zu erhängen oder zu heiraten. – [არასოდეს ურჩიო კაცს, თავი ჩამოიხრჩოს ან ცოლი მოიყვანოს].*
- *Suche nie eine Frau, bevor du weisst, was du mit ihr anfangen willst. – [არ ეძებო ქალი, სანამ არ იცი, რისი დაწყება გსურს მასთან].*
- *Versuche niemals eine Frau von der Wahl ihres Herzens abzubringen. – [არასოდეს შეეცადო, ქალს გულის არჩევანი გადააფიქრებინო].*
- *Nimm dich in Acht vor einer jungen Dirne, einer Prophetin und einer Frau, die Latein kann. – [უფრთხილდი ახალგაზრდა მეძავს, წინასწარმეტყველ ქალს და ქალს, რომელმაც ლათინური იცის].*

- ❖ *შენი გულის პასუხი შენს ცოლსაც არ უთხრაო.*
- ❖ *ცოლს ნუ უწევ ღაზოპასა, არ მოგიშლის ბრაზოპასა.*
- ❖ *როცა ომია, ძამია, რა დროს ლამაზი ქალია.*
- ❖ *თუ კაი ცოლი გყავს, მექორწილის სახლში რა გინდაო.*
- ❖ *ბედნიერება თუ მოგჭარბდა, ცოლი შეირთეო.*
- ❖ *თუ ქალი ერთგულებას გეფიცებათ, გკეროდეთ, რომ იგი მხოლოდ თქვენ გიღალატებთ.*
- ❖ *სადაც შერცხვები, ვაჟკაცო, თავიც იქ უნდა დამარხოო.*

- *Vertraue einer Frau nicht, wenn sie weint. – [არ ენდო ქალს, როცა ის ტირის].*

❖ *თუ გინდოდეს თავის ჭირი, მოიყვანე ქალი ქვრივიო.*

- *Wähle einen Freund nach seinen Taten, eine Frau nach ihrem Besitz und Waren nach ihrem Wert. – [აირჩიე მეგობარი თავისი საქმეების მიხედვით, ქალი – თავისი ქონების მიხედვით და საქონელი – თავისი ღირებულების მიხედვით].*

❖ *კაცო, ნუ გიკვირს სიმდიდრე; სიმდიდრე სიზმარიაო.*

- *Ehemann, glaube nicht, was du siehst, sondern, was ich dir sage. – [ქმარო, არ დაიჯერო, რასაც ხედავ, არამედ, ირწმუნე, რასაც მე გეტყვი].*

❖ *თუ ქალმა ვერ შეძლო ჭკუიდან თქვენი გადაყვანა, ჩათვალეთ, უტვინო ყოფილხართ.*

- *Befolge den ersten Rat einer Frau und nicht den zweiten. – [შეასრულე ქალის პირველი რჩევა და არა – მეორე].*
- *Lasst die Frauen die Hosen tragen. – [ჩააცვით ქალს შარვალი].*
- *Unterschätze niemals die Macht der Frau. – [არ შეიძლება ქალის ძალაუფლების შეუფასებლობა].*
- *Streite niemals mit einer Frau. – [არასოდეს ეკამათო ქალს].*
- *Du sollst niemals die Frau eines anderen stehlen und niemals einem anderen Wasser in seinen Whiskey giessen. – [არასოდეს მოიტაცო ან მიიკუთვნო სხვისი ცოლი და არასოდეს ჩაუსხა სხვას ვისკიში წყალი].*

- *Halte die Frau beschäftigt, das hält sie von Unheil fern. – [მიეცი სამუშაო ქალებს, ეს მათ თავიდან აცილებს უბედურებას (ჭირს, განსაცდელს)].*
- *Liebe deinen Nächsten, aber lass seine Frau in Ruhe. – [გიყვარდეს ახლობელი (მოძმე, მოყვასი), მაგრამ დაანებე თავი მის ცოლს].*
- *Wenn du der Frau deinen Geldbeutel verkaufst, leg deine Hosen gleich dazu. – [თუ შენ ცოლს შენს საფულეს მიჰყიდი, შენი შარვლებიც დაუმატე].*
- *Werde erst reich, dann Ehemann. – [ჯერ გამდიდრდი და მერე გახდი ქმარი].*
- *Wenn dir die Frau erst einmal ihr Herz gegeben hat, wirst du den Rest von ihr nie mehr los. – [თუ ქალმა შენ ერთხელ თავისი გული მოგცა, ვერასოდეს განთავისუფლდები დარჩენილი ნაწილისგან].*
- *Finde eine Frau ohne Ausrede und einen Hasen ohne ein Loch, durch das er schlüpft. – [იპოვე ქალი მომიზეზების გარეშე და კურდღელი – სოროს გარეშე, რომელშიც ის გაძვრება].*
- *Wähle eine Frau nicht allein mit dem Auge. - [ქალი მარტო თვალით არ აირჩიო].*

წინამდებარე ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის ავტორი გულითად მადლობას მოახსენებს ფილოლოგს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქალბატონ ლია ფარნაოზაშვილს

გამოყენებული ლიტერატურა

1. **გვენცაძე, მ.** (2009) ლინგვისტური გერმანისტიკა, თბილისი
2. **გითოლენდია, თ.** (2013) ქალი აფხაზურ ანდაზებში, თბილისი
3. **ერთელიშვილი, ფ.** (1957) ანდაზის ცნების საკითხისათვის, „მნათობი“, №3
4. **თაყაიშვილი, ა.** (1961) ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები თბილისი
5. **კანდელაკი, ა.**(1965) ანდაზები, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი
6. **კიკვიძე, ზ.ჩაჩანიძე, ი.**(2009) სოციოლინგვისტიკის შესავლის საკითხები, ქუთაისი
7. **ოქროპირიძე, ნ.** (2012) გერმანული და ქართული ანდაზების შინაარსობრივი თანხვედრის საკითხისათვის, სამეცნიერო შრომების კრებული №3 თბილისი
8. **სახოკია, თ.** (1943) ავტობიოგრაფია, ხელნაწერი თბილისი
9. **სახოკია, თ.** (2012) ქართული ანდაზები, თბილისი
10. **რუსულ-ქართული ლექსიკონი (ტომი I, II ,III)** (1956) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი სარედაქციო კოლეგია: პროფ. გ. ახვლედიანი ქ. დათიკაშვილი, დოც. ს. ვაჩნაძე, პროფ. ვ. თოფურია. თბილისი
11. **ქართული ანდაზები,** შეკრებილი დ. თურდოსპირელის და ემელ. გაბრიჩიძის მიერ1935 წლის გამოცემის მიხედვით
12. **ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი** (1990) სარედაქციო კოლეგია: ირ. აბაშიძე, რ. მეტრეველი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), არნ. ჩიქობავა (მთავარი რედაქტორი), შ. ძიძიგური, მ. ჭაბაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე) ; თბილისი
13. **ჩიქოვანი, მ.** (1975) ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
14. **ჩხენკელი, ჰ. ჩხენკელი, ვ. ჩხენკელი, ფ.** (2009) ქართული ანდაზები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი

15. ჯორჯანელი, კ. (2003) ქართული რჩეული ანდაზები, თბილისი
16. ხორნაული, ი. (1965) ანდაზები, შეკრებილი ფშავ–ხევსურეთში, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება", თბილისი
17. **Ашукин Н.С., Ашукин М.Г.** (1988) Крылатые слова.Москва
18. **Байер Х., Байер А.** (1989) *Немецкие пословицы и поговорки,* Сборник. – Москва: Высшая школа
19. **Большой немецко-русский словарь** под руководством доктора филологических наук профессора О.И. Москальской (1980) издание второе. Издательство Русский Язык. Москва (в двух томах)
20. Даль. *В.* (1987) *Пословицы и поговорки.* русского народа. Москва
21. **Кириллина А.В.** (1999) *Гендер: лингвистические аспекты*(монография) Москва
22. **Кириллина А.В.** (1998) Развитие гендерных исследований в лингвистике // Вопросы филологии. № 2
23. **Немецко-русский фразеологический словарь** (1975) Под редакцией доктора Малиге -Клаппенбах и К. Агрикола. Издание второе, исправленное и дополненное. Издательство Русский Язык. Москва
24. **Романов А.А., Романова. Е.Г.** (2000) Гендерная компонента в лингвистике: проблема объекта и предмета исследования // Animus et Anima: языковые картины мира и формы речевого поведения. Отв. ред. А.А. Романов. – Москва – Тверь
25. **Словарь гендерных терминов** (2002) Под ред. А. А. Денисовой / Региональная общественная организация *"Восток-Запад: Женские Инновационные Проекты".* Информация XXI век, Москва
26. **Цвиллинг, М.** (1984) Русско-немецкий словарь пословиц и поговорок, Москва
27. *Шишкина*, И.П.; Финкельштейн, Р.В. (1972) *„Крылатые слова, их происхождение и значение"*, Изд-во: *Ленинград*
28. **Шолохов, М.А.** (1987)*Казачьи пословицы и поговорки* .Москва

29. **STEPANOVA, M. D., CEMYSEVA I.I..** (1986) *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*Москва
30. **BÜCHMANN, G.** (1920), *Geflügelte Worte:Der Zitatenschatz des deutschen Volkes* gesammelt und erläutert von G Büchmann, Fortgesetzt von Walter Robert =tornow,Konrad Weidling und Eduard Ippel Sechsundzwanzigste Auflage neu bearbeitet von Bogdan Kriege Dritter, unveränderter Abdruck.BerlinInternet Archive geflgelteworted05bcgoog
31. **BURGER, H.** (1998). *Phraseologie, Eine Einführung am Beispiel des Deutschen.* Berlin: Erich Schmidt Verlag.
32. Das grosse Lexikon der sprichwörtlichen Redensarten *Redensarten-Index*
33. **DEUTSCHE SAGEN** (1956). Herausgegeben von den Brüdern Grimm, Band I, II, Mit einem Nachwort von Heinz Röllecke, Winkler Verlag München 172. Der wilde Jäger Hackelberg 311. Des Hackelnberg Traum
34. **DEUTSCHES UNIVERSALWÖRTERBUCH** (2003) Dudenverlag. Mannheim. Leipzig. Wien. Zürich
35. **DUDEN,** Band 11: (1992). *Redewendungen und sprichwörtliche Redensarten: Wörterbuch der deutschen Idiomatik.* Dudenverlag. Mannheim, Leipzig, Wien, Zürich
36. **DUDEN** (1992) *Redewendungen und sprichwörtliche Redensarten / Wörterbuch der deutschen Idiomatik* / hrsg. und bearb. von Günther Drosdowski und Werner Scholze-Stubenrecht.- Mannheim; Leipzig; Wien; Zürich; Dudenverl
37. DUDEN (2002), *Das grosse Buch der Zitate und Redewendungen,* Dudenverlag, Mannheim - Leipzig - Wien – Zürich
38. **FLEISCHER,W.** (1982). *Phraseologie der deutschen Gegenwartssprache.* Leipzig: VEB Bibliographisches Institut Leipzig.
39. **FREY, C, HERZOG, A.SCHÜTZ, R.** (1970) *Deutsche Sprichwörter für Ausländer.* Verlag Enzyklopädie Leipzig, (S. 146. - 149)
40. **FRIEDRICH, W.** (1996). *Moderne deutsche Idiomatik.* München
41. **HARENBERG, I.** (2002) *Harenberglexikon der Sprichwörter und Zitate.* Leipzig.

42. **NURMINEN, L.** (2008) *Frau und Mann im Sprichwort und in den sprichwortähnlichen Sprüchen*Deutsche Sprache und Kultur Institut für moderne und klassische Sprachen
43. **RITTERSBACHER,C.** (2002) *Frau und Mann im Sprichwort.* Einblicke in die sprichwörtliche Weltanschauung Grossbritanniens und Amerikas. Heidelberger Frauenstudien. Band 9. Heidelberg: Das Wunderhorn.
44. **Röhrich L., Mieder W.**(1977) *Sprichwort.* Stuttgart
45. **RÖHRICH, L.** (2004) *Lexikon der sprichwörtlichen Redensarten.* Freiburg, Basel, Wien: Herder Verlag, 7. Aufl.
46. **SHEMANN, H.** (1993) .*Deutsche Idiomatik, Die deutschen Redewendungen im Kontext.* Stuttgart: Ernst Klett Verlag für Wissen und Bildung.
47. **SIMROCK, K.** (2011) *Die deutschen Sprichwörter* S. Fischer Verlag GmbH, Frankfurt am Main
48. **SPRICHWÖRTERLEXIKON** (1989) Horst und Annelies Beyer.Moskau „Hochschule"
49. **UMUROVA, G.**(2005) : *Was der Volksmund in einem Sprichwort verpackt...* Moderne Aspekte des Sprichwortgebrauchs – anhand von Beispielen aus dem Internet. Sprichwörterforschung. Band 24. Bern: Lang.
50. **VEITH W.H.** (2002) *Soziolinguistik Ein Arbeitsbuch* Gunter Narr Verlag Tübingen
51. www.gender.ru
52. **WOLF, F.** (1995) *Moderne deutsche Idiomatik.* Max Hueber Verlag. Ismaning



გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge